

იარაღის კონტროლი - განზრახვები და შედეგები

დავით მარკოზაშვილი

*სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია თბილისის თავისუფალი
უნივერსიტეტის სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების
საბჭოზე სოციალურ / ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დოქტორის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად*

სამეცნიერო ხელმძღვანელი: რობიზონ ხუბულაშვილი

**თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი
თბილისი, 2021**

სამეცნიერო მიმართულების კომისიის რეკომენდაცია

ეს გვერდი წარმოადგენს დარგობრივი კომისიის მიერ გაცემულ ოფიციალურ რეკომენდაციას, რომლის საფუძველზე სადისერტაციო საბჭოს მიერ ინიშნება დაცვის თარიღი და დაცვის ოპონენტები:

დისერტანტი: დავით მარკოზაშვილი

დისერტაციის სათაური: იარაღის კონტროლი - განზრახვები და შედეგები

დისერტაციის დაცვის თარიღი: -----

რეცენზენტი 1: /სახელი, გვარი/

რეცენზენტი 2: /სახელი, გვარი/

რეკომენდებულია დაცვისათვის ----- (მაგ.: სოციოლოგიის) სამეცნიერო მიმართულების კომისიის მიერ.

თავჯდომარე, /სახელი, გვარი/ : _____
(ხელმოწერა)

წევრი, /სახელი, გვარი/: _____
(ხელმოწერა)

წევრი /სახელი, გვარი/: _____
(ხელმოწერა)

სამაგისტრო და სადოქტორო სკოლის დეკანი: _____ / სახელი, გვარი/
(ხელმოწერა)

სადოქტორო სკოლის კოორდინატორი: _____ / სახელი, გვარი/
(ხელმოწერა)

თარიღი: -----

დეკლარაცია

"როგორც წარმოდგენილი სადოქტორო დისერტაციის ავტორი, ვაცხადებ, რომ ჩემი დისერტაცია წარმოადგენს ორიგინალურ ნაშრომს და მასში სხვა ავტორების აქამდე გამოქვეყნებული, გამოსაქვეყნებლად მიღებული ან დასაცავად წარდგენილი მასალები გამოყენებულია ციტირების სათანადო წესების დაცვით."

დავით მარკოზაშვილი

15.02.2021



აბსტრაქტი

ხშირად, ადამიანები, როდესაც გადაწყვეტილებას ვიღებთ, ვიყენებთ დაუსაბუთებელ რწმენას და “ლოგიკას”, რამაც შესაძლოა სრულიად არასწორ გზაზე დაგვაყენოს. პოლიტიკოსებიც, რომლებიც რეგულაციების საშუალებით ცდილობენ მრავალი ტიპის პრობლემის გადაჭრას, შეიძლება ზუსტად იგივენაირად იღებდნენ გადაწყვეტილებებს და იგივენაირადვე უშვებდნენ შეცდომებს, შესაბამისად კანონები შესაძლოა საერთოდ ვერ გადიოდნენ იმ შედეგზე, რისი მიღწევაც გვსურს და ეს ყველაზე ექსტრემალურ და მნიშვნელოვან საკითხებზეც ვრცელდებოდეს, მაგალითად როგორიცაა ადამიანების სიცოცხლის დაცვის, თავდაცვის უფლება და ა.შ.

იარაღი მრავალთა მიერ მხოლოდ ბოროტ გამოგონებად და დანაშაულის ხელსაწყოდ აღიქმება და ხშირად ხდება მისი თავდაცვითი თუ სხვა დანიშნულების უგულებელყოფა, შესაბამისად მთავრობები ცდილობენ აკრძალონ თუ დაარეგულირონ მისი ფლობა, სწორედ დანაშაულის შემცირების მოტივით, რაშიც საზოგადოების ფართო მხარდაჭერითაც სარგებლობენ.

შესაბამისად, გამიჩნდა კითხვა თუ რამდენად ახდენს ზეგავლენას იარაღის ფლობა დანაშაულის სტატისტიკაზე.

პასუხის გასაცემად შევადგინე მონაცემთა ბაზა, სადაც შევიყვანე მსოფლიოს 195 ქვეყანა¹, მათი მოსახლეობის რაოდენობა, ნომინალური მშპ, მოსახლეობის სიმჭიდროვე, ალკოჰოლის მოხმარება ერთ სულ მოსახლეზე, კანონმორჩილების ინდექსი, იარაღის მფლობელობა 100 მოსახლეზე გათვლით, მკვლელობათა და თვითმკვლელობათა რიცხვი 100,000 ადამიანზე გაანგარიშებით, ნებისმიერი მეთოდით და ასევე, ცალკე, იარაღის გამოყენებით. ამ ქვეყნებში შევადარე მკვლელობათა სტატისტიკა და იარაღის მფლობელობა და მათ შორის კავშირის დადგენას შევეცადე.

¹ “Alphabetical List of Countries.” Accessed January 14, 2021. <https://www.worldometers.info/geography/alphabetical-list-of-countries/>.

ეს საკითხი ასევე დეტალურად განვიხილე რამდენიმე ქვეყნის მაგალითზე: აშშ, სადაც სამოქალაქო ფლობაში² არსებული და რეგისტრირებულია მსოფლიოში არსებული იარაღის თითქმის ნახევარი³ და მის საპირისპირო მაგალითად იაპონია, სადაც თითქმის არავის აქვს იარაღი; შვეიცარია, რომელიც იარაღის ფლობის რაოდენობით მოწინავეთა რიგებშია და შევადარე მის მეზობელ ქვეყნებს, როგორებიცაა გერმანია, საფრანგეთი და იტალია, სადაც გაცილებით ნაკლები ხალხი ფლობს იარაღს, წარმოვადგინე, თუ რა შედეგები მიიღწევა აღნიშნული რეგულაციებით და ეს ყველაფერი შევაჯამე საქართველოს მაგალითზე.

ამ მრავალი ციფრის თუ მონაცემის ანალიზის შემდეგ დავინახე, რომ იარაღის რეგულაციები თითქმის არ ახდენენ ზეგავლენას დანაშაულის დონეზე. შედეგად გამიჩნდა სრულიად ლოგიკური კითხვა, რომ თუ ეს მართლაც ასეა (იარაღის რეგულაციები ხელს არ უწყობენ დანაშაულის შემცირებას), მაშინ რატომ ითხოვს საზოგადოება პერმანენტულად იარაღის კონტროლის⁴ გამკაცრებას? იქნებ მათ არ გააჩნიათ საკმარისი ინფორმაცია ამ თემაზე და მათი დამოკიდებულებაც სწორედ აქედან გამომდინარეობს?

იარაღისადმი საზოგადოების დამოკიდებულების ცვლილების გასარკვევად ჩავატარე ექსპერიმენტი, სადაც მონაწილეებს დავუსვი კითხვა, თუ რამდენად უჭერდნენ მხარს იარაღის რეგულაციებს. ისინი შემდეგ გავყავი ორ ნაწილად და ერთ მათგანს გავაცანი ფაქტები იარაღის ფლობის დადებითი, ხოლო მეორეს უარყოფითი მხარეების შესახებ, ხოლო შემდეგ ისევ შევაფასებინე იარაღის კონტროლისადმი დამოკიდებულება. აღმოჩნდა, რომ იმ ჯგუფის

² სამოქალაქო იარაღი, რომელიც განკუთვნილია ფიზიკურ პირთა მიერ თავდაცვის, სანადირო, სპორტული და საკოლექციო მიზნებით გამოყენებისათვის. შესაბამისად, სამოქალაქო იარაღის სახეებია: თავდაცვის, სპორტული, სანადირო, საკოლექციო და სასიგნალო.

სამოქალაქო ცეცხლსასროლი იარაღის სახეებია თავდაცვის მოკლელულიანი, სპორტული მოკლელულიანი, სპორტული გრძელლულიანი, სანადირო გლუვლულიანი (თოფი), სანადირო ხრახნილლულიანი (კარაბინი ან შაშხანა) და სანადირო კომბინირებული ცეცხლსასროლი იარაღი (ხრახნილლულიანი და გლუვლულიანი თოფი ("საქართველოს კანონი იარაღის შესახებ." სსიპ "საქართველოს საკანონმდებლო მაცნე". Accessed December 14, 2020. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/14944?publication=64>).

³ Ingraham, Christopher. "There are now more guns than people in the United States." *Washington Post* 5 (2015).

⁴ ნაშრომში ხშირად ნახსენებ ტერმინის "იარაღის კონტროლის" ქვეშ იგულისხმება იარაღის ბრუნვის კონტროლი - საქართველოს კანონი იარაღის შესახებ, მუხლი 29

შეხედულებები, ვისაც უარყოფითი ინფორმაცია გადავეცი, დიდად არ შეცვლილა, ხოლო ბევრი მათგანისათვის, ვინც გაიგო, რომ თურმე იარაღის ფლობას შეიძლება საზოგადოებისთვის სიკეთე მოჰქონდეს, ეს მცირე ინფორმაციაც საკმარისი აღმოჩნდა, რომ გადაეხედა საკუთარი წარმოდგენებისთვის და დამოკიდებულება შეეცვალა.

აქედან შემდეგი დასკვნა გამოვითანე - საზოგადოებაში იარაღისადმი უარყოფითი დამოკიდებულება არსებობს - შესაბამისად, ეს დამოკიდებულება და დანაშაულის შემცირების მოტივი პოლიტიკოსებს აძლევს ბიძგს, რომ მოიფიქრონ მრავალფეროვანი რეგულაციები. ამ ნაშრომზე მუშაობაც სწორედ ამის გამო გადავწყვიტე, გამომერკვია, რამდენად ეფექტიანია ეს რეგულაციები და რამდენად მიიღწევა კრიმინალის შემცირება იარაღის აკრძალვით.

დასასრულს, ყურადღება გავამახვილე მედიის როლზე, რადგან შესაძლებელია, რომ ხალხის და სავარაუდოდ, პოლიტიკოსების მცდარი წარმოდგენები გარკვეულწილად მათ უკავშირდებოდეთ და ვცადე, გამეზიარებინა ბევრი, თითქოს ძალიან “ლოგიკური”, ხშირად გამოყენებადი არგუმენტი.

საძიებო სიტყვები: იარაღის რეგულაციები, კანონის ეფექტიანობა, დანაშაულის სტატისტიკა

Abstract

Often, when we make decisions, we use beliefs and “logic” that could lead us to the wrong direction. It seems that the politicians, who try to solve the issues with help of regulations, could commit mistakes the same way we do. This means that some of the laws don’t achieve the goals we desire to and what’s the worst of all - this could be the regulations for the most extreme and important issues as well, such as protecting life, right of self defense, etc.

Guns are perceived as a cruel invention and instrument of felony by many and often their other uses, such as defense, are being neglected. Therefore the governments try to regulate guns with the goal of lowering the crime rate and are widely supported by public.

To deduce whether gun ownership influences higher criminal statistics I created a database, where I listed 195 countries of the world⁵, their population, nominal GDP, population density, alcohol consumptions per capita, rule of law index, gun ownership rate per 100 population and homicide and suicide rates per 100,000 population by guns and by any means. I analyzed that data and tried to find correlation between crime rate and gun ownership.

I also made detailed analysis based on the examples of USA, where more than half the amount of world guns are in possession of civilians^{6 7} and its total opposite - Japan, where almost no one has a gun; Switzerland, which has one of the highest gun possession rate and compared it to its neighbors, like Germany, France and Italy,

⁵ “Alphabetical List of Countries.” Accessed January 14, 2021. <https://www.worldometers.info/geography/alphabetical-list-of-countries/>.

⁶ Ingraham, Christopher. "There are now more guns than people in the United States." *Washington Post* 5 (2015).

⁷ Civilian guns are those, which are designed for self-protection, hunting, sports or collection purposes.

The types of civil guns are: short-barreled, sports short-barreled, sports long-barreled, hunting smoothbore, hunting riffle and hunting combined gun. (“საქართველოს კანონი იარაღის შესახებ.” სსიპ "საქართველოს საკანონმდებლო მაცნე". Accessed December 14, 2020. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/14944?publication=64.>).

where a lot less people have guns, to show the results of gun regulations achieved there and lastly, concluded with the example of Georgia.

After all those numbers and data analysis, I saw that gun regulations almost does not affect crime rate, therefore I got an absolute reasonable question: if this is really so, why does the public permanently ask for more severe regulations towards gun ownership? Could that be cause of information deficit?

To determine public attitude change towards guns, I conducted an experiment, where the participants were asked whether they supported gun control. Then they were divided into two groups: one of them was given positive facts about gun ownership and vice versa, then they were asked again about their attitudes towards gun control. It appeared that the attitudes of the people, which were given negative information about guns, didn't change much, however, the people, who were informed about the positive sides of gun ownership changed their minds considerably.

I deduced that the people generally feel negatively about guns, because they don't possess enough information and it feels much more "logical" that the more guns the society owns the higher will be the crime rate, than the opposite. That opinions influence the politicians to create numerous regulations, despite the possibility that they may not work.

Lastly, I directed my attention to media's role in all of this, as I assumed that the wrong attitudes of public and politicians towards guns could be their influence and tried to refute some "logical", frequently used arguments.

Keywords: gun control, law effects, crime rate

ხელმძღვანელი, რობინზონ ხუბულაშვილი



მადლობა

აღნიშნულ დისერტაციაზე მუშაობის პროცესი საკმაოდ ხანგრძლივი იყო და მასში ბევრმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა - ზოგი რჩევებს მაძლევდა, ზოგი მაკრიტიკებდა, ზოგი უბრალოდ მხარს მიჭერდა, ზოგი მამხნევებდა და მათ დიდი მადლობა ამისთვის. კონკრეტული გვარების ჩამოთვლა არ მინდა, რადგან ვინმე აუცილებლად გამომრჩება, შესაბამისად მინდა ყველას მადლობა გადავუხადო, ვინც თვლით, რომ რაიმე წვლილი მაინც მიგიძღვით ჩემი ნაშრომის ფორმირებაში.

თუმცა მაინც მსურს გამოვყო ორი ადამიანი: ჩემი ხელმძღვანელი, რობიზონ ხუბულაშვილი, ვინც დიდი წვლილი შეიტანა, რომ დისერტაციის მთავარი კითხვები სწორად ჩამომეყალიბებინა და ექსპერიმენტები და კვლევები უშეცდომოდ წარმემართა და ვატო ლეჟავა, ვინც მუდმივად ფიქრობდა თუ როგორ გამეუმჯობესებინა ანალიზი, ათასჯერ წაიკითხა ჩემი ნაწერი, მაძლევდა უამრავ რჩევას და მაქსიმალურად მეხმარებოდა იმ მრავალი სირთულის დაძლევაში, რომლებიც დისერტაციაზე მუშაობის პროცესში უხვად მხვდებოდნენ.

სარჩევი

სამეცნიერო მიმართულების კომისიის რეკომენდაცია	ii
დეკლარაცია	iii
აბსტრაქტი	iv
Abstract	vii
მადლობა	ix
სარჩევი	x
გრაფიკები	xi
ცხრილები	xii
1. შესავალი	1
2. რა არის იარაღის კონტროლი?	12
3. დანაშაულის ფენომენი და სტატისტიკა	15
3.1 უკანასკნელი მონაცემები	21
4. აშშ და იარაღი	25
5. იაპონია და იარაღი	35
6. შვეიცარია, იტალია და იარაღი	41
7. საქართველო, სომხეთი და იარაღი	44
8. იარაღის კონტროლი და პოლიტიკა	47
8.1 სასარგებლოდ	52
8.2 საწინააღმდეგოდ	57
8.3 გაბათილებული მოსაზრებები	59
9. მშვიდობით, იარაღო?!	72
10. რიტორიკული არგუმენტების ანალიზი იარაღის კონტროლის წინააღმდეგ	85
11. დასკვნა	109
ბიბლიოგრაფია	113
დანართი	124

გრაფიკები

გრაფიკი 1. კანონის მიღება ხდება ceteris paribus პრინციპით	10
გრაფიკი 2. კანონის მიღება ზეგავლენას ახდენს კონტექსტზე და ქცევაზე, შესაბამისად შედეგიც განსხვავებული მიიღება	10
გრაფიკი 3. მკვლელობათა რიცხვის და მოსახლეობის რაოდენობის შედარება მსოფლიოში	22
გრაფიკი 4. მკვლელობათა ჩადენისას გამოყენებული იარაღის სტატისტიკა	23
გრაფიკი 5. მკვლელობათა სტატისტიკის შედარება რეგიონების მიხედვით, 1993-2017 წლები	24
გრაფიკი 6. იაპონია, მკვლელობათა რიცხვი 100,000 ადამიანზე გაანგარიშებით	39
გრაფიკი 7. შვეიცარია, მკვლელობათა რიცხვი 100,000 ადამიანზე გაანგარიშებით	43
გრაფიკი 8. იტალია, მკვლელობათა რიცხვი 100,000 ადამიანზე გაანგარიშებით	43
გრაფიკი 9. გერმანია, მკვლელობათა რიცხვი 100,000 ადამიანზე გაანგარიშებით	81
გრაფიკი 10. საფრანგეთი, მკვლელობათა რიცხვი 100,000 ადამიანზე გაანგარიშებით	83
გრაფიკი 11. ნიდერლანდები, მკვლელობათა რიცხვი 100,000 ადამიანზე გაანგარიშებით	84

ცხრილები

ცხრილი 1. სხვა და სხვა ცვლადის სტატისტიკური გავლენა მკვლელობათა დონეზე	78
ცხრილი 2. მკვლელობების და თვითმკვლელობების რიცხვის იარაღის მფლობელობასთან დამოკიდებულება, 1993 წელი	80
ცხრილი 3. Wilcoxon Signed-Rank ტესტის შედეგები	87

1. შესავალი

კანონი (ბერძნ. ნესი, განანესი) სახელმწიფოს წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ (ან რეფერენდუმით) განსაკუთრებული წესით მიღებული ნორმატიული აქტია, რომელიც აწესრიგებს მნიშვნელოვან საზოგადოებრივ ურთიერთობებს⁸, ხოლო უფრო ფართო გაგებით, კანონები, მოვლენების ბუნებიდან გამომდინარე, აუცილებელი მიმართებებია. ადვილად შეგვიძლია შევთანხმდეთ, რომ კანონი, თავისი არსიდან გამომდინარე, იმ შედეგის მიღწევას უნდა უზრუნველყოფდეს, რისთვისაც იქნა იგი შემუშავებული და ბასტიას თუ დავესესხებით, უნდა ითვალისწინებდეს “იმას, რაც ჩანს”⁹ და იმასაც, რაც უფრო სიღრმისეულია.

თუმცა, რას ვიტყვით, თუ აღმოვაჩენთ, რომ ზოგ შემთხვევაში, ეს ასე არ ხდება (ანუ კანონი ვერ უზრუნველყოფს იმ შედეგების მიღწევას, რისთვისაცაა შექმნილი) და თანაც, ეს ეხება არათუ მხოლოდ ტრივიალურ და ნაკლებმნიშვნელოვან საკითხებს, რასაც შეიძლება კანონშემოქმედები “შედარებით ცოტა” დროს უთმობდნენ და მაგიტომ იყო ხარვეზები გაპარული, არამედ ექსტრემალურ და სიკვდილ-სიცოცხლის თემებსაც.

⁸ NPLG. Accessed January 14, 2021. <http://www.nplg.gov.ge/publishers/samoqalaqo/index.php?do=view&id=108>.

⁹ Bastiat, Frederic. *The law*. Laissez Faire Books, 1987.

რამდენად ახერხებს კანონი თავისი შედეგების მიღწევას, ამ საკითხის განხილვა გადავწყვიტე იარაღის¹⁰ რეგულაციების საფუძველზე, რადგან ვთვლი, რომ ეს არის ერთ-ერთი ყველაზე სენსიტიური, მნიშვნელოვანი თუ ექსტრემალური თემა - სიცოცხლის, საკუთრების, თავდაცვის უფლება და აღნიშნული რეგულაციები ზღუდავენ იარაღის შეძენას თუ ფლობას, სწორედ ამ მოტივებით - შემცირდეს დანაშაული და ვიყოთ უფრო დაცულნი.

ერთი შეხედვით, “ლოგიკურია”¹¹, რაც მეტი იარაღი ექნება მოსახლეობას, მით მეტად ეცდებიან ისინი პრობლემების ძალადობრივი გზით გადაჭრას, ამიტომ პოლიტიკოსები კანონის გამკაცრებით ცდილობენ მოსახლეობის განიარაღებას.

თუ ჩავთვლით, რომ განიარაღება დანაშაულის შემცირებას იწვევს, რეგულაციები ეფექტური გამოდის, მაგრამ ჰიპოთეტურად თუ დავუშვებთ, რომ იარაღის მფლობელობის მაღალი სტატისტიკა სულაც არ არის თანხვედრაში დანაშაულის დონის ზრდასთან, მაშინ გამოდის, რომ აღნიშნული რეგულაციები ვერ აღწევენ დასახულ მიზნებს, პირიქით, განიარაღებენ კანონმორჩილ მოქალაქეებს და უსპობენ თავდაცვის საშუალებას.

¹⁰ იარაღი – მონყობილობა ან საგანი, რომელიც კონსტრუქციულად განკუთვნილია ცოცხალი ან სხვა ობიექტის დასაზიანებლად ან/და გასანადგურებლად, ან სიგნალის მისაწოდებლად (“საქართველოს კანონი იარაღის შესახებ.” სსიპ "საქართველოს საკანონმდებლო მაცნე". Accessed December 14, 2020. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/14944?publication=64>).

ცივი იარაღი – იარაღი, რომლის მოქმედებაც ხორციელდება ადამიანის ფიზიკური ძალით და რომელიც განკუთვნილია უშუალო შეხებით ობიექტის დასაზიანებლად.

ცეცხლსასროლი იარაღი – იარაღი, რომელშიც ჭურვი ან საფანტის ჭურვები მიმართულ მოძრაობას იწყებს დენთის ან სხვა მუხტის წვისას გამოყოფილი ენერგიის შედეგად და რომელიც განკუთვნილია მანძილიდან ობიექტის მექანიკურად დასაზიანებლად ან/და გასანადგურებლად.

ნაშრომში ცეცხლსასროლი იარაღი ყოველთვის უბრალოდ იარაღად იქნება მოხსენიებული. სხვა იარაღი ყოველთვის სრული სახელწოდებით ეწერება (მაგალითად ცივი იარაღი).

¹¹ როდესაც ვახსენებ “ლოგიკას”, ვგულისხმობ წრფივ ლოგიკას Di Cosmo, Roberto, and Dale Miller. “Linear Logic.” Stanford Encyclopedia of Philosophy. Stanford University, May 24, 2019. <https://plato.stanford.edu/entries/logic-linear/>

და წარმოიდგინეთ, თუ ასეთი მნიშვნელოვანი კანონები შეიძლება საერთოდ სცდებოდნენ დასახულ მიზნებს, მაშინ რამდენად ადვილია ნაკლებმნიშვნელოვნების შედეგებში დაექვება.

აღნიშნული ნაშრომის საფუძველიც სწორედ ეს საკითხები გახდა: ვცადე, რომ ჯერ თვისობრივი კვლევის საფუძველზე განმეხილა კონკრეტული ქვეყნების იარაღის რეგულაციები და დანაშაულის სტატისტიკა, შემდეგ მსოფლიოს მასშტაბით, 195 ქვეყნის საფუძველზე ჩავატარე რაოდენობრივი კვლევა, რათა დამედგინა იარაღის ფლობასა და დანაშაულის დონის შორის სტატისტიკური კავშირი, ხოლო ბოლოს ექსპერიმენტი, რომ დამენახა ინფორმაციის ხელმისაწვდომობა რამდენად ახდენს გავლენას იარაღის რეგულაციების მხარდაჭერაზე.

ჩემი კვლევის დაწყებისას, ერთ-ერთი პირველი ფაქტი, რაც მალევე აღმოვაჩინე, არის ის, რომ ხშირად ჩვენს წრემნას კონკრეტული საკითხისადმი, საფუძველი ან წყარო შეიძლება არ ჰქონდეს და განპირობებული იყოს ისეთი ფაქტორებით, როგორიცაა მაგალითად “ლოგიკა”, შეგრძნებები, ინტუიცია თუ პირველი შთაბეჭდილებები. და რაც ყველაზე საინტერესოა, ამ წყაროებიდან მიღებული ცოდნა შეიძლება სრულიად არ შეესაბამებოდეს რეალობას. ანუ, ეს უფრო „ცოდნა“ კი არ არის, „რწმენაა“, რომელიც ხშირად „ცოდნაში“ გვერევა. გამოდის, ჩვენ არცთუ იშვიათად ვიცით რაღაცეები, ისე, რომ არც გვიფიქრია საიდან ვიცით, მაგრამ რაც მთავარია, ვიცით და გადაწყვეტილების მიღებისას სწორედ ამ დაუსაბუთებელ რწმენას ვიყენებთ.

განვიხილოთ აღნიშნული რამდენიმე მაგალითის საფუძველზე:

ბევრმა “ვიცით”, რომ სოციალური უთანასწორობა, რაც დრო გადის და ქვეყნებში ეკონომიკა ვითარდება, კიდევ უფრო მეტად იზრდება და შემოსავლების დონე მდიდარსა და ღარიბს შორის კიდევ უფრო მეტადაა დამორებული ერთმანეთისგან, ვიდრე ოდესმე. ამაზე წერენ პრესაში, პოლიტიკოსები და პოპულისტები ხშირად ახსენებენ და არცთუ იშვიათად, მთავრობაც ცდილობს ხოლმე ჩაერიოს და ეს “ყოველდღიურად მზარდი”

სოციალური უთანასწორობა შეამციროს. გადანყვეტილებებიც სწორედ ზოგად ცოდნაზე, რწმენაზე და მედიაზე დაყრდნობით შეიძლება მიიღებოდეს, რადგან ეს იმდენად ყველამ “იცის”, გადამოწმების საჭიროება არც არსებობს.

არადა, შეიძლება ეს არც იყოს ასე: მაგალითად, დიდ ბრიტანეთში ყველაზე მდიდარი 1%-ის შემოსავლის წილი იმაზე მაღალი სულაც არ არის, ვიდრე ბოლო 30 წელიწადში, ხოლო აშშ-ში აღნიშნულმა წილმა ბოლო 20 წელია სრულიად შეწყვიტა ზრდა. ზოგი ეკონომისტი კი იმასაც ამტკიცებს, რომ უკვე 60 წელია, რაც ბევრი არაფერი შეცვლილა¹².

აღნიშნული მაგალითი აჩვენებს, როგორი ადვილია “ლოგიკური” აზროვნებიდან, ინტუიციიდან და ზოგადი ცოდნიდან გამომდინარე, პრობლემის არასწორად განსაზღვრა და ისეთი გადაჭრის მეთოდის მოფიქრება, რომელსაც ეს არ შეუძლია.

რა თქმა უნდა, ამ საკითხზე სხვა ბევრი მსგავსი მაგალითის მოყვანაც შეიძლება:

მაგალითად, როდესაც გზებზე ბევრი ავარია სრულდება მსხვერპლით (რა პრობლემაც საქართველოში ძალიან აქტუალურია. მაგალითად 2008 წლის აგვისტოს ომში საქართველომ დაკარგა 397 ადამიანი¹³, როდესაც 2019 წელს ავტოსაგზაო ავარიების გამო დაიღუპა 481 ადამიანი¹⁴), “ლოგიკურია” ვიფიქროთ, რომ თუ შემოვიღებთ კანონს, რომელიც მანქანების უსაფრთხოების სტანდარტის მოთხოვნებს აამაღლებს, ეს პრობლემა გადაიჭრება. თუმცა ეს საკითხი ასეთი მარტივი, შესაძლებელია, საერთოდ არ იყოს და პრობლემის ჩვენეული გადანყვეტილი ის შედეგი საერთოდ ვერ მივიღოთ, რაც გვინდა, რადგან ამ დროს ადამიანები, იმით დაიმედებულები, რომ მათი ავტომობილი

¹² “Inequality Could Be Lower than You Think.” The Economist. The Economist Newspaper. Accessed December 14, 2020 <https://www.economist.com/leaders/2019/11/28/inequality-could-be-lower-than-you-think?cid1=cust/ednew/n/bl/n/2019/11/28n/owned/n/n/nwl/n/n/E/351303/n>

¹³ “Russia Lost 64 Troops in Georgia War, 283 Wounded.” Reuters. Thomson Reuters, February 21, 2009. <https://uk.reuters.com/article/us-russia-georgia-deaths/russia-lost-64-troops-in-georgia-war-283-wounded-idUKTRE51K1B820090221>

¹⁴ ლალიაშვილი, ეკა. “2019 წელს სტატისტიკა გაუარესებულია” – ეკა ლალიაშვილი ავარიების შესახებ საუბრობს.” – RoadSafety ge. <http://roadsafety.ge/2019-წელს-სტატისტიკა-გაუარე/>

უსაფრთხოა, შეიძლება უფრო ნაკლები ყურადღებით მოეკიდონ მართვას და შემცირების მაგივრად, ავარიების რიცხვი ან/და ავტოსაგზაო სიკვდილიანობის შემთხვევები, პირიქით, გაიზარდოს.

ირკვევა, რომ უმუშევრობის ზრდა კორელაციაშია ავტოსაგზაო შემთხვევების შემცირებასთან. კიდევ უფრო მეტიც, სტატისტიკა გვაჩვენებს, რომ 2007 წლის მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის დროს 2/3-ით შემცირდა სიკვდილიანობა ავტოსაგზაო შემთხვევების შედეგად, რადგან ადამიანები უფრო მეტი ყურადღებით მართავდნენ ავტომობილებს¹⁵ (რა თქმა უნდა, აქ სხვა ფაქტორებიცაა, მაგალითად ის, რომ ადამიანები ნაკლებად დადიან, ნაკლებად სვამენ და ა.შ., თუმცა ეს ზემოთ მოყვანილს არ აბათილებს). ეს არის ერთ-ერთი ნიმუში იმისა, როდესაც კვლევების შედეგები შეიძლება სრულიად არ შეესაბამებოდეს თქვენს “ლოგიკას” თუ მოსაზრებებს.

კიდევ განვიხილოთ შემდეგი მაგალითი: ადამიანები, ზოგადად, სხვადასხვა საყოფაცხოვრებო სიტუაციაში ქირობენ ტექნიკოსებს, ელექტრო კაბელების გასაყვანად თუ მოსაწესრიგებლად. ახლა წარმოვიდგინოთ მდგომარეობა, როდესაც ქვეყანაში არ არის არანაირი ლიცენზია ან მინიმალური ოფიციალური მოთხოვნები აღნიშნული ტექნიკოსების კვალიფიკაციის განსასაზღვრად, შესაბამისად არსებობს შანსი, რომ კლიენტს დაბალი კვალიფიკაციის ხელოსანი შეხვდეს და არასწორად გაყვანილმა სადენებმა გამოიწვიოს ხანძრები თუ სხვა პრობლემები. როგორ უნდა მოგვარდეს ეს პრობლემა? ალბათ, კანონის მიღებით, რომელიც ტექნიკოსების ლიცენზირებას აუცილებელს გახდის და დაადგენს კვალიფიკაციის მინიმალურ მოთხოვნებს, რომლებსაც ისინი უნდა აკმაყოფილებდნენ, შესაბამისად მოსახლეობას ექნება საშუალება აიყვანოს პროფესიონალი ხელოსნები და მაღალხარისხოვანი გაყვანილობა დაამონტაჟოს, რაც, ავტომატურად, შეამცირებს ხანძრების სტატისტიკას. სინამდვილეში, შედეგი შეიძლება სხვანაირი დადგეს: რადგან აღნიშნული კანონი შეამცირებს ხელოსნების რიცხვს, მომსახურების საფასური გაძვირდება, შესაბამისად მეტ ადამიანს შეიძლება გაუჩნდეს სურვილი, რომ არ გადაიხადოს ფული და თვითონ სცადოს გაყვანილობის მოწესრიგება ხელოსნის გამოძახების გარეშე ან მაინც არალიცენზირებული ხელოსანი დაიქირავოს უფრო იაფად, რამაც შესაძლოა მეტი პრობლემა გამოიწვიოს და საბოლოო

¹⁵ World Health Organization. Global status report on road safety 2015. World Health Organization, 2015.

ჯამში, ხანძრის სტატისტიკა, შემცირების მაგივრად, გაიზარდოს მოკლევადიან პერიოდში.

როგორც ვხედავთ, პრობლემის გადაჭრას თუ ვეცდებით გარეგნულ ნიშნებთან/გამოხატულებასთან ბრძოლით, შეიძლება საერთოდ სხვა შედეგი მივიღოთ, თუმცა, ეს ყველაფერი არ არის მარტივი დასაანალიზი და დასაჯერებელი. როგორც პოპულარული რადიონამყვანი დენის პრეიგერი (Dennis Prager) ხუმრობდა ხოლმე: “არსებობს ორი სახის მეცნიერული კვლევა - ის, რომელიც ჩვენს ზოგად შეხედულებებს ადასტურებს და ის, რომელიც მცდარია”.

აქედან გამომდინარე, ჩნდება საფუძვლიანი ეჭვი, რომ პრობლემის ინტუიტიურ გადანყვეტას ბევრჯერ არასწორ დასკვნამდე მივყავართ. შეიძლება “ლოგიკა”, რომელიც გვეუბნება, რომ ჰომოსექსუალების ოჯახში გაზრდილ ბავშვს გაცილებით მაღალი შანსი აქვს, რომ თვითონაც ჰომოსექსუალად ჩამოყალიბდეს ან ის ადამიანები, ვიზუალურ ბავშვობაში ძალადობდნენ, თვითონაც მოძალადეებად ყალიბდებიან, არ იყოს მართალი და მასზე დაყრდნობით მიღებული გადანყვეტილებები თუ კანონები ვერ აღწევდეს დასახულ მიზანს.

ამ ყველაფერმა მომცა სტიმული, გამერკვია, რამდენად შესაძლებელია აღნიშნული მცდარი “ლოგიკის” შემთხვევების გადატანა და განვრცობა ყველაზე ექსტრემალურ, ფაქიზ და შესაბამისად საინტერესო საკითხზე - “ყველა ადამიანს საკუთარი სიცოცხლის, თავისუფლებისა და საკუთრების დაცვის ბუნებრივი უფლება აქვს”.¹⁶ მათ შორის, ჩვენ, საქართველოს მოქალაქეებს, “რომელთა ურყევი ნებაა, დავამკვიდროთ დემოკრატიული საზოგადოებრივი წესწყობილება, ეკონომიკური თავისუფლება, სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო, უზრუნველვყოთ ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებანი და თავისუფლებანი”¹⁷. და დავინტერესდი, რამდენად სწორ გადანყვეტილებებს ვიღებთ, როდესაც ასეთ მნიშვნელოვან თემებს ვეხებით. მხოლოდ მაშინ ვცდებით, როდესაც ნაკლებად არსებით საკითხებზე

¹⁶ Bastiat, Frederic. *The law*. Laissez Faire Books, 1987.

¹⁷ “საქართველოს კონსტიტუცია.” სსიპ "საქართველოს საკანონმდებლო მაცნე". Accessed December 14, 2020. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36>.

ვფიქრობთ, თუ ასეთ დროსაც? რამდენად კარგად მუშაობს ჩვენი “ლოგიკა” ამ შემთხვევაში?

რათქმაუნდა, თუ დავსვამთ კითხვას - გვაქვს თუ არა უფლება დავიცვათ ჩვენი სიცოცხლე ან საკუთრება, ადვილად შევძლებთ პასუხის გაცემასაც, რომელიც ერთსულოვანი და დადებითი იქნება. უნდა დავიცვათ ჩვენი სიცოცხლე, თუნდაც ძალის გამოყენებით? ამაზეც დადებითად ვუპასუხებთ, თუმცა აქვე შეგვიძლია გავიხსენოთ, რომ თავდაცვის ერთერთი ყველაზე ეფექტიანი საშუალება - იარაღი, მრავალთა მიერ მხოლოდ ძალადობის ინსტრუმენტად აღიქმება და არა თავდაცვის შესაძლებლობად. შესაბამისად, ბევრი სახელმწიფო, რომელიც, ბასტიას თუ დავესესხებით, იქმნება თავდაცვის ერთობლივი ორგანიზების მიზნით (“სახელმწიფოს ადამიანები თავდაცვის ერთობლივი ორგანიზების მიზნით ქმნიან და მისი არსებობა გამართლებულია მხოლოდ მაშინ, სანამ ის ამ ფუნქციას ასრულებს”)¹⁸, კრძალავს ან ზღუდავს იარაღს, სწორედ დანაშაულის შემცირების მოტივით.

ვთვლი, ეს ყველაზე ექსტრემალური და სენსიტიური საკითხია, რისი გამოკვლევაც შეიძლება. ამისთვის მკაფიოდ უნდა განვსაზღვროთ, საერთოდ რა არის იარაღი? მოწყობილობა, რომელიც შეიძლება კარგი მიზნისთვის შეიქმნა (თავდაცვის), მაგრამ ძირითადად გამოიყენება სრულიად საპირისპირო და ძლიერ ნეგატიური მოქმედებისათვის (თავდასხმა) და შესაბამისად უნდა აიკრძალოს? ძალიან საინტერესო იქნება, პასუხი გაცეს კითხვას, თუ რამდენად მართებულია იარაღის აკრძალვა, რამდენად მიიღწევა კრიმინალის შემცირება იარაღის რეგულაციებით. ჩვენი უფლებების შეზღუდვით მივდივართ უკეთესი სამყაროსკენ, სადაც უფრო დაცულები ვიქნებით? თუ აღმოჩნდება, რომ იარაღის შემცირება დანაშაულის დონეს არ ამცირებს, მაშინ რატომ ზღუდავს ამდენი ქვეყანა იარაღის ფლობას?

თუ კანონის იდეა მდგომარეობს ადამიანების სიცოცხლის, თავისუფლების და საკუთრების დაცვაში და იარაღის აკრძალვა ამის მიღწევაში გვეხმარება, მაშინ გამოდის, რომ ყველაფერი რიგზე ყოფილა. თუმცა, ზემოთ განხილული მაგალითებით თუ ვიმსჯელებთ, დასაშვებია, იარაღის კონტროლი ვერ გადიოდეს იმ შედეგზე, რისი მიღწევაც გვინდა, გვიზღუდავდეს თავისუფლებას

¹⁸ Bastiat, Frederic. *The law*. Laissez Faire Books, 1987.

და საკუთარი სიცოცხლის დაცვის საშუალებას, რადგან იარაღი თავდაცვის საშუალებაცაა.

ინტუიციურია, ვიფიქროთ, რომ დანაშაულსა და იარაღის ფლობას შორის პირდაპირპროპორციული კავშირი არსებობს (ჩეხოვს თუ დავესესხებით, “თუ პირველ მოქმედებაში კედელზე დატენილ თოფს ჩამოკიდებ, შემდეგ სცენაში აუცილებლად უნდა გაისროლოს”¹⁹) და იარაღის აკრძალვა დანაშაულის დონეს ამცირებს, რადგან რაც მეტ იარაღს ფლობს ხალხი, მით უფრო საშიში ხდება სოციალურ სივრცეში არსებობა - ადამიანს აქვს მიდრეკილება, გაიმარტივოს ცხოვრება და წაართვას სხვას, თუ ეს უფრო ადვილია, ვიდრე მუშაობა. “იქიდან გამომდინარე, რომ ადამიანის ბუნება დასაბამიდან მიისწრაფვის გვერდი აუაროს ტანჯვას, ხოლო შრომა კი ტანჯვაა, ადამიანები ყოველთვის უპირატესობას ანიჭებენ ძარცვას, როდესაც ეს შრომაზე იოლია”²⁰. ამიტომ, ბევრი ქვეყნის მთავრობა, სწორედ იმის გამო, რომ დაიცვას საკუთარი მოსახლეობის უსაფრთხოება, კრძალავს/აკონტროლებს იარაღის შეძენას და ფლობას. ამ დროს, ადამიანების მეორე ჯგუფი ამტკიცებს, რომ ისინი იარაღს იყენებენ მხოლოდ სპორტული თუ სანადირო მიზნებისთვის და კონტროლით მათი უფლებები ილახება, რადგან იარაღის მთავარი დანიშნულება სხვა ადამიანების განადგურება სულაც არაა. ასევე მნიშვნელოვანია, გავითვალისწინოთ, რომ იარაღი კრიმინალების შემაკავებელი ფაქტორიცაა - კვლევები აჩვენებს, რომ დამნაშავეების უმრავლესობა არ დაესხმებოდა თავს მსხვერპლს, თუ ეცოდინებოდა, რომ ის შეიარაღებულია.²¹

როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაში კანონმდებლების მოქმედება დაფუძნებულია მხოლოდ იმ დაშვებაზე, რომ იარაღის რეგულაცია შეამცირებს დანაშაულის დონეს, თუმცა იმის წინასწარ გასათვლელად თუ რა შედეგებს მოგვითანს ჩვენი გადადგმული ნაბიჯები, აუცილებელია სამი პირობა დაკმაყოფილდეს:

¹⁹ Чехов , А. П. “Письмо Лазареву (Грузинскому) А. С., 1 Ноября 1889 г. Москва.” Чехов — Лазареву (Грузинскому) А. С., 1 ноября 1889. Accessed January 15, 2021. <http://chegov-lit.ru/chegov/letters/1888-1889/letter-707.htm>.

²⁰ Bastiat, Frederic. *The law*. Laissez Faire Books, 1987.

²¹ Rossi, Peter H. *Armed and considered dangerous: A survey of felons and their firearms..* Routledge, 2017.

1. კარგად გვესმოდეს, რა ფაქტორები ახდენს გავლენას იმ შედეგზე, რისი მიღებაც გვინდა
2. საკმარისი და ობიექტური ინფორმაცია გვქონდეს გადაწყვეტილების მისაღებად
3. გვესმოდეს, რამდენად იცვლება კონტექსტი და ადამიანთა მოტივაციები გადაწყვეტილების მიღების შედეგად

შესაბამისად, თუ დავუშვებთ, რომ:

1. იარაღის ფლობაა ის ფაქტორი, რომელიც კრიმინალზე ახდენს ზეგავლენას,
2. რომ საკმარისი და ობიექტური ინფორმაცია აქვთ პოლიტიკოსებს იარაღის აკრძალვისათვის,
3. და რომ იარაღის აკრძალვის შემდეგ ადამიანების ქცევა იგივე დარჩება, რაც მანამდე იყო, მხოლოდ იარაღი იქნება აკრძალული და სხვა არაფერი შეიცვლება,


მაშინ შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ იარაღის კონტროლი წარმატებით მოახერხებს დასახული მიზნის მიღწევას (დანაშაულის დონის შემცირებას). მაგრამ თუ მართებული არ არის ეს დაშვებები? თუ ბოლო პუნქტიდან დავიწყებთ, მაშინ თვალსაჩინოებისათვის უპრიანია, გავიხსენოთ ფილმი “უკან მომავალში”²², სადაც პერსონაჟები შეცდომას დაუშვებენ და მისი გამოსწორება ძალიან უჭირთ, რადგან აწმყო, სადაც დაბრუნდებიან, სწორედ მათი საქციელის გამო, შეცვლილი ხვდებათ და ხედავენ, რომ ძალიან რთულია წინასწარ განსაზღვრა, თუ რა შედეგს გამოიღებს შენი გადაწყვეტილება, რადგან კონტექსტიც შეიძლება შეიცვალოს და ახალ გარემოში ყველაფერი შეიძლება სრულიად განსხვავებულად ოპერირებდეს და არა ისე, როგორც ელოდი.

მაშასადამე შეცდომა, რომელიც აღნიშნულ დაშვებებს შეიძლება ახლდეს, არის ის, რომ ჩვენ რეგულაციის შედეგებს ვპროგნოზირებთ “სხვა თანაბარ პირობებში”, ანუ ვთვლით, რომ გარემოში არაფერი იცვლება, გარდა რეგულაციისა, შესაბამისად ინდივიდის ქცევაც იგივე რჩება და მხოლოდ რეგულაციაზე რეაგირებს, რაც, რათქმაუნდა, არასწორია. წარმოვიდგინოთ, რომ რეგულაცია ზეგავლენას ახდენს არა მხოლოდ ერთ კომპონენტზე, არამედ


²² “Back to the Future (1985).” Rotten Tomatoes. Accessed December 14, 2020. https://www.rottentomatoes.com/m/back_to_the_future.

შეიძლება ცვლიდეს მრავალ ჭანჭიკს, რაზეც დაფუძნებულია ჩვენი გარემო. ალბათ გაგვიადვილდება აღქმა, თუ გარემოს წარმოვიდგენთ როგორც დიდ ქსელს, სადაც ყველაფერი ერთმანეთთანაა დაკავშირებული, სადაც ერთი ძაფის შეცვლა კი არა, შერხევაც კი რეზონანსს იწვევს, წონასწორობა ირღვევა, მთლიანი სურათი იცვლება და ქსელი ახლებური სახით წარმოგვიდგება. და ეს ახლებური მდგომარეობა მნიშვნელოვნად განსხვავებულ რეალობას შეიძლება გვაძლევდეს და საერთოდ არ იყოს მსგავსი იმ გარემოსი, რომლის მიხედვითაც ჰიპოთეზების აგება დავიწყეთ.

გრაფიკულად ეს ასე შეგვიძლია წარმოვიდგინოთ:



გრაფიკი 1. კანონის მიღება ხდება *ceteris paribus*²³ პრინციპით



გრაფიკი 2. კანონის მიღება ზეგავლენას ახდენს კონტექსტზე და ქცევაზე, შესაბამისად შედეგიც განსხვავებული მიიღება

რაც შეეხება ძირითად კითხვას, არის თუ არა იარაღის კონტროლი ის ფაქტორი, რომელიც ზეგავლენას ახდენს დანაშაულის დონის შემცირებაზე და შესაბამისად, რამდენად აღწევენ ქვეყნები დასახულ მიზნებს იარაღის აკრძალვის კანონით, ქვემოთ ვუპასუხებ (ასევე შევხები ქვე-საკითხებსაც:

²³ Schlicht, Ekkehart. *Isolation and aggregation in economics*. Springer Science & Business Media, 2012.

მაგალითად, თუ ვერ აღწევნ რეგულაციები დასახულ მიზნებს, მაშინ რატომ კრძალავენ ქვეყნები იარაღს? რამდენად ზღუდავ ადამიანების თავდაცვის უფლებას იმის მოტივით, რომ ამით, პირიქით, დაეხმარები მათ თავდაცვაში?).

რომ შევაჯამო, იარაღის კონტროლი შეიძლება არ იყოს ეფექტური, რადგან:

1. მისი შემუშავება ხდება *ceteris paribus* დაშვებით და ნაკლებად მოიაზრება, რომ თუ იარაღს ავკრძალავთ, კონტექსტი არ იქნება იგივე გარემო, რაც რეგულაციამდე იყო, ოღონდ იარაღის გარეშე
2. მთავრობა იძულებულია, რომ პრობლემის გადასაჭრელად სასწრაფოდ გადადგას ნაბიჯები, რადგან მოსახლეობა პოლიტიკოსებისგან სწორედ ამას მოითხოვს/მოელის. შესაბამისად პოლიტიკური გადანყვეტილებები შეიძლება არც ემსახურობდეს პრობლემის გადაჭრას, არამედ მოსახლეობის კმაყოფილებას მოკლევადიან პერიოდში
3. ხალხის დამოკიდებულებას იარაღისადმი ამძაფრებს მედია, რადგან მას არ შეუძლია გააშუქოს არაფრით გამორჩეული ამბები, რაც საინტერესო არაა. შესაბამისად ისინი იძულებულები ხდებიან ამოირჩიონ ყველაზე დრამატულები და მათი კიდევ უფრო მეტი დრამატიზება მოახდინონ, რაც მოსახლეობას პირდაპირ უბიძგებს, პრობლემებზე პასუხი მთავრობას მოსთხოვოს.

2. რა არის იარაღის კონტროლი?

სანამ დავიწყებდეთ განხილვას, თუ როგორაა დაკავშირებული იარაღის ფლობა და დანაშაული ერთმანეთთან, აუცილებელია ავხსნათ, თუ რა არის საერთოდ იარაღის კონტროლი და რა მეთოდებით ცდილობენ სახელმწიფოები იარაღის რეგულაციებს²⁴.

იარაღის კონტროლი კანონების ერთობლიობაა, რომელიც შეიძლება არეგულირებდეს იარაღის შეძენას, ფლობას, გამოყენებას, ტარებას, გადატანას, შეკეთებას, ვაჭრობას, წარმოებას, დისტრიბუციას, იმპორტსა და ექსპორტს, შეგროვებასა თუ გადაგდებას. იარაღის კონტროლის იდეა მდგომარეობს იარაღით ჩადენილი დანაშაულის შემცირებაში, რომლის მიღწევასაც ქვეყნები სხვადასხვა საშუალებით ცდილობენ, რასაც ქვემოთ განვიხილავ.

ერთ-ერთი ყველაზე ხშირად გამოყენებადი მეთოდი იარაღის და ვაზნების გაყიდვის ლიცენზირებაა. ასევე, ბევრ ქვეყანაში ხშირად იკრძალება გარკვეული სახის იარაღი და მისი გამოყენების უფლება ენიჭება მხოლოდ არმიას, ფლოტს და სხვა სახელმწიფო ორგანოებს. აღნიშნული იარაღის ჩამონათვალი სხვადასხვა ქვეყნის კანონით განსხვავდება. მაგალითად, ევროკავშირის დირექტივებით იკრძალება ასაფეთქებელი ნივთიერებების, ავტომატური და ისეთი იარაღის, რომელიც სხვა ნივთს ჰგავს, ყიდვა-გაყიდვა. ასევე იკრძალება ასაფეთქებელი, ჭავჭანგამტანი (penetrating) და ცეცხლგამჩენი ვაზნები. ბევრ ქვეყანაში შეზღუდულია მოკლე ვინჩესტერები, ნახევრადავტომატური, გადაჭრილლულიანი, დიდვაზნიანი იარაღები და მაყუჩები.

კანონი ასევე ხშირად აკონტროლებს სამსახურეობრივ იარაღს (რომელიც გადაეცემათ არმიაში თუ ფლოტში სამსახურის დროს), და ნებას რთავს მისით ისარგებლონ მხოლოდ სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს. აღნიშნული იარაღის გატანა არ შეიძლება სამსახურის პერიმეტრს გარეთ (გამონაკლისებიც, რა თქმა უნდა, არსებობს, მაგალითად შვეიცარია, სადაც სახლში ინახავენ იარაღს და სამსახურის დასრულების შემდეგ იტოვებენ).

²⁴ Levush, Ruth; Buchanan. Firearms-Control Legislation and Policy. Accessed December 14, 2020. <https://www.loc.gov/law/help/firearms-control/index.php>.

იარაღის კონტროლი ძირითადად აწესებს ასაკის მინიმუმს, როდესაც ადამიანს შეუძლია შეიძინოს იარაღი (ბევრგან ესაა 18 ან 21 წელი).

ასევე, შეძენისას, ბევრ ქვეყანაში ითხოვენ ყიდვის მიზეზის ახსნას: სამსახური, სპორტი, რეკრეაცია, კოლექციონერობა და ა.შ. მაგალითად, ბრიტანეთში, თავდაცვის გამო იარაღის ყიდვა არ ითვლება კარგ მიზეზად.

იარაღის კონტროლი ასევე შეიძლება არეგულირებდეს ვაზნების ყიდვა-გაყიდვას, შეძენა შეიძლება მხოლოდ შეეძლოს იარაღის მფლობელს და ვაზნები აუცილებლად უნდა ემთხვეოდეს იარაღის კალიბრს. შეიძლება შეზღუდული იყოს ვაზნების რაოდენობა, რისი ყიდვაც ნებადართულია.

ბევრ ქვეყანაში ყიდვისას ასევე ამოწმებენ მყიდველის წარსულს: ხომ არ ჰქონიათ ჩადენილი დანაშაული მას ან მის ოჯახის წევრებს ან ხომ არ ყოფილან შემჩნეული საეჭვო აქტივობაში თუ ოჯახურ ძალადობაში (შეიძლება ამოწმებდნენ ნათესავებსაც კი). ასევე ამოწმებენ ნარკოდამოკიდებულებას და სამედიცინო ისტორიას: ხომ არ აღენიშნება რაიმე სახის დარღვევები მენტალური თუ ფიზიკური ჯანმრთელობის კუთხით.

ბევრგან იარაღის შეძენა შეუძლია მხოლოდ მას, ვისაც გავლილი აქვს სპეციალური კურსი (იარაღის გამოყენების, უსაფრთხოების თუ სხვა) და ჩაბარებული აქვს გამოცდა.

ზოგ ქვეყანაში ასევე მოქმედებს მოცდის პერიოდი, რომელიც აწესებს დროის მინიმუმს, რაც უნდა გავიდეს იარაღის შეძენის სურვილის დაფიქსირების შემდეგ (მაგალითად 1 თვე), რის შემდეგაც შეგიძლია ყიდვა.

ხშირად დაწესებულია იარაღის შენახვის სპეციფიკური პირობები (მაგ. უნდა განთავსდეს სეიფში, ვაზნები ცალკე იქნას შენახული და ა.შ.). შეიძლება ასევე გათვალისწინებული იყოს პერიოდული შემოწმება პოლიციის მხრიდან, თუ როგორ სრულდება აღნიშნული მოთხოვნები.

ასევე ძალიან ხშირად ყიდვის პროცესში ხდება მყიდველის აღრიცხვა სპეციალურ რეესტრში, სადაც პირად და ბალისტიკურ მონაცემებთან ერთად თითების ანაბეჭდებიც შეიძლება ფიქსირდებოდეს.

3. დანაშაულის ფენომენი და სტატისტიკა

სანამ გავაგრძელებდეთ იარაღის კონტროლზე საუბარს, აუცილებელია ვუპასუხოთ კითხვებს, საერთოდ რა არის დანაშაული? რას მიჰყავს ადამიანი დანაშაულის ჩადენამდე? “დანაშაული სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედებაა”²⁵, მაშასადამე:

1. დანაშაული ქმედებაა, რომელიც საზოგადოებას საფრთხეს უქმნის
2. ქმედება (აგრეთვე უმოქმედობა, მაგ. დაუხმარებლობა) მართლსაწინააღმდეგოა, თუ ის ეწინააღმდეგება კანონს
3. ქმედება, რისთვისაც პირს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა ეკისრება, აუცილებლად სისხლის სამართლის კოდექსში უნდა იყოს ასახული (“nullum crimen sine lege” - დანაშაული არ არსებობს კანონის გარეშე)²⁶

ჩვენ ამ ნაშრომში განვიხილავთ სისხლის სამართლის დანაშაულს, როგორცაა განზრახ მკვლელობა, სიცოცხლის გაუფრთხილებლობით მოსპობა, სექსუალური ძალადობა, ყაჩაღობა, ძარცვა, თავდასხმა და იარაღით მუქარა²⁷, ასევე განვიხილავთ სუიციდს თუ სუიციდის მცდელობას, რაც დანაშაულს არ წარმოადგენს.

²⁵ “საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი.” სსიპ “საქართველოს საკანონმდებლო მაცნე”. Accessed December 14, 2020. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=230>.

²⁶ “Nullum Crimen Sine Lege.” Legal Information Institute. Legal Information Institute. Accessed January 19, 2021. https://www.law.cornell.edu/wex/nullum_crimen_sine_lege.

²⁷ Bureau of Justice Statistics (BJS). Accessed December 14, 2020. <https://www.bjs.gov/index.cfm?ty=tp&tid=31>.

რაც შეეხება მეორე კითხვას, რა უბიძგებს ადამიანს დანაშაულის ჩადენისკენ, მრავალი თეორია^{28 29 30 31 32 33} არსებობს. მაგალითად, ზენოლის თეორია ამბობს, რომ დანაშაულის ჩადენის მიზეზი დასახული მიზნების მიუღწევლობაა. როდესაც ადამიანი სასურველ შედეგს ვერ იღებს, შეიძლება საკუთარი იმედგაცრუება და ბრაზი დანაშაულის გზით წარმოაჩინოს.

ასევე გავრცელებულია ტკივილის და არასასიამოვნო სიტუაციების თავის არიდებასთან დაკავშირებული თეორია³⁴, რომლის მიხედვითაც, ბავშვობაში ხშირია დაცინვა, ფსიქოლოგიური და ფიზიკური ზეწოლა, რასაც მოზარდები განსაკუთრებით მძიმედ აღიქვამენ; ხშირად ისინი ანგარიშსწორებას ლეგიტიმური გზით ვერ ახერხებენ და მათ წინააღმდეგ მიმართული ძალადობა სიბრაზეზე დაფუძნებული დანაშაულის წინაპირობა შეიძლება გახდეს.

ბევრი მიზანი შესაძლოა, დაკავშირებული იყოს ფინანსურ კეთილდღეობასთან, რისმა მიუღწევლობამაც (ამ შემთხვევაში საშუალო და მაღალ ფენას უპირატესობა აქვთ) დაბალი სოციალური ფენის იმედგაცრუება ან ბრაზი გამოიწვიოს და დანაშაულის ჩადენის სურვილად გადაიქცეს.

ჩვენ არამხოლოდ მიზნების მიღწევას ვცდილობთ, არამედ არასასიამოვნო ან გამაღიზიანებელი სიტუაციების თავიდან აცილებასაც (მაგალითად, დასჯისგან თავის დაღწევის მცდელობა). ტკივილის ან არასასიამოვნო სიტუაციის თავიდან აცილების შეუძლებლობა იწვევს გაღიზიანებასა და აგრესიას, განსაკუთრებით მაშინ, თუ მიგვაჩნია, რომ ჩვენს მიმართ ამგვარი ქცევა დაუმსახურებელი და

²⁸ Merton, Robert K. "Social structure and anomie." *American sociological review* 3, no. 5 (1938): 672-682.

²⁹ Cohen, Albert K. "Delinquent boys; The culture of the gang." (1955).

³⁰ Cloward, Richard A., and Lloyd E. Ohlin. *Delinquency and opportunity: A study of delinquent gangs*. Routledge, 2013.

³¹ Smelser, Neil J., and William T. Smelser. "Personality and social systems." (1963).

³² Agnew, Robert. "Foundation for a general strain theory of crime and delinquency." *Criminology* 30, no. 1 (1992): 47-88.

³³ Messner, Steven F., and Richard Rosenfeld. "Political restraint of the market and levels of criminal homicide: A cross-national application of institutional-anomie theory." *Social Forces* 75, no. 4 (1997): 1393-1416.

³⁴ Agnew, Robert. "General strain theory: Current status and directions for further research." *Taking stock: The status of criminological theory* 15 (2006): 101-123.

უსამართლოა. თუ მოზარდს ოჯახში აქვს უსიამოვნება, თავის არიდების მიზნით შესაძლოა სახლიდან გაიქცეს ან ქურდობა დაიწყოს, ფინანსური პრობლემების გადასაჭრელად. ხოლო თუ შეუძლია პრობლემის გადაჭრა (მაგალითად, თუ პრობლემები თავის ტოლთან აქვს), მის მიმართ მოხდება აგრესიის მოზღვაება და ფიზიკურ ანგარიშსწორებას მიმართავს. ქცევის დანაშაულის ჩადენაში გარდაქმნაზე ბევრი ფაქტორი მოქმედებს, როგორებიცაა თანატოლებში დანაშაულის ჩადენის პრაქტიკა, იმაზე ფიქრი, თუ რამდენად დამსახურებულია განხორციელებული ზეწოლა, რამდენად მოსალოდნელია, რომ დანაშაულის ჩადენისთვის დაისჯება, ლოკაცია, სოციალური გარემო და ა.შ.

მიჩიგანის უნივერსიტეტის მიერ ჩატარებულ კვლევაში³⁵, რომელშიც 2231 მოზარდი ბიჭი მონაწილეობდა, დასმული იყო მარტივი კითხვები სკოლისა და სახლის შესახებ. მაგალითად, დაუსჯიათ თუ არა ისინი ფიზიკურად ან სიტყვიერად შეურაცხველიათ სხვების თანდასწრებით. შედეგებმა აჩვენა, რომ ამ ბიჭებს მშობლები ხშირად უყვირიან, ეჩხუბებიან, ურტყამენ და აიგნორებენ მათ სურვილებს და აზრებს, მოზარდები კი ხშირ შემთხვევაში მათ ჩხუბს დაუმსახურებლად და უსამართლოდ მიიჩნევენ. ასევე აღმოჩნდა, რომ სკოლაში მასწავლებლები ხშირად კარგავენ წონასწორობას და აკეთებენ არასასიამოვნო კომენტარებს. გამოკითხულთა უმრავლესობას მიაჩნდა, რომ სკოლა მოსაწყენია და დროის უაზროდ ფლანგვაა. გამოკითხულთა სრულმა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ მათთვის ყველაზე არასასიამოვნო გარემო იყო სახლი ან სკოლა.

გამოკითხულთა დიდმა ნაწილმა აღიარა, რომ მარტივად ბრაზდებიან, დიდხანს აწუხებთ პატარა გაღიზიანებას კი და ყველაზე ხშირად აგრესიას და ბრაზს მშობლების და მასწავლებლების მიმართ გრძნობენ.

ამ აგრესიამ და ტკივილმა, რომლის თავიდან აცილებაც არ შეუძლიათ, შესაძლოა მათ უბიძგოს სხვადასხვა სიმძიმის დანაშაულის ჩადენისკენ, დაწყებული მცირე ქურდობებით, დასრულებული მკვლელობით, რაზეც, რასაკვირველია, მოქმედებს აგრესიის დონე, რამაც შეიძლება გამოიწვიოს

³⁵ Agnew, Robert. "A revised strain theory of delinquency." *Social forces* 64, no. 1 (1985): 151-167.

გამლიზიანებელზე ფიზიკურ თავდასხმა, იქნება ეს კლასელი თუ მშობელი, ან, დაბალი დოზის შემთხვევაში, უბრალოდ გაქცევა და თავის არიდება.

აღნიშნული კვლევიდან ჩანს, რომ ისინი, ვისაც ნაკლები შანსი აქვთ, თავიდან აირიდონ არასასიამოვნო სიტუაციები, უფრო ხშირად მიმართავენ არასამართლებრივ გზებს “სამართლიანობის აღსადგენად”. შესაბამისად, მნიშვნელოვანი ელემენტი, რაც შეიძლება მოქმედებდეს ქვეყანაში დანაშაულის დონეზე შეიძლება იყოს უსამართლობა, სოციალური უთანასწორობა, განათლების სისტემის დაბალი ხარისხი და ნაკლები პერსპექტივა.

დანაშაული ყოველთვის გავლენას ახდენს სოციუმზე მეტნაკლები ხარისხით, მითუფრო თუ საქმე ეხება მის უკიდურეს გამოვლინებას - განზრახ მკვლელობას, რომელსაც გარდა ადამიანის სიცოცხლის პირდაპირი დანაკარგისა, არაერთი არაპირდაპირი უარყოფითი შედეგი მოაქვს. მკვლელობა ზეგავლენას ახდენს მსხვერპლის ოჯახსა და საზოგადოებაზე, ვისაც შეგვიძლია „მეორე რიგის მსხვერპლი“ ვუწოდოთ. ის ქმნის სასტიკ და ძალადობით სავსე გარემოს და უარყოფით ზეგავლენას ახდენს საზოგადოებაზე, ეკონომიკასა და სახელმწიფო ინსტიტუტებზე.

როდესაც განზრახ მკვლელობის დონის გაზომვაზე მიდგება საქმე, პირველ რიგში საჭიროა განვმარტოთ კონკრეტულად როგორი ტიპის მკვლელობა უნდა გავითვალისწინოთ. The International Classification of Crime for Statistical Purposes (ICCS)-ის განმარტებების მიხედვით³⁶, განზრახ მკვლელობად მიიჩნევა მკვლელობა, რომელიც მოიცავს შემდეგ ელემენტებს:

- ერთი ადამიანის მიერ მეორის მკვლელობა (ობიექტის არსებობა - მსხვერპლი)
- დამნაშავის მხრიდან მოკვლის ან სერიოზული ტრავმის მიყენების განზრახვა (სუბიექტი - დამნაშავე)

³⁶ Bisogno, Enrico, Jenna Dawson-Faber, and Michael Jandl. "The International Classification of Crime for Statistical Purposes: A new instrument to improve comparative criminological research." *European Journal of Criminology* 12, no. 5 (2015): 535-550.

ყველა მკვლელობა ან თავდასხმა, რომელიც მოიცავს ზემოთხსენებულ ელემენტებს, მიიჩნევა, როგორც განზრახ მკვლელობა (მათ შორის ტერორიზმიც).

მრავალი გარემოება, სხვადასხვა ტიპის მოტივაცია თუ ურთიერთობა შეიძლება გახდეს მკვლელობის წინაპირობა, თუმცა Global Study on Homicide³⁷ გამოყოფს სამ ძირითად ტიპს: ადამიანებს შორის კონფლიქტით გამოწვეულ მკვლელობებს, კრიმინალურ საქმიანობასთან დაკავშირებულს და სოციოპოლიტიკურ გარემოზე დამოკიდებულს.

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს არ ძალუძს განზრახ მკვლელობების 100%-ით პრევენცია, მას შეუძლია მნიშვნელოვნად შეამციროს რისკები:

სიღარიბე - არის ერთ-ერთი რისკ ფაქტორი, რომელიც დაკავშირებულია განზრახ მკვლელობასთან. უკიდურესი სიღარიბის დროს ადამიანმა მკვლელობა შესაძლოა გადარჩენის გზად გამოიყენოს (აქ არ იგულისხმება თავდაცვა). ნაციონალურ დონეზე როდესაც სახელმწიფოს ფული არ აქვს, ეს ავტომატურად გულისხმობს თავდაცვის სტრუქტურების მცირე დაფინანსებას, რაც თავის მხრივ მკვლელობების და კრიმინალის დონეს ზრდის.

განათლება - როდესაც ინდივიდს არ აქვს საშუალება მიიღოს სრულფასოვანი განათლება, სხვადასხვა სოციალური თუ ეკონომიკური ფაქტორის გამო, უფრო მეტად მოსალოდნელია, რომ იგი გამოავლენს ძალადობით ქმედებას სხვა ადამიანის მიმართ. განათლება კი ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი იარაღია, რომლის მეშვეობითაც ადამიანს გამოუმუშავდება ის უნარები, რომლებიც საჭიროა ცხოვრებაში ძალადობის გარეშე გადასარჩენად.

გენდერული თანასწორობა - გენდერული უთანასწორობის გამო ხშირად ვხვდებით ქალების მიმართ ძალადობას და ფატალურ შედეგსაც. ბოლო წლების განმავლობაში მდედრობითი სქესის გაძლიერებამ მნიშვნელოვნად შეამცირა მათ წინააღმდეგ მიმართული ძალადობის დონე.

³⁷ UNODC, Global Study on Homicide 2019 (Vienna, 2019)

უთანასწორობა რესურსებზე წვდომაში - სოციოპოლიტიკური უთანასწორობა, რაც ძირითადად გამოიხატება რესურსებზე არათაბარ წვდომაში, დამტკიცებულია, რომ განზრახ მკვლელობის გამომწვევი ერთ-ერთი ყველაზე ხშირი მიზეზია.


ამ თავში ვცადე, მეჩვენებინა თუ რა არის დანაშაული და რამ შეიძლება მიიყვანოს ადამიანი მის ჩადენამდე, ხოლო ახლა წარმოგიდგენთ ციფრებს, თუ რა სიტუაციაა მსოფლიოში დანაშაულის კუთხით.

3.1 უკანასკნელი მონაცემები³⁸

სტატისტიკურად, განზრახ მკვლელობათა სპექტრში კრიმინალური საქმიანობა იმაზე მეტი სიკვდილის გამომწვევი მიზეზია, ვიდრე კონფლიქტები და ტერორიზმი ერთად. 2017 წელს 464,000 მოკლულიდან დაახლოებით 89,000 დაღუპულია სამხედრო კონფლიქტებში, 26,000 კი ტერორიზმის შედეგად, ხოლო დანარჩენი ორგანიზებული და არაორგანიზებული კრიმინალის დამსახურებაა. 21-ე საუკუნიდან მოყოლებული კრიმინალს დაახლოებით იმდენივე ადამიანი ემსხვერპლა, რაც სამხედრო მოქმედებებს მთელი მსოფლიოს მასშტაბით. 2000-2017 წლებში წელიწადში 65,000 მკვლელობა დაკავშირებული იყო კრიმინალურ დაჯგუფებებთან.

2017 წელს მსოფლიოში მკვლელობების რიცხვი მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა რეგიონების მიხედვით. ამერიკის ქვეყნებში 173,000 განზრახ მკვლელობა დაფიქსირდა (მკვლელობების 37%), მაშინ როდესაც მოსახლეობის რაოდენობა დაახლოებით 1 მილიარდია, რაც მსოფლიოს მაჩვენებლის მხოლოდ 13%-ს შეადგენს. აფრიკის რეგიონის მაჩვენებელიც აღემატებოდა მსოფლიოს საშუალოს, რაც 100,000-დან 13 მსხვერპლს წარმოადგენდა (ჯამში 163,000). კონტრასტისთვის, ევროპის მაჩვენებელი 100,000-ში 3 ადამიანი იყო, რაც მთლიანი მკვლელობების 5%-ს შეადგენს, მაშინ როდესაც ევროპის მოსახლეობის რაოდენობა მსოფლიოს 10%-ია.

³⁸ UNODC, Global Study on Homicide 2019 (Vienna, 2019)




წყარო: UNODC homicide statistics.

**გრაფიკი 3. მკვლელობათა რიცხვის და მოსახლეობის რაოდენობის
შედარება მსოფლიოში**

2017 წელს 87,000 ქალი გახდა განზრახ მკვლელობის მსხვერპლი, რაც შემცირებული მაჩვენებელია 2012 წლის შემდეგ. თუმცა, კონკრეტულად ოჯახის წევრების ან სექსუალური პარტნიორების მიერ მოკლული ქალების რიცხვი 48,000-დან 50,000-მდე გაიზარდა, ანუ 47%-დან (2012წ) 58%-მდე (2017წ). შემაშფოთებელია, რომ დღესაც, სახლი ქალებისთვის ერთ-ერთ ყველაზე სახიფათო ადგილად ითვლება, რადგან სახლში ჩადენილი ძალადობების უმრავლესობა ფატალური შედეგით სრულდება.

განზრახ მკვლელობის მაჩვენებელი, რომლის მსხვერპლიც 14 წლამდე ბავშვები გახდნენ, მსოფლიო მაჩვენებლის 5%-ზე ნაკლებს შეადგენს (21,540 ბავშვი), რაც საკმაოდ სტაბილური მაჩვენებელია ბავშვების რაოდენობასთან მიმართებაში, 2008 წლიდან მოყოლებული.

ამერიკაში ცეცხლსასროლი იარაღიდან ჩადენილი დანაშაულის რიცხვი ყოველთვის უფრო მაღალი იყო, ვიდრე სხვა იარაღებიდან. 2017 წელს ჩადენილი განზრახ მკვლელობების ნახევარზე მეტი ჩადენილი იყო სწორედ ცეცხლსასროლი იარაღით (იხ. გრაფიკი 4)



წყარო: UNODC homicide statistics.


გრაფიკი 4. მკვლელობათა ჩადენისას გამოყენებული იარაღის სტატისტიკა

2017 წლის შედეგების მიხედვით განზრახ მკვლელობის მსხვერპლთაგან 81% კაცები ან ბიჭები იყვნენ, რაც ქალების მკვლელობათა რიცხვს დაახლოებით 4-ჯერ აღემატება. კიდევ უფრო ხშირია შემთხვევები, როდესაც მამაკაცები არა მსხვერპლნი, არამედ დამნაშავეები არიან. 2010 – 2017 წლებში მკვლელობების 90%-ზე მეტს შემთხვევებში ეჭვმიტანილები სწორედ მამაკაცები იყვნენ. ამავე წლებში ქალების მიერ ჩადენილი მკვლელობების მაჩვენებელი ყველა ჩადენილ დანაშაულთან მიმართებაში საშუალოდ 6% იყო მსოფლიოში. ევროპაში ეს ციფრი 9%-ს წარმოადგენდა, აფრიკაში 5%, ხოლო აზიაში 6%-ს.

ამერიკაში, უფრო დიდი რისკია, რომ 15-29 წლის მამაკაცები გახდნენ მკვლელობის მსხვერპლნი ან ჩამდენნი, მაშინ როდესაც იგივე მაჩვენებელი ევროპაში 30-44 წ. ასაკზე მოდის.

როგორც ვხედავთ, ძალიან მრავალფეროვანია (და ღრმა კვლევის საგანს წარმოადგენს, თუმცაღა ჩვენი ნაშრომის ფარგლებს სცდება) განზრახ მკვლელობათა სურათი კონკრეტული ქრილის გათვალისწინებით, მაგრამ ეს ყველაფერი ინტეგრირებულად ასე აისახება:

მკვლელობათა სტატისტიკა (მსხვერპლთა რაოდენობა 100,000 მოსახლეზე გაანგარიშებით), რეგიონების მიხედვით, 2017



წყარო: UNODC homicide statistics.

გრაფიკი 5. მკვლელობათა სტატისტიკის შედარება რეგიონების მიხედვით, 1993-2017 წლები

განზრახ მკვლელობების რიცხვი იკლებს, თუმცა ნელი ტემპით, რაც ზემოთ მოყვანილი გრაფიკიდან კარგად ჩანს. მაგალითად, გლობალური ციფრი (7.4) 1993 წლიდან 2017 წლამდე შემცირდა 6.1-მდე. ამ კლების ძირითადი მიზეზი აფრიკას უკავშირდება, სადაც ბოლო 25 წლის განმავლობაში სტატისტიკა თითქმის 3.5-ით შემცირდა, მაგრამ ეს მაჩვენებელი ფარდობითია, რაც იმითაა გამოწვეული, რომ **მსოფლიოში მოსახლეობის რაოდენობა უფრო სწრაფი ტემპით იზრდება, ვიდრე მკვლელობების რაოდენობა**. განზრახ მოკლულ ადამიანთა რიცხვი 1990 წლიდან, როდესაც ის შეადგენდა 362,000 ადამიანს, 2017 წელს 464,000 გახდა (28%-იანი ზრდა), როდესაც მსოფლიოს მოსახლეობამ 5.29 მილიარდიდან 7.53 მილიარდს მიაღწია (42%-იანი ზრდა).

ეს მონაცემები ნათლად აჩვენებს მკვლელობების ტენდენციებს, სადაც ვხედავთ, რომ მიუხედავად იარაღის კონტროლის გამკაცრების თუ სხვა გადადგმული ნაბიჯებისა, რასაც ქვეყნები მუდმივად მიმართავენ, დანაშაულის რიცხვი, ბოლო 30 წელია, არ მცირდება.

4. აშშ და იარაღი

მსოფლიოში იარაღის 75% (იარაღის მთლიანი რაოდენობა 875 მილიონი ერთეულია) რიგითი მოქალაქეების მფლობელობაშია, ხოლო ამ იარაღის 48% მხოლოდ ერთ ქვეყანაზე - აშშ-ზე მოდის³⁹, რომლის მოსახლეობაც მსოფლიო მოსახლეობის მხოლოდ 4%-ს შეადგენს, შესაბამისად ვთვლი, რომ ამ ნაშრომის მნიშვნელოვანი ნაწილი აუცილებლად უნდა დავუთმო მის სიტუაციას და პოლიტიკის ანალიზს.

აშშ-ს იარაღთან მიმართებაში ისტორიული და მსოფლიოს მრავალი სხვა ქვეყნისგან განსხვავებული დამოკიდებულება ახასიათებს, რომელიც ძირითადად მისი ისტორიიდან გამომდინარეობს. პირველი მოსახლეობისთვის სროლის ცოდნა გადარჩენასთან ასოცირდებოდა, რადგან ეს იყო როგორც საკვების მოპოვების, ისე მტაცებელი ცხოველებისგან თუ ადამიანებისგან თავდაცვის საშუალება. შემდგომმა წლებმა, ინდიელებთან თუ ბრიტანელებთან მუდმივმა დაპირისპირებებმა, ფულის და შესაბამისად რეგულარული არმიის არარსებობამ, იმის საჭიროება გააჩინა, რომ თითოეულ ადგილობრივ მოსახლეს ჰქონოდა იარაღი და საკუთარი რესურსებით მიეღო მონაწილეობა სხვადასხვა ტიპის შეიარაღებულ მოქმედებებში. ბრიტანელებმა თოფისწამლის ემბარგოც კი დააწესეს, რათა შეესუსტებინათ კოლონისტების წინააღმდეგობის გაწევის უნარი, რამაც საფუძველი მისცა ამერიკის კონსტიტუციაში გაჩენილიყო “ცნობილი” მეორე შესწორება, რომ ყველას აქვს უფლება ატაროს იარაღი და ამით დაიცვას საკუთარი თუ სხვისი სიცოცხლე "A well regulated Militia, being necessary to the security of a free State, the right of the people to keep and bear Arms, shall not be infringed."⁴⁰

მეოცე საუკუნეში მდგომარეობა შეიცვალა, რამაც განაპირობა იარაღისადმი ემპირიული მიდგომა, ცნობილ შემთხვევებზე რეაგირება და კანონში ცვლილებების შეტანა. პირველი ცვლილება 1929 წლის ვალენტინის დღეს გახმაურებულ მკვლელობას მოჰყვა, როდესაც 1934 წელს მიიღეს ნაციონალური

³⁹ Alpers, Philip. "Guns in the United States - Firearms, Gun Law and Gun Control." Gun Law and Policy: Firearms and armed violence, country by country. Accessed December 20, 2020. <https://www.gunpolicy.org/firearms/region/united-states>.

⁴⁰ "Second Amendment." Legal Information Institute. Legal Information Institute. Accessed December 20, 2020. https://www.law.cornell.edu/constitution/second_amendment.

ცეცხლსასროლი იარაღის აქტი (NFA), რომელიც კრძალავდა ავტომატურ, გადაჭრილულუიან და მოკლელუიან იარაღს⁴¹.

პრეზიდენტ კენედის მკვლელობის შემდეგ მიიღეს იარაღის კონტროლის აქტი (GCA 1968), რომელიც აწესრიგებდა საშტატთაშორისო იარაღის გაყიდვებს და კრძალავდა იარაღის მიყიდვას გარკვეული რისკის კატეგორიის შემცველ პიროვნებებზე⁴².

პრეზიდენტ რეიგანის მკვლელობის მცდელობამ განაპირობა ბრეიდის კანონის (Brady Bill 1993) მიღება, რომელიც ითხოვდა წარსულის შემოწმებას (Background Check), რათა იარაღი არ მოხვედრილიყო რისკის შემცველი ინდივიდების ხელში⁴³.

1989 წელს კალიფორნიის სკოლაში მომხდარი სროლების შემდეგ ძალაში შევიდა თავდასხმის იარაღების⁴⁴ აკრძალვის აქტი (Assault Weapons Ban 1994), რომელიც კრძალავდა ავტომატურ და დიდ სავაზნე კოლოფიან იარაღებს⁴⁵.

როგორ შეიცვალა ამ ყველაფრის შემდეგ სიტუაცია?

⁴¹ Party, Boston T. "Boston's Gun Bible." (2004).

⁴² Spitzer, Robert J. The politics of gun control. Routledge, 2020.

⁴³ Knight, Brian. "State gun policy and cross-state externalities: Evidence from crime gun tracing." *American Economic Journal: Economic Policy* 5, no. 4 (2013): 200-229.

⁴⁴ ცეცხლსასროლი იარაღი ძირითადად 3 ფართო კატეგორიად იყოფა: 1. პისტოლეტები 2. თოფები 3. ვინჩესტერები. თოფებს და ვინჩესტერებს გრძელუილიან იარაღსაც ეძახიან (US Dept of the Treasury, Bureau of Alcohol, Tobacco and Firearms, and United States of America. "Crime Gun Trace Reports, 1999." (2000).).

ნახევრადავტომატური იარაღია ისეთი იარაღი, რომელიც ჩახმახის გამოკვრის შემდეგ აგდებს ცარიელ ვაზნას და ავტომატურად ამზადებს ახალ ვაზნას გასასროლად. ავტომატურია ისეთი იარაღი, რომელსაც შეუძლია რამდენიმე ტყვიის გასროლა ჩახმახის ერთჯერადად გამოკვრის შედეგად (Harlow, Caroline Wolf. Firearm use by offenders. US Department of Justice, Office of Justice Programs, Bureau of Justice Statistics, 2002.).

თავდასხმის იარაღია (Assault Weapon) ისეთი ნახევრადავტომატური იარაღი, რომელიც იყენებს დიდ სავაზნე კოლოფს და განკუთვნილია სწრაფად სროლისა და საბრძოლო მოქმედებებისთვის (Levs, Josh. "Loaded Language Poisons Gun Debate - CNNPolitics," February 1, 2013. <https://edition.cnn.com/2013/01/31/politics/gun-language/index.html>).

⁴⁵ Johnson, Kevin. "Stockton School Massacre: A Tragically Familiar Pattern." USA Today. Gannett Satellite Information Network, April 2, 2013. <https://www.usatoday.com/story/news/nation/2013/04/01/stockton-massacre-tragically-familiar-pattern-repeats/2043297/>.

აშშ-ში იარაღით გამოწვეულმა სიკვდილის შემთხვევებმა 39,773-ს მიაღწია 2017 წელს⁴⁶, რაც რეკორდული მაჩვენებელი იყო მის ისტორიაში, შესაბამისად მოსახლეობისთვის ეს მეტად აქტუალური და მტკივნეული თემაა. “ლოგიკურად”, ისინი იარაღის მფლობელობას უკავშირებენ გახშირებულ მკვლევლობებს და მთავრობას მუდმივად სთხოვენ ამ პრობლემის მოგვარებას.

მედიაც, ხშირად, გასაგები მიზეზების გამო (მკვლევლობის ისტორია უფრო საინტერესოდ აღიქმება საზოგადოებისათვის, ვიდრე ის შემთხვევა, თუ როგორ დახვდა შეიარაღებულ თავდამსხმელს შეიარაღებული მსხვერპლი და ყველაფერი დრამის გარეშე დასრულდა) აშუქებს აღნიშნულ ტრაგიკულ შემთხვევებს, რაც საზოგადოებას კიდევ უფრო უარყოფითად განაწყოებს იარაღის მიმართ.

ზოგი მეცნიერიც ცდილობს წარმოგვიდგინოს იარაღის ფლობის უარყოფითი მხარეები: მაგალითად, კუკი და ლუდვიგი⁴⁷, რომლებიც ამტკიცებენ, რომ იარაღის პრობლემების განხილვისას მხოლოდ სიკვდილის და დაჭრის ციფრები სრულ სურათს არ გვიჩვენებს, რადგან არსად ჩანს თუ რა ზეგავლენას ახდენს ეს ყველაფერი ზოგადად ცხოვრების სტანდარტზე, ცდილობენ დათვალონ თუ რამდენად ამცირებს იარაღით ჩადენილი დანაშაული ამერიკელების ცხოვრების დონეს, ახერხებენ ციფრებში გამოსახონ ბენეფიტები, რომლის მიღებაც შესაძლებელია კრიმინალის შემცირების შედეგად, თუმცა პრაქტიკულად არ ცდილობენ გაითვალისწინონ და აღიარონ, რომ იარაღის ფლობა შესაძლოა პოტენციურად დიდ როლს თამაშობდეს დანაშაულის თავიდან აცილებაში, როგორც ინდივიდუალურად, თავდაცვითი გამოყენების შემთხვევაში, ასევე ზოგადი შემაფერხებელი ეფექტის შედეგად.

მაგალითად, 2019 წლის დეკემბერში, ტეხასში, შეიარაღებულმა პირმა, რომელიც ჩვეულებრივ ესწრებოდა წირვას სხვებთან ერთად, უეცრად ცეცხლი გახსნა ეკლესიაში, მოკლა 2 და დაჭრა რამდენიმე, თუმცა ორმა იქვე მყოფმა ადამიანმა საპასუხო სროლით უპასუხა და გაანეიტრალა თავდამსხმელი, სანამ

⁴⁶ Alpers, Philip. “Guns in the United States - Firearms, Gun Law and Gun Control.” Gun Law and Policy: Firearms and armed violence, country by country. Accessed December 20, 2020. <https://www.gunpolicy.org/firearms/region/united-states>.

⁴⁷ Cook, Philip J., and Jens Ludwig. *Gun violence: The real costs*. Oxford University Press on Demand, 2000.

კიდევ უარესი მოხდებოდა⁴⁸ (და ა.შ. — მრავალი სხვა ანალოგიური ფაქტის მოყვანაა შესაძლებელი).

იარაღის სარგებლიანობის გათვალისწინება რეგულაციების მიღებისას აუცილებელია, თუმცა მოსალოდნელი ეფექტები მართლაც რთული გამოსათვლელია და დამატებული შეფასების გაკეთება საკითხზე - კანონმორჩილი მოქალაქეებისათვის იარაღის შენახვა-ტარების უფლება ზრდის თუ ამცირებს დანაშაულს, კიდევ უფრო ძნელია, მაგრამ ვთვლი, რომ ნებისმიერი პოლიტიკის ანალიზი, რომელიც უგულებელყოფს იარაღის მფლობელობის პოტენციურ სარგებელს, აუცილებლად არასარწმუნო დასკვნებამდე მიგვიყვანს.

1980-90 წლებში იარაღის რეგულაციები ერთ-ერთი ყველაზე მეტად განხილვადი თემა იყო აშშ-ს საზოგადოებაში. ბრეიდი ბილის (Brady Bill) მიღებამ 1993 წელს და ფაინშტაინის (Feinstein) ჩასწორებამ იგივე წელს (წარსულის შემოწმება და თავდასხმის იარაღების აკრძალვა) კიდევ ერთხელ გამოიწვია მწვავე დებატები აშშ-ს საზოგადოებაში. ისინი, ვინც რეგულაციების მომხრეები იყვნენ, მიუთითებდნენ, რომ სწორედ იარაღის მასობრივი ფლობაა გახშირებული დანაშაულების მიზეზი და შესაბამისად, მისი აკრძალვა იქნებოდა ეფექტის მომცემი; მოწინააღმდეგენი კი ამტკიცებდნენ, რომ იარაღის ფლობა პასუხია კრიმინალზე და იარაღის აკრძალვა განაიარაღებს კანონმორჩილ მოქალაქეებს და არა დამნაშავეებს.

ასევე ძალიან საინტერესო საკითხია, თუ როგორ ხდება ადამიანთა აზრის ჩამოყალიბება რაიმე საკითხზე: თურმე, მაგალითად, ისინი, ვისაც მეგობრები და ახლობლები ვიეტნამში ჰყავდათ, იმაზე მეტად არ იყვნენ ამ ომის წინააღმდეგები, ვიდრე ისინი, ვისაც ეს ომი ნაკლებად ეხებოდა; უმუშევრები იმაზე მეტად არ უჭერენ მხარს დასაქმების პროგრამებს, ვიდრე დასაქმებულები; მშობლები, ვისი შვილებიც საჯარო სკოლებში სწავლობენ, იმაზე მეტად არ ემხრობიან სწავლის სუბსიდირებას, ვიდრე სხვები და ა.შ.⁴⁹.

⁴⁸ Fedschun, Travis, and Bradford Betz. "Texas Church Shooting: Gunman Kills 2, 'Heroic' Congregants Take down Shooter." Fox News. FOX News Network, December 30, 2019. <https://www.foxnews.com/us/texas-church-shooting-texas-injured-active>.

⁴⁹ Wolpert, Robin M., and James G. Gimpel. "Self-interest, symbolic politics, and public attitudes toward gun control." *Political Behavior* 20, no. 3 (1998): 241-262.

თუმცა, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, საზოგადოების ინტერესის მიუხედავად, იმიგრაცია, ინფლაცია თუ ენერგეტიკული კრიზისი ვერ აყალიბებს გამოკვეთილ მოსაზრებებს მათ რეგულაციებზე.

ასევე, “ლოგიკურად”, დანაშაულის მსხვერპლნი იარაღის აკრძალვის მომხრეები უნდა იყვნენ, რადგან ის, ვინც იარაღზე რეგულაციების მომხრეა, ფიქრობს, რომ ეს კრიმინალის და ძალადობის შემცირებას განაპირობებს, თუმცა, აღმოჩნდა, რომ მათ არ გააჩნიათ ჩამოყალიბებული დამოკიდებულება და მეტიც, შეიძლება წინააღმდეგნიც იყვნენ იარაღის აკრძალვის⁵⁰. ამის ახსნა შეიძლება იმით, რომ კრიმინალის მსხვერპლნი ან ისინი, ვისაც ეშინიათ თავდასხმის, იარაღს ყიდულობენ თავდასაცავად, ანუ გამოდის, რომ კრიმინალის მაღალი დონე ქმნის პარადოქსულ სიტუაციას, როდესაც ხალხი თან მომხრეა და თან წინააღმდეგი იარაღის რეგულაციების.

იარაღის ფლობა ე.წ. “იარაღის კულტურას” აყალიბებს და თანამედროვე დროში არის ხალხი, ვისაც მოსწონს იარაღის კულტურა და ისინი, ვინც უარყოფენ მას, მორალური თუ სხვა მოსაზრებებიდან გამომდინარე. ზოგადად, იარაღისადმი საზოგადოებაში მკვეთრად პოლარიზირებული დამოკიდებულებები არსებობს. მაგალითად, ბევრი ემხრობა იმ გადაწყვეტილებას, რომ არ უნდა იყოს დაშვებული იარაღის მიყიდვა არასრულწლოვნების, კრიმინალების და ფსიქიკური პრობლემების მქონეთათვის (ლოგიკურია), თუმცა ასევე არსებობს ექსტრემალური დამოკიდებულებებიც, მაგალითად ხალხი, ვისაც იარაღის კონტროლი იმიტომ კი არ უნდა, რომ ეს კრიმინალის დონის შემცირებას შეუწყობს ხელს, არამედ იმიტომ, რომ მათ უბრალოდ სძულთ თვითონ იარაღი და ყველა, ვინც მას ატარებს და აგრესიის გამოხატულებად თვლიან, ანუ იარაღის ფლობას თავდაცვის ან ოჯახის უსაფრთხოების მიზანი კი არ აქვს, არამედ პარანოიის თუ ამორალურობის გამომსახველია.

აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ საზოგადოება ორადაა გახლეჩილი. ერთი ამტკიცებს, რომ იარაღის შემცირება კრიმინალს ამცირებს და მუდმივად გამოდის შესაბამისი მოთხოვნით, ხოლო მეორე ამბობს, რომ იარაღი თავდაცვისთვის ან სულაც სანადიროდ ან სპორტისთვის სჭირდებათ და რადგან კრიმინალს აკრძალვის შემთხვევაშიც მიუწვდება მასზე ხელი,

⁵⁰ Wolpert, Robin M., and James G. Gimpel. "Self-interest, symbolic politics, and public attitudes toward gun control." *Political Behavior* 20, no. 3 (1998): 241-262.

საკანონმდებლო ჩარევა მხოლოდ იმაზე იმოქმედებს, რომ კეთილსინდისიერ ოჯახებს მოუსპობს თავდაცვის საშუალებას (ანუ შეზღუდავს კანონმორჩილ მოქალაქეებს) და დააზარალებს მათ.

ამ საკითხისადმი დამოკიდებულებას შეიძლება განსაზღვრავდეს იდეოლოგია, ღირებულებები თუ პოლიტიკური პარტია. ღირებულებები, რომლებიც იარაღის კონტროლის წინააღმდეგია, დაფუძნებულია ინდივიდუალიზმზე და წინააღმდეგია მთავრობის ჩარევის მოქალაქეების პირად ცხოვრებაში. მაგალითად, რესპუბლიკური პარტია ისტორიულად იარაღის კონტროლის წინააღმდეგი იყო.

სხვადასხვა კვლევა აჩვენებს, რომ იარაღის კულტურა დემოგრაფიულია⁵¹ - აშშ-ში იარაღის მფლობელები ძირითადად სამხრეთში და სოფლად ცხოვრობენ; პროტესტანტებს უფრო მეტად აქვთ იარაღი, ვიდრე სხვა რელიგიის მიმდევრებს; თეთრკანიანებს უფრო მეტად აქვთ იარაღი, ვიდრე შავკანიანებს; იარაღის ფლობა მათულობს ასაკის და შემოსავლის ზრდასთან ერთად და კაცებს უფრო ხშირად აქვთ, ვიდრე ქალებს. დემოგრაფიის მიხედვითაც არსებობს განსხვავებები იარაღის რეგულაციების მიმართ - შავკანიანები უფრო მეტად ამართლებენ რეგულაციებს, ვიდრე თეთრები; შემოსავლის და განათლების ზრდასთან ერთად, ხალხი მეტად ემხრობა რეგულაციებს; იარაღის კონტროლისადმი უარყოფითი დამოკიდებულება კლებულობს, როდესაც პიროვნება საცხოვრებლად გადადის პატარა ქალაქიდან თუ სოფლიდან დიდ დასახლებაში და ჩრდილო-აღმოსავლეთით მაცხოვრებლები ნაკლებად ეწინააღმდეგებიან რეგულაციებს, ვიდრე სამხრეთ-დასავლეთის მოსახლეები.

ბევრი მეცნიერი ამტკიცებს, რომ მოხუცები უფრო მკვეთრად ნეგატიურად არიან განწყობილები კრიმინალის მიმართ, ვიდრე ახალგაზრდები და შესაბამისად მეტად ემხრობიან იარაღის კონტროლს, მაგრამ დანიჭელობისა და კატლერმა თავიანთ 1991⁵² წელს ჩატარებულ კვლევაში ვერ იპოვეს კორელაცია ამ ფაქტორებს შორის.

⁵¹ Wolpert, Robin M., and James G. Gimpel. "Self-interest, symbolic politics, and public attitudes toward gun control." *Political Behavior* 20, no. 3 (1998): 241-262.

⁵² Danigelis, Nicholas L., and Stephen J. Cutler. "Cohort trends in attitudes about law and order: Who's leading the conservative wave?." *Public Opinion Quarterly* 55, no. 1 (1991): 24-49.

რობერტ უოლპერტმა და ჯეიმზ გიმპელმა⁵³ ასევე გამოიკვლიეს თუ რა დამოკიდებულება აქვთ იარაღისადმი მათ, ვინც ისეთ შტატებში ცხოვრობენ, სადაც იარაღი მკაცრად რეგულირებულია, ან იქ, სადაც არაა რეგულირებადი. შეიძლება ვიფიქროთ, რომ რეგულირებად შტატებში მცხოვრებნი ერვევიან ამ კანონს და ნაკლებად უჩნდებათ პროტესტი, ხოლო არარეგულირებად შტატებში მცხოვრებთ უფრო დიდი პროტესტის გრძნობა უჩნდებათ აკრძალვებზე, რადგან მას მიიჩნევენ ტრადიციების და ისტორიის უგულვებელყოფად.

ავტორებმა ხალხის დამოკიდებულება რეგულაციებისადმი დაყვეს სამ მიმართულებად: პისტოლეტების ტარების აკრძალვა, თავდასხმის იარაღების (Assault Weapon) აკრძალვა და 7 დღიანი მოცდის პერიოდი შეძენისას, გამოიყენეს სხვადასხვა დროს ჩატარებული დამოუკიდებელი გამოკითხვების შედეგები (CBS News/New York Times, 1982 წლის აპრილი; CBS News/New York Times 1988 წლის ოქტომბერი; CBS News/New York Times State of the Union, 1992 წლის იანვარი; 1993 CBS News, 1993 წლის დეკემბერი და ა.შ.). ასევე ინფორმაციები, აშშ-ს იუსტიციის დეპარტამენტის სტატისტიკისგან, მაგ. რომელ შტატებში სჭირდება იარაღის შესყიდვას ლიცენზია, არის თუ არა მოცდის პერიოდი, რა რეგისტრაციის მოთხოვნები არსებობს, რომელია დაშვებული - იარაღის დაფარული ტარება თუ ღიად ტარება, საჭიროა თუ არა იარაღთან ერთად ლიცენზიის საბუთის ტარებაც და ა.შ.

კვლევის შედეგად აღმოჩნდა: პისტოლეტების ტარების აკრძალვა ყველაზე მეტად წინააღმდეგობრივი იყო, მისი მომხრეები 43-51% ფარგლებში მერყეობდნენ და იარაღის მფლობელების მოსაზრება მკვეთრად უარყოფითი იყო კანონის მიმართ, თუმცა სხვა ზომებს გაცილებით მეტი ხალხი უჭერდა მხარს: თავდასხმის იარაღების აკრძალვას - 79-81%, ხოლო 87-89% 7 დღიან მოცდის პერიოდს. ასევე, დადასტურდა, რომ იარაღის ტიპური მფლობელია მამაკაცი, თეთრკანიანი, კონსერვატორი, ოდნავ ნაკლებად განათლებული და ახალგაზრდა, თუმცა არ არის უფრო ღარიბი, ვიდრე იარაღის არმფლობელი და ცხოვრობს ამერიკის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში და სოფლად. გამოდის, იარაღის მფლობელი 22.8-33%-ით უფრო ხშირად ეწინააღმდეგება პისტოლეტის

⁵³ Wolpert, Robin M., and James G. Gimpel. "Self-interest, symbolic politics, and public attitudes toward gun control." *Political Behavior* 20, no. 3 (1998): 241-262.

ტარების აკრძალვას, ვიდრე არამფლობელი, ანუ პირადი ინტერესები უფრო მაღლა დგას, ვიდრე იდეოლოგია და პოლიტიკური ხედვები.

აღმოჩნდა ასევე, რომ იდეოლოგია იცვლებოდა წლების მიხედვით: 1988 წლის ოქტომბერში ჩატარებული კვლევისას კონსერვატორები (ზოგადად, კონსერვატორები - მემარჯვენეები, მხარს უჭერენ მცირე ზომის მთავრობას, ნაკლებ რეგულაციებს და თავისუფალ ბაზარს, მაშინ როდესაც ლიბერალები - მემარცხენეები, მეტი რეგულაციების და უნივერსალური სერვისების მომხრეები არიან, როგორცაა მაგალითად უფასო ჯანდაცვა) 18%-ით უფრო მეტად ეწინააღმდეგებოდნენ იარაღის აკრძალვას, ვიდრე ლიბერალები, თუმცა ეს განსხვავება მხოლოდ 2% იყო 1981 წლის კვლევაში, რაც შეგვიძლია მივაწეროთ სხვადასხვა პოლიტიკურ ფაქტორს (მაგ. ბრეიდი ბილს), რომლებიც ზეგავლენას ახდენენ იდეოლოგიაზე. ასაკი და სქესი მნიშვნელოვანი დეტერმინანტი აღმოჩნდა, რადგან ასაკოვნები და ქალები იარაღის აკრძალვების დიდი მომხრეები აღმოჩნდნენ.

პროტესტანტები იარაღის რეგულაციების წინააღმდეგნი იყვნენ, ხოლო რასობრივი ფაქტორი არ ახდენდა ზეგავლენას დამოკიდებულებაზე. აღმოჩნდა, რომ შავკანიანების ნაწილიც იარაღის აკრძალვის წინააღმდეგი იყო. ამის ახსნა შეიძლება სავარაუდოდ იმით, რომ მაკდოუელის და ლოფტინის⁵⁴ მიერ 1983 წელს და ფიგინის⁵⁵ მიერ 1970 ჩატარებული კვლევების მიხედვით, შავკანიანებს გაცილებით ნაკლებ სჭერათ პოლიციის და კრიმინალისგან თავდასაცავად თვითონაც იარაღს ყიდულობენ. ამ შედეგებს ასევე ამყარებს უოლპერტისა და გიმპელის მიერ 1992 წელს ჩატარებული გამოკითხვა⁵⁶, თუ რა მიზნებით შეიძინეს მფლობელებმა იარაღი - თეთრკანიანების 62%-მა უპასუხა, რომ ეს იყო სანადიროდ ან რეკრეაციული მიზნებისთვის და მხოლოდ 22.6%-მა შეიძინა თავდასაცავად, თუმცა შავკანიანების შემთხვევაში ეს ყველაფერი პირიქით იყო - 27% სანადიროდ და რეკრეაციული მიზნებისთვის, ხოლო 64% თავდასაცავად.

⁵⁴ McDowall, David, and Colin Loftin. "Collective security and the demand for legal handguns." *American Journal of Sociology* 88, no. 6 (1983): 1146-1161.

⁵⁵ Feagin, Joe R. "Home-defense and the police: Black and white perspectives." *American Behavioral Scientist* 13, no. 5-6 (1970): 797-814.

⁵⁶ Wolpert, Robin M., and James G. Gimpel. "Self-interest, symbolic politics, and public attitudes toward gun control." *Political Behavior* 20, no. 3 (1998): 241-262.

ანალოგიურად, პირადი ინტერესები მნიშვნელოვან როლს ასრულებდა თავდასხმის იარაღების აკრძალვის და 7 დღიანი მოცდის პერიოდის შემთხვევაშიც, თუმცა იარაღის მფლობელების თავდასხმის იარაღებთან დამოკიდებულება მნიშვნელოვნად ვარირებდა 1989-92 პერიოდში, რაც შესაძლოა გამოწვეული ყოფილიყო 1989 წელს პრეზიდენტი ბუშის მიერ მათი დროებითი აკრძალვით. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ ეს დამოკიდებულება გაცილებით სუსტი იყო, ვიდრე პისტოლეტების შემთხვევაში და იგივენაირად, დემოგრაფიული ფაქტორებიც მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ, როგორც პისტოლეტების შემთხვევაში.

როგორც ჩანს, იარაღთან მიმართებაში პირადი ინტერესები გაცილებით მნიშვნელოვან როლს თამაშობენ, სხვა ბევრი საკითხისაგან განსხვავებით.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამერიკა და იარაღი, როგორც უკვე ზემოთ ვაჩვენე, მუდმივი პოლემიკის თემაა. იარაღის მაღალი კონცენტრაციის გამო კრიმინოგენული ვითარება სწორედ მას მიეწერება ხოლმე და პოლიტიკოსებიც რეაქტიულ ნაბიჯებს დგამენ, რეაგირებენ რა ცნობილ შემთხვევებზე, თუმცა შედეგი არ ჩანს. ამ დროს ამერიკაში იარაღის კულტურაა ჩამოყალიბებული, თუმცა მოსახლეობის ნაწილი იარაღის მკვეთრად წინააღმდეგია და როგორც აღმოჩნდა, ეს დამოკიდებულებები ხშირ შემთხვევაში დემოგრაფიით, საცხოვრებელი ადგილით, ისტორიით თუ პოლიტიკური შეხედულებებითაა განპირობებული. მკვეთრი პოლარიზაციის გამო, შესაბამისად, ადვილი ასახსნელია, რატომ ინტერესდება მრავალი მკვლევარი აღნიშნული პრობლემით, თუმცა უფრო საინტერესო ისაა, რომ მათაც კი ერთმანეთისგან განსხვავებული დასკვნები გამოაქვთ.

ამიტომ, ამ ნაშრომში მე განვიხილავ და ერთმანეთს შევადარებ იარაღის კონტროლს სხვადასხვა ქვეყნის მაგალითზე, გავაანალიზებ მისდამი განსხვავებული დამოკიდებულებების მიზეზებს და რამდენიმე თითქოსდა “ლოგიკური” მითის ზეგავლენას ჩვენს გადანწყვეტილებებზე.

არგუმენტების გასამყარებლად ქვემოთ განვიხილავ იაპონიის მაგალითს, როგორც ერთ-ერთ ყველაზე ექსტრემალურ და აშშ-ს საპირისპირო შემთხვევას,

ასევე ქვეყნებს, რომლებიც გარკვეულწილად ჰგვანან ერთმანეთს: საქართველოს და სომხეთს, შვეიცარიას და იტალიას.

5. იაპონია და იარაღი

ერთ-ერთი ყველაზე ხშირად გამოყენებადი მაგალითი, რომელიც იარაღის კონტროლის მომხრეებს მოჰყავთ ხოლმე - იაპონია, როგორც იდეალური შემთხვევა, თუ რა სიკეთის და სიმშვიდის მოტანა შეუძლია მკაცრ კონტროლს.

იაპონიაზე და იარაღზე როდესაც ჩამოვარდება სიტყვა, განხილვის საგანი ხშირად ხდება 1992 წელს მომხდარი უბედური შემთხვევა, როდესაც იაპონელი სტუდენტი, რომელიც გაცვლითი პროგრამით იყო ამერიკაში, ჰელოუინის დამესწვეულებაზე მიდიოდა და შემთხვევით სხვა სახლში შევიდა. სახლის მეპატრონემ იარაღი აიღო და დაუყვირა, რომ გაჩერებულიყო, თუმცა ენის საკმარის დონეზე არცოდნის გამო, სტუდენტმა გააგრძელა მოძრაობა, სავარაუდოდ, მას ვერც წარმოედგინა, რომ ამერიკაში, იაპონიისგან განსხვავებით, იარაღს მოსახლეობის თითქმის ნახევარი ფლობს და სროლაც შეუძლიათ. ინციდენტი სავალალო შედეგით დასრულდა - სახლის მეპატრონემ გაისროლა და სრულიად უდანაშაულო ადამიანი მოკლა. ამ შემთხვევას დიდი ვნებათაღელვა და გამოხმაურება მოჰყვა იაპონიაში - შეიქმნა პეტიცია, რომელსაც ასობით ათასმა მცხოვრებმა მოაწერა ხელი და ითხოვდნენ იარაღის აკრძალვას აშშ-ში, თუმცა ამით ბევრი არაფერი შეცვლილა.

რასაკვირველია, აღნიშნული შემთხვევის განხილვის მიზანი ძირითადად ის არის ხოლმე, რომ გვაჩვენონ თუ როგორი ცუდია იარაღი და რა შეიძლება მოგვიტანოს მასობრივმა იარაღის ფლობამ და ზედმეტად ლიბერალურმა კანონებმა.

თუმცა, ვფიქრობ, უფრო ღრმად მსჯელობა რომ შეგვეძლოს აღნიშნულზე, პირველ რიგში გავაანალიზოთ სიტუაცია იაპონიაში და მათი დამოკიდებულება იარაღის მიმართ.

იაპონიის კონსტიტუციაში, რომელიც 1947 წელს შევიდა ძალაში, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, უკანონოდ იყო გამოცხადებული ყოველგვარი ომი, როგორც კონფლიქტის გადაჭრის საშუალება. მართალია აღნიშნულ კონსტიტუციაში 2014 წელს შევიდა ცვლილებები და დასაშვები გახდა ომი, თუ მოკავშირე ქვეყანა იბრძვის, მაგრამ ამ ცვლილებებს სერიოზული პოლიტიკური

ხმაური მოჰყვა ქვეყანაში და ბევრი წავიდა მის წინააღმდეგ⁵⁷. ეს ყველაფერი კარგად გვაჩვენებს, რაოდენ პაციფისტური და განსხვავებული დამოკიდებულება აქვს იაპონიას ძალადობასთან დაკავშირებით.

შესაბამისად, არ გაგიკვირდებათ, თუ ვიტყვი, რომ იაპონიაში იარაღის კანონი თუ ყველაზე არა, ერთ-ერთი ყველაზე მკაცრი ნამდვილადაა მსოფლიოში⁵⁸ და იწყება ჩანაწერით - “არავინ უნდა ფლობდეს იარაღს თუ ხმალს” და მხოლოდ იშვიათი გამონაკლისია დაშვებული. ამის გამოა, რომ იარაღი თითქმის არავის აქვს და რათქმაუნდა, იარაღით ჩადენილი მკვლევლობების რიცხვიც მინიმალურია, შესაბამისად ბევრი აპელირებს ამ ციფრებით და სხვადასხვა ქვეყანას მოუწოდებს მსგავსი მიდგომისკენ, მკვლევლობების შესამცირებლად.

ერთადერთი იარაღი, რისი ფლობაც იაპონიაშია დაშვებული, ვინჩესტერია, რომელიც სანადიროდ გამოიყენება, თუმცა მისი ფლობისთვის აუცილებელია ლიცენზია, რასაც სჭირდება სპეციალური კურსის გავლა და გამოცდის ჩაბარება. ლექციებზე დასწრება აუცილებელია, რისთვისაც აუცილებელია სამსახურიდან გამოსასვლელი დღის აღება და ეს პრაქტიკა კარგად მიღებული არაა იაპონიაში. აპლიკანტი შემდეგ უსაფრთხოების ტესტს გადის საავადმყოფოში, სადაც ამოწმებენ მის ფსიქოლოგიურ მდგომარეობას და ნარკოტიკებისადმი მიდრეკილებას. ამასობაში პოლიცია ამოწმებს აპლიკანტის და მისი ნათესავების წარსულს, რომ დანაშაული არ ჰქონდეთ ჩადენილი, ან არ იყვნენ რომელიმე აგრესიული პოლიტიკური ჯგუფის ან აქტივისტების წევრები და პოლიციას სრული უფლება აქვს მინიჭებული ნებისმიერი მიზეზით დაბლოკოს აპლიკანტი.

და ეს არ არის ყველაფერი: იარაღი და ვაზნები აუცილებლად უნდა იყოს შენახული სხვადასხვა სეიფში, რომლებიც ასევე, სახლის სხვადასხვა მხარეს უნდა მდებარეობდნენ, ხოლო სახლის რუკა უნდა გადაეცეს პოლიციას, რომელიც ყოველწლიურად ამოწმებს მას, რასაც, რასაკვირველია, სჭირდება მეპატრონის ადგილზე ყოფნა და სამსახურიდან კვლავ განთავისუფლება.

⁵⁷ Sieg, Linda, and Kiyoshi Takenaka. “Japan Takes Historic Step from Post-War Pacifism, OKs Fighting for Allies.” Reuters. Thomson Reuters, July 1, 2014. <https://www.reuters.com/article/us-japan-defense-idUSKBN0F52S120140701>.

⁵⁸ Kopel, David B. "Japanese Gun Control." *CRIME AND JUSTICE INTERNATIONAL* 19, no. 74 (2003): 4-10.

თითოეული ვაზნის შეძენა აღირიცხება. და რაც ყველაზე მთავარია, ამ ლიცენზიას ვადა სამ წელიწადში გასდის და ახლიდან სჭირდება აღნიშნული კურსის და გამოცდების გავლა/ჩაბარება. გასაგებია, რომ ამხელა თავისტკივილს მხოლოდ იარაღის დიდი მოტრფიალე თუ გაივლის და მოსახლეობის მხოლოდ უმცირესი ნაწილი (0.4%) ფლობს ვინჩესტერებს (500,000-ზე ნაკლები, როდესაც იაპონიის მოსახლეობა თითქმის 127 მილიონია).

ასევე მკაცრია კანონი იარაღის არალეგალურ ფლობაზე და სასჯელად ციხეა დაწესებული ერთიდან ათ წლამდე ვადით. პოლიციას დიდი უფლებები აქვს მინიჭებული და შეუძლია ნებისმიერი გაჩხრიკოს, თუ საეჭვოდ ჩათვლის, რაც მნიშვნელოვნად ამარტივებს არალეგალური იარაღის ამოღებას. პლუს, პოლიციას ყველა პატივს სცემს და თანამშრომლობს მათთან.

შესაბამისად, ვინჩესტერით ჩადენილი მკვლევლობები იაპონიაში მინიმალურია: 1989 წელს მხოლოდ 30 შემთხვევა დაფიქსირდა. თუმცა, პისტოლეტით ჩადენილი მკვლევლობათა რიცხვი წლიურად დაახლოებით 200-ია და უმრავლესობა ორგანიზებულ დანაშაულებრივ ჯგუფებს ეკუთვნის, რადგან რიგითი ადამიანები, როგორც ზევით აღვნიშნე, პისტოლეტს ვერ შეიძენენ კანონიერი გზით.

შედეგები შთამბეჭდავია, თუ ჩავთვლით, რომ ეს ყველაფერი ზემოთ განხილული კანონის და პროცედურების დამსახურებაა: ტოკიო ყველაზე უსაფრთხო ქალაქად ითვლება, რადგან მხოლოდ 59,000 ლიცენზირებული იარაღის მფლობელი ცხოვრობს იქ (14 მილიონი ადამიანიდან). შედარებისთვის, შეიარაღებული ძარცვა წელიწადში 40-ია, როდესაც ნიუ იორკში 11,000, ხოლო პისტოლეტით მკვლევლობათა რიცხვი 200-ჯერ მაღალია ამერიკაში (აბსოლუტურ გამოხატულებაში). ზოგადად, მკვლევლობათა რიცხვი 1.2-ია იაპონიაში 100,000 მოსახლეზე გაანგარიშებით⁵⁹.

თუმცა, უფრო ღრმად თუ გავაანალიზებთ, დავინახავთ, რომ არსებობს სხვა პრობლემები, რომლებიც ერთი შეხედვით თითქოს თვალში არ გვხვდება. ერთ-ერთი მონაცემი, რომელიც ხშირად მოჰყავთ, როდესაც იარაღის კონტროლს

⁵⁹ შენიშვნა: ნაშრომში მოყვანილი იარაღის ფლობის სტატისტიკა ყოველთვის 100,000 მოსახლეზე იქნება გაანგარიშებული


განიხილავენ ხოლმე, არის სუიციდის სტატისტიკა, რამეთუ თვითმკვლელობის შემთხვევებს ტიპურად უკავშირებენ ხოლმე იარაღის ფლობას, რადგან ამ შემთხვევებში ყველაზე ხშირად სწორედ იარაღია გამოყენებული. შესაბამისად, თუ ეს მართლაც ასეა, ჩვენ უნდა ველოდოთ, რომ იაპონიაში სუიციდის შემთხვევებიც მკვეთრად ნაკლები უნდა იყოს, ვიდრე აშშ-ში, თუმცა აღმოჩნდა, რომ ნაკლები იარაღი ნაკლებ თვითმკვლელობას სულაც არ ნიშნავს: იაპონიაში თვითმკვლელობათა რიცხვი 100,000 ადამიანზე გაანგარიშებით მსოფლიოში ყველაზე მაღალია და მაგალითად, 2020 წელს თვეში დაფიქსირებული თვითმკვლელობათა რიცხვი იმაზე მაღალია, ვიდრე მთლიანი წლის განმავლობაში კოვიდ-19 ვირუსით დაღუპულთა რაოდენობა.⁶⁰

დიახ, იარაღის საშუალებით ჩადენილი სუიციდის შემთხვევები იაპონიაში ამერიკასთან შედარებით 50-ჯერ ნაკლებია (რაც ლოგიკურია, მოსახლეობას არ აქვს იარაღი და შესაბამისად ვერც გამოიყენებს), მაგრამ, ამის საპირისპიროდ, თვითმკვლელობების მთლიანი რიცხვი 2-ჯერ მეტია, ხოლო თინეიჯერების - 30%-ით მეტი. ასევე არსებობს საინტერესო თეორია: იაპონელი მკვლევარები მამორუ იგა (Mamoru Iga) და კიჩინოსუკე ტატაი (Kichinosuke Tatai) ამტკიცებენ, რომ მაღალი თვითმკვლელობის რიცხვი შეიძლება სწორედ იმის გამო იარაღის კონტროლით იყოს გამოწვეული, რადგან ბევრი იაპონელი თავს გრძნობს დაუცველად და ამ პრობლემიდან წარმოქმნილმა სასოწარკვეთამ შეიძლება ეს უკიდურესი ნაბიჯი გადაადგმევინოს⁶¹.

რაც ყველაზე მეტად საინტერესოა, იაპონიაში ასევე არსებობს მრავლობითი თვითმკვლელობის ფენომენი - შინჯუ, როდესაც წყვილები ერთმანეთს კლავენ საკუთარი სიყვარულის დასამტკიცებლად და თუ ისინი მშობლები არიან, თავის შვილებსაც ხოცავენ. შინჯუს დეფინიცია წლების განმავლობაში გაფართოვდა და მოიცვა ის შემთხვევებიც, როდესაც ერთ-ერთ პარტნიორს მეორე კლავს (სრულიად შესაძლებელია მისი თანხმობის გარეშე) და მეორე თავს იკლავს. და ეს ყველაფერი, რატომღაც მკვლელობის მაგივრად თვითმკვლელობის მუხლით აღირიცხება, რაც მკვლელობის სტატისტიკას ავტომატურად ამცირებს.

⁶⁰ Selina Wang, Rebecca Wright and Yoko Wakatsuki. "In Japan, More People Died by Suicide Last Month than from COVID in All of 2020." ABC7 San Francisco. KGO-TV, November 29, 2020. <https://abc7news.com/japan-suicides-suicide-rates-covid-women/8359064/>.

⁶¹ Iga, Mamoru, and Kichinosuke Tatai. "Characteristics of suicides and attitudes toward suicide in Japan." *Suicide in different cultures* (1975): 255-280.



გრაფიკი 6. იაპონია, მკვლელობათა რიცხვი 100,000 ადამიანზე გაანგარიშებით

შესაბამისად, თუ ერთი შეხედვით შევადარებთ იაპონიას და ამერიკას ერთმანეთს (როგორც ერთ-ერთ ყველაზე ექსტრემალურ შემთხვევებს, იარაღთან დამოკიდებულების კუთხით) და დავინახავთ, რომ იაპონიაში უფრო ნაკლები დანაშაული ხდება (იხ. გრაფიკი 6) ზოგადად, ვიდრე ამერიკაში, შეგვიძლია დავიწყოთ მტკიცება (რასაც ბევრი აკეთებს კიდეც), რომ ეს სწორედ იარაღის აკრძალვის დამსახურებაა, მაგრამ ზემოთ მოყვანილი ფაქტები გვიჩენს იმის ეჭვს, რომ იაპონიის უკეთესი კრიმინოგენული მდგომარეობა შეიძლება იარაღის კონტროლის მაგივრად არასწორი აღრიცხვის მეთოდებით ან სხვა მიზეზებით იყოს განპირობებული. ეჭვის საფუძველს კიდეც უფრო აღრმავებს ის ფაქტიც, რომ ამერიკაში იარაღის გარეშე ჩადენილი ძარცვის სტატისტიკა 70-ჯერ მაღალია იაპონიაზე, რაშიც იარაღის კონტროლის პოლიტიკის წვლილი, სავარაუდოდ, მცირეა. და ბოლოს, თუ ავიღებთ ციხის სტატისტიკას, სადაც პატიმრებს, მოგვხსენებათ, იარაღი არ აქვთ, დავინახავთ, რომ ამერიკის ციხეებში ზედამხედველებზე თავდასხმა ხშირია, ხოლო იაპონიაში თითქმის არარსებული.

ამ ფაქტებიდან გამომდინარე, შეიძლება საინტერესო მოსაზრებების ჩამოყალიბება:

1. იაპონიის დანაშაულის დაბალი დონე შეიძლება სულაც არ იყოს იარაღის მკაცრი რეგულაციებით გამოწვეული
2. იაპონიის დაბალი კრიმინოგენული სიტუაცია კულტურული ან სხვა თავისებურებების ბრალი შეიძლება იყოს.

6. შვეიცარია, იტალია და იარაღი

შვეიცარიის კანონები იარაღთან მიმართებაში ერთ-ერთი ყველაზე მსუბუქია. შვეიცარიის ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია ყოველგვარი მიზეზის გარეშე იარაღის შეძენა და ფლობა⁶², შესაბამისად მოსახლეობის მეოთხედზე მეტი (27.6%) შეიარაღებულია⁶³ ⁶⁴. შვეიცარიის მილიტარისტული წარსულის გადმონაშთია ასევე ის ფაქტი, რომ 30 წლამდე (ზოგ შემთხვევაში 50 წლამდეც კი) ახალგაზრდების 2/3 გადის სამხედრო მომზადების 18 თვიან პროცესს, როდესაც მათ გადაეცემათ სამსახურებრივი იარაღი, რომლის შენახვაც სახლში შეუძლიათ მომზადების დასრულების შემდგომაც, რის გამოც, ძალიან ბევრ შვეიცარიულ ოჯახში იარაღი მოიძებნება⁶⁵.

თუ დავუშვებთ, რომ იარაღის ფლობასა და დანაშაულის მაჩვენებელს შორის დადებითი კორელაცია არსებობს, მაშინ შვეიცარიაში დანაშაულის დონე მაღალი უნდა იყოს და იაპონიას ბევრად უნდა აღემატებოდეს, თუმცა სტატისტიკა სხვა სურათს აჩვენებს. იაპონია, როგორც უკვე ზემოთ ავღნიშნეთ, ძალიან დაბალი დანაშაულის დონით გამოირჩევა, რომელიც ბოლო 20 წლის განმავლობაში 0.3-დან 0.6 ადამიანამდე მერყეობს 100,000 მცხოვრებზე გაანგარიშებით (იხ. გრაფიკი 6), შვეიცარიაშიც ასევე ძალიან დაბალი მაჩვენებელია (რაც ზემოთ უკვე განვიხილეთ) და იარაღის ფლობა ვერ ახდენს მნიშვნელოვან ზეგავლენას დანაშაულის დონეზე და ეს სტატისტიკა აშკარად დაფიქრების სერიოზულ საფუძველს იძლევა.

კვლევის კიდევ უფრო მეტად გასაღრმავებლად შესაძლებელია, შვეიცარიას მისი მეზობელი ქვეყანა - იტალია შევადაროთ. შვეიცარიაში მოსახლეობის

⁶² Prod. “Der Bundesrat Das Portal Der Schweizer Regierung.” SR 514.541 Verordnung vom 2. Juli 2008 über Waffen, Waffenzubehör und Munition (Waffenverordnung, WV). Accessed December 20, 2020. <https://www.admin.ch/opc/de/classified-compilation/20081148/index.html>.

⁶³ “Largest firearms holding by region and sector”. Accessed December 20, 2020. http://www.smallarmssurvey.org/fileadmin/docs/Weapons_and_Markets/Tools/Firearms_holdings/SAS-Infographics-global-firearms-holdings.pdf

⁶⁴ Alpers, Philip. “Guns in Switzerland - Firearms, Gun Law and Gun Control.” Gun Law and Policy: Firearms and armed violence, country by country. Accessed December 20, 2020. <https://www.gunpolicy.org/firearms/region/switzerland>.

⁶⁵ “Zwei Drittel Der Rekruten Diensttauglich: NZZ.” Neue Zürcher Zeitung, March 11, 2008. https://www.nzz.ch/zwei_drittel_der_rekruten_diensttauglich-1.687233?reduced=true.

25.2% უცხოელი რეზიდენტია და აქედან 15.6% იტალიელია (რაც 300,000-ზე მეტია და ყველაზე დიდ ექსპატრიატულ პოპულაციას წარმოადგენს შვეიცარიაში⁶⁶), ხოლო შვეიცარიელი მოსახლეობის 8.2% იტალიურად მოლაპარაკეა, რაც იმის საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ შვეიცარიის მოსახლეობის ნაწილი კულტურულად იტალიელების მსგავსია. თუმცა, იარაღისადმი არსებობს განხვავებული დამოკიდებულება.

იტალიაში იარაღის კანონი, შვეიცარიისგან განსხვავებით, უფრო მკაცრია⁶⁷. მას, ვისაც სურს მისი შეძენა, პირველ რიგში უნდა აიღოს შეძენის ლიცენზია (Licenza di porto d'armi o Nulla osta), ასევე უნდა იყოს მინიმუმ 18 წლის და უნდა ჰქონდეს სერთიფიკატი, რომ შეუძლია სროლა და იარაღის უსაფრთხოდ გამოყენება, არ უნდა იყოს ნასამართლევია და უნდა იყოს ჯანმრთელი. ასევე შეზღუდულია, რამდენი იარაღის (3 მაქსიმუმ) და ვაზნის შეძენა შეუძლია (200 მაქსიმუმ). თუმცა ეს ყველაფერი იარაღის ტარების ნებართვას არ აძლევს. ტარების ლიცენზიისათვის უნდა დაამტკიცოს, რომ აქვს განსაკუთრებული მიზეზი (მაგ. მუშაობს მცველად) და შემდეგ საჭიროა ლიცენზიის განახლება ყოველწლიურად. შესაბამისად მოსახლეობის 12.89% ფლობს იარაღს⁶⁸, რაც შვეიცარიაზე 2-4-ჯერ ნაკლებია.


აქედან გამომდინარე, ლოგიკურია დავუშვათ, რომ მეზობელ ქვეყნებში, სადაც მოსახლეობა მსგავსია და იარაღისადმი დამოკიდებულება განსხვავებული, იტალიაში დანაშაულის სტატისტიკა უფრო უკეთესი უნდა იყოს, ვიდრე შვეიცარიაში, რადგან შვეიცარიელები მასიურად ფლობენ იარაღს და იტალიელები არა, თუმცა, კონტრ-ინტელიტურად, მკვლევრობების რიცხვი შვეიცარიაში უფრო ნაკლებია, ვიდრე იტალიაში, რასაც გრაფიკ 7-სა და 8-ის შედარების შედეგად ვხედავთ. თან საინტერესოა, რომ 2007-დან 2017 წლამდე იარაღის ფლობის სტატისტიკა იტალიაში გაიზარდა მილიონი ერთეულით 11.9%-დან 12.9%-მდე, რასაც დანაშაულის ზრდა არ მოჰყოლია, რაც იმ

⁶⁶ Swissinfo.ch. "Italians Leave Their Mark on Switzerland." SWI swissinfo.ch. swissinfo.ch, October 26, 2017. <https://www.swissinfo.ch/eng/italians-leave-their-mark-on-switzerland/4804422>.


⁶⁷ thelocal.it. "Gun ownership regulations shootings Italy". Accessed December 20, 2020. <https://www.thelocal.it/20180323/gun-ownership-regulations-shootings-italy>.

⁶⁸ GunPolicy.org. 2016 'Calculated Rates - Italy.' *Historical Population Data - USCB International Data Base*. Suitland, MD: US Census Bureau Population Division. 1 August

“ლოგიკას”, რომ იარაღის სუსტი საკანონმდებლო კონტროლი მკვლელობათა რიცხვს ზრდის, სრულიად ეწინააღმდეგება.



გრაფიკი 7. შვეიცარია, მკვლელობათა რიცხვი 100,000 ადამიანზე გაანგარიშებით



გრაფიკი 8. იტალია, მკვლელობათა რიცხვი 100,000 ადამიანზე გაანგარიშებით

7. საქართველო, სომხეთი და იარაღი

საქართველოში იარაღის ტარება აკრძალულია და შესაძლებელია მხოლოდ ფლობა, რისთვისაც აუცილებელია სპეციალური გამოცდის ჩაბარება და ჯანმრთელობის ცნობის აღება. საქართველოში ოფიციალურად 224,500 ერთეული იარაღია დარეგისტრირებული, რაც მოსახლეობის რაოდენობის გათვალისწინებით (3,723,500 ადამიანი) 6%-იან მფლობელობას წარმოადგენს⁶⁹. დანაშაულის სტატისტიკა 100,000 ადამიანზე გაანგარიშებით 4.2 იყო 2016 წელს, ხოლო 2017 წელს 3.7 შეადგინა⁷⁰.

სტატისტიკის მიხედვით საქართველოში მკვლელობათა რიცხვი 2005 წლიდან მკვეთრ კლებით ტრენდს აჩვენებს: 2005 წელს 100,000 ადამიანზე გაანგარიშებით 9.0 მკვლელობა ფიქსირდებოდა, რომელიც შემდეგ წლებში შემდეგნაირად შემცირდა:

2005	2006	2007	2008	2009	2010
9.0	7.3	6.8	5.5	4.3	3.8

და 2016 წელს საერთოდ 0.79-მდე დაეცა⁷¹ ამ მონაცემებთან საკმაოდ ახლოსაა გაეროს კვლევაც⁷², რომლის შედეგებიც ქვემოთაა მოცემული

2005	2006	2007	2008	2009	2010	2016
8.9	7.3	7.5	6.1	4.9	4.4	0.99

და აქაც ძალიან მნიშვნელოვანი კლებადი ტრენდი ნათლად ფიქსირდება. თუმცა ამ წლებში იარაღის კანონში დიდი ცვლილებები არ ყოფილა და რაც

⁶⁹ Ambebi.ge. “რა უნდა იცოდეს იარაღის გაფორმების მსურველმა - ვის მოუწევს გამოცდის ჩაბარება და რა ღირს პროცედურა.” Ambebi.GE. Accessed December 20, 2020. <https://www.ambebi.ge/article/234981-ra-unda-icodes-iaragis-gapormebis-msurvelma-vis-moucevs-gamocdis-chabareba-da-ra-girs-procedura/>.

⁷⁰ Police.ge. “2017/2018 დანაშაულის სტატისტიკა”. Police.ge. Accessed December 20, 2020. [https://police.ge/files/pdf/vizitorebi/2017/2018%20დანაშაულის%20სტატისტიკა/ianvar-dekembsაქართველოს%20ყველა%20საგამოძიებო%20უწყება%20\(იანვარ-დეკემბერი%202017წ.\)%201%20\(2\).pdf/](https://police.ge/files/pdf/vizitorebi/2017/2018%20დანაშაულის%20სტატისტიკა/ianvar-dekembsაქართველოს%20ყველა%20საგამოძიებო%20უწყება%20(იანვარ-დეკემბერი%202017წ.)%201%20(2).pdf/).

⁷¹ Alpers, Philip. “Guns in Georgia - Firearms, Gun Law and Gun Control.” Gun Law and Policy: Firearms and armed violence, country by country. Accessed December 20, 2020. <https://www.gunpolicy.org/firearms/region/georgia>.

⁷² “Intentional Homicide Victims | DataUNODC.” United Nations. United Nations. Accessed December 20, 2020. <https://dataunodc.un.org/crime/intentional-homicide-victims>.

ყველაზე საინტერესოა, ქვეყანაში იარაღის ფლობის მაჩვენებელი გაიზარდა 2007 წელს 330,000-დან 2017 წელს 402,000-მდე, რაც პროცენტულად 7.3%-დან 10.1%-მდე ზრდას ნიშნავს⁷³. ეს ყველაფერი გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ, რომ იარაღის კანონი თუ მოსახლეობაში იარაღის ფლობა ნაკლებად ახდენს ზეგავლენას დანაშაულის დონეზე, მიუხედავად იმისა, რომ მასზე აპელირება ხშირად მიმდინარეობს. მაგალითად, ცვლილებები იარაღის კანონში შეტანილ იქნა 2014 წელს, როდესაც იუსტიციის მინისტრმა განაცხადა, რომ იარაღზე წვდომა ყველას არ უნდა ჰქონდეს და ეს ერთ-ერთი წინგადადგმული ნაბიჯია დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში. „პარლამენტს მოვუწოდებ, დააჩქაროს კანონის მიღება, რომელიც იარაღზე წვდომას აძნელებს. დანაშაულს ერთი ცვლილება და კანონი ვერ დაამარცხებს, ამისათვის სახელმწიფოს დანაშაულთან ბრძოლის მრავალფეროვანი მექანიზმები სჭირდება. იარაღის კანონიერად შეძენის წესები უნდა გამკაცრდეს და ეს დანაშაულთან ბრძოლის მნიშვნელოვან მექანიზმად იქცეს“.⁷⁴

საქართველოს არსებულ სიტუაციას თუ შევადარებთ, მაგალითად, მეზობელ ქვეყანა სომხეთს (გასათვალისწინებელია, რომ საქართველოში 4.5% ეთნიკურად სომეხი ცხოვრობს და მოსახლეობაც ბევრი რამით ჰგავს ერთმანეთს), სადაც ასევე კანონი კრძალავს იარაღის ტარებას და მხოლოდ ფლობაა შესაძლებელი, 2017 წელს დარეგისტრირებული იყო 186,000 იარაღი, რაც 6.1%-იან მფლობელობას შეადგენს (ახლოსაა საქართველოში ფლობის მაჩვენებელთან), ვნახავთ, რომ 2016 წელს 100,000 ადამიანზე გაანგარიშებით მოხდა 2.85 მკვლელობა⁷⁵.

საქართველოსაგან განსხვავებით, სომხეთში 2007 წელს იარაღის მფლობელობა გაცილებით მაღალი იყო, კერძოდ კი 380,000 ერთეული, რაც 2017 წლის მონაცემებზე 104%-ით მეტია, ხოლო შემდგომ წლებში განხორცილდა

⁷³ Alpers, Philip. “Guns in Georgia - Firearms, Gun Law and Gun Control.” Gun Law and Policy: Firearms and armed violence, country by country. Accessed December 20, 2020. <https://www.gunpolicy.org/firearms/region/georgia>.

⁷⁴ Liberali. “წულუკიანი პარლამენტს „იარაღის შესახებ“ კანონში ცვლილებების დაჩქარებისკენ მოუწოდებს.” ლიბერალი. Accessed December 20, 2020. <http://liberali.ge/news/view/15856/tsulukiani-parlaments-iaraghis-shesakheb-kanonshi-tsvlilebebis-dachqarebisen-moutsodebs>.

⁷⁵ Alpers, Philip. “Guns in Armenia - Firearms, Gun Law and Gun Control.” Gun Law and Policy: Firearms and armed violence, country by country. Accessed December 20, 2020. <https://www.gunpolicy.org/firearms/region/armenia>.

მკვეთრი განიარაღება (საქართველოში, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, პირიქით, მოიმატა იარაღის რიცხვმა). თუ არსებობს კორელაცია დანაშაულის სტატისტიკასა და იარაღის რიცხვს შორის, მაშინ, რასაკვირველია, მოლოდინი უნდა გვქონდეს, რომ მოხდება დანაშაულის დონის მნიშვნელოვნად შემცირება, თუმცა ციფრები ცოტათი განსხვავებულ რეალობას წარმოგვიდგენს - იარაღით ჩადენილი მკვლელობის რიცხვი შემცირდა: 1.59-დან 1.25-მდე 100,000 ადამიანზე გაანგარიშებით, მაგრამ მთლიან მკვლელობებს თუ განვიხილავთ, ვნახავთ, რომ 2007 წელს სომხეთში დაფიქსირდა 2.5 მკვლელობა 100,000 ადამიანზე, რაც ნაკლებია უახლეს მონაცემებზე (2.85), ანუ გამოდის, რომ იარაღის რიცხვის შემცირებამ დადებითი შედეგი საერთოდ ვერ გამოიღო, ან მინიმუმ ძლიერ კორელაციაში მაინც არ არის იარაღის მფლობელობა და დანაშაულის დონე ქვეყანაში ერთმანეთთან, რაც ემთხვევა საქართველოს მაგალითსაც, სადაც იარაღის რაოდენობამ მოსახლეობაში მოიმატა და მკვლელობათა რიცხვი შემცირდა.

ამრიგად, ამ მონაცემებით შეგვიძლია დავინახოთ, რომ იარაღის კონტროლსა და დანაშაულის დონეს შორის დამოკიდებულება შესაძლოა არ იყოს ისეთი ნათელი, როგორსაც “ლოგიკა” გვეუბნება და იარაღის კონტროლის გამკაცრება შეიძლება ვერ გვაძლევს იმ შედეგებს, რისთვისაცაა გამიზნული. სავარაუდოდ, მკვლელობათა სტატისტიკის ცვლილების ახსნა სხვა ფაქტორებში უნდა ვეძებოთ, რომელთაც ქვემოთ განვიხილავ.

8. იარაღის კონტროლი და პოლიტიკა

ზემოთ განხილული მაგალითები აჩვენებს იარაღის კონტროლის არაეფექტურობას კრიმინალის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამიტომ, აქ გვიჩნდება ლოგიკური კითხვა - თუ იარაღი არაა, მაშ რა მოქმედებს დანაშაულის დონეზე? კრიმინოლოგიაში არსებობს თეორია, რომლის მიხედვითაც კრიმინალის ვიზუალური ნიშნები, ანტი-სოციალური ქცევა და უნესრიგობა ქმნის ნოყიერ ნიადაგს კრიმინოგენული სიტუაციის გასაუარესებლად, შესაბამისად თუ აკრძალავ და გააკონტროლებ ქუჩაში სმას, ნაგვის დაყრას, ვანდალიზმს და ა.შ. სიტუაცია გამოსწორდება⁷⁶. რუდი ჯულიანმაც, რომელიც ნიუ იორკის მერის თანამდებობას იკავებდა 1994-2001 წლებში და რომელსაც ეკუთვნის ცნობილი Broken Window Policy, აღნიშნული მიდგომა გამოიყენა და აკრძალა ქუჩაში სმა, მანქანებისთვის გამოყოფილ გზაზე ფეხით სიარული, დანაგვიანება და ა.შ. მიუხედავად იმისა, რომ იარაღის კანონის მხრივ ცვლილება არ ყოფილა, კრიმინალი მნიშვნელოვნად შემცირდა⁷⁷.

დანაშაულის დონეზე მოქმედი ფაქტორების გამოსაკვლევად, მაგალითად, იკ კკონმა⁷⁸ ცვლადებად აიღო იარაღით სიკვდილიანობა ყოველ 100 000 ადამიანზე (იქნება ეს მკვლელობა, თვითმკვლელობა თუ გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობა). ასევე, უმუშევრობის დონე, რომელიც, სავარაუდოდ, დადებით კორელაციაში უნდა ყოფილიყო იარაღით ჩადენილ დანაშაულთან. ანალოგიური ცვლადად აღებული იქნა სიღარიბე და ალკოჰოლი, რომლებიც ასევე დადებით კორელაციაში უნდა ყოფილიყო და მოსახლეობის სიმჭიდროვე. მაუზერისა და ჰოლმის⁷⁹ და შტეფენსმაიერის კვლევებზე⁸⁰ დაყრდნობით, 18-დან 24 წლამდე ახალგაზრდები მეტად არიან იარაღით ჩადენილ

⁷⁶ Wilson, James Q., and George L. Kelling. "Broken windows." *Atlantic monthly* 249, no. 3 (1982): 29-38.

⁷⁷ Miller, Wilbur R. *The Social History of Crime and Punishment in America: A-De*. Vol. 1. Sage, 2012.

⁷⁸ Kwon, Ik-Whan G., Bradley Scott, Scott R. Safranski, and Muen Bae. "The effectiveness of gun control laws: multivariate statistical analysis." *American Journal of Economics and Sociology* 56, no. 1 (1997): 41-50.

⁷⁹ Mauser, Gary A., and Richard A. Holmes. "An evaluation of the 1977 Canadian firearms legislation." *Evaluation Review* 16, no. 6 (1992): 603-617.

⁸⁰ Steffensmeier, Darrell J., Emilie Andersen Allan, Miles D. Harer, and Cathy Streifel. "Age and the distribution of crime." *American journal of Sociology* 94, no. 4 (1989): 803-831.

დანაშაულებში ჩართულები, შესაბამისად, ავტორებმა ივარაუდეს, რომ იმ დასახლებებში, სადაც ეს კატეგორია მეტია, მეტი დანაშაული იქნება. ასევე, გათვალისწინებულ იქნა ეთნიკური ჯგუფები, როგორებიცაა აზიელები, აფრო-ამერიკელები და ლათინოები. და ბოლოს, გაანალიზებულ იქნა შტატები, სადაც იარაღზე რეგულაციები უფრო მკაცრია და შტატები, სადაც ნაკლებადაა. ინფორმაციის წყაროდ აღებული იქნა იმ პერიოდის უახლესი გამოცემები, როგორებიცაა Advance Data (27 იანვარი, 1994) და National Center for Health Statistics იარაღით ჩადენილი დანაშაულების შესახებ⁸¹, სიღარიბის, ურბანიზაციის, დასახლების სიმჭიდროვისა და უმუშევრობის დონის შესახებ, ალკოჰოლის მოხმარების შესახებ⁸², ხოლო Time Magazine, 20 დეკემბრის 1993 გამოშვება - იარაღის რეგულაციების შესახებ.

შედეგები ასეთი იყო: 24 შტატს არ ჰქონდა იარაღზე რეგულაციები დაწესებული, ხოლო 26 ჰქონდა სხვადასხვა ფორმებით. უმუშევრობის და სიღარიბის დონე ცოტათი უფრო მაღალი იყო იმ შტატებში, სადაც იარაღზე რეგულაციები არ იყო, ხოლო ალკოჰოლის მოხმარება ორივე ტიპის შტატებში დაახლოებით ერთი და იგივე იყო. ახალგაზრდები გაცილებით მეტნი იყვნენ და ურბანიზაციის დონეც უფრო მაღალი იყო იმ შტატებში, სადაც იარაღზე რეგულაციები იყო დაწესებული. აზიელები და აფრო-ამერიკელები მეტნი ცხოვრობდნენ რეგულირებად შტატებში, ხოლო არარეგულირებადებში - მეტი ლათინოები. და ბოლოს, იარაღით ჩადენილი დანაშაულები 100 000 მოსახლეზე იყო 24.4 იმ შტატებში, სადაც იარაღი არ რეგულირდებოდა და 19.6 იქ, სადაც რეგულირდებოდა.

რაც ყველაზე საინტერესოა, ყველაზე ძლიერი სტატისტიკური კორელაცია დანაშაულის დონეს აღმოაჩნდა არა იარაღის რეგულაციებთან, არამედ სიღარიბის დონესთან, ალკოჰოლის მოხმარებასთან და ეთნიკურ ჯგუფებთან (იმ შტატებში, სადაც მეტი ლათინოები ცხოვრობდნენ, ნაკლები დანაშაული ხდებოდა იარაღის მეშვეობით და სადაც აზიელები ან აფრო-ამერიკელები ცხოვრობდნენ - მეტი). ურბანიზაციას და 18-24 წლის ახალგაზრდების პოპულაციას, როგორც აღმოჩნდა, მინიმალური როლი უკავია, თუმცა

⁸¹ US Bureau of the Census, ed. Statistical abstract of the United States, 1993. Hoover's, 1993.

⁸² US Department of Health and Human Services. Eighth special report to the US Congress on alcohol and health. No. 94-3699. NIH publication, 1993.

ახალგაზრდების როლი შედარებით მაღალია იმ შტატებში, სადაც რეგულაციები არ არის, ხოლო ურბანიზაციის როლი იქ - სადაც რეგულირებულია. ასევე, საინტერესო იყო ის ფაქტიც, რომ თურმე უმუშევრობის დონეც მინიმალურად ახდენს ზეგავლენას, რასაც ავტორები არ ელოდებოდნენ (თუმცა აქ გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ უმუშევრობის მაღალი დონე სიღარიბის მაღალ დონეს განაპირობებს ძირითადად და სიღარიბე ძლიერ პოზიტიურ კორელაციაშია).

”თუ ქვეყანა ძალებს არ მიმართავს სოციალურ-ეკონომიკური პრობლემებისაკენ, სიკვდილიანობის კოეფიციენტი ისევ მაღალი დარჩება, მიუხედავად იმისა, ექნება ქვეყანას იარაღის კონტროლის კანონები თუ არა”.⁸³

კვლევის შედეგები დაემთხვა ჯერელისა და ჰოუსენის მიერ⁸⁴ 1990 წელს და კელერმანის მიერ⁸⁵ 1993 ჩატარებულ კვლევებს, რომ ალკოჰოლის მოხმარება დიდ როლს ასრულებს იარაღით ჩადენილ მკვლელობათა სტატისტიკაში.

კვლევის შედეგები ასევე დაემთხვა ლოფტინის მიერ⁸⁶ 1989 წელს, პარკერის მიერ⁸⁷ 1989 წელს და ვოიდის მიერ⁸⁸ 1986 წელს მიღებულ რეზულტატებს, რომ სიღარიბის დონე ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დეტერმინანტია. იმ შტატებში, სადაც მოსახლეობის დიდი რაოდენობა აფრო-ამერიკელია, უფრო მეტი მკვლელობა ხდება (იგივე აღინიშნება, თუმცა უფრო სუსტი კორელაციით აზიელების ეთნიკური ჯგუფის მიმართ), თუმცა ეს შედეგები შეიძლება

⁸³ Kwon, Ik-Whan G., Bradley Scott, Scott R. Safranski, and Muen Bae. "The effectiveness of gun control laws: multivariate statistical analysis." *American Journal of Economics and Sociology* 56, no. 1 (1997): 41-50.

⁸⁴ Jarrell, Stephen, and Roy M. Howsen. "Transient crowding and crime: The more 'strangers' in an area, the more crime except for murder, assault and rape." *American Journal of Economics and Sociology* 49, no. 4 (1990): 483-494.

⁸⁵ Kellermann, Arthur L., Et Al., Author Affiliations From the Departments of Internal Medicine (A.L.K., F. P. Polack and Others, A. C. Kalil and Others, and E. J. Rubin and D. L. Longo. "Gun Ownership as a Risk Factor for Homicide in the Home: NEJM." *New England Journal of Medicine*, February 3, 1994. <https://www.nejm.org/doi/full/10.1056/NEJM199310073291506>.

⁸⁶ Loftin, Colin, David McDowall, and James Boudouris. "Economic change and homicide in Detroit, 1926-1979." *Violence in America* 1 (1989): 163-177.

⁸⁷ Parker, Robert Nash. "Poverty, subculture of violence, and type of homicide." *Social forces* 67, no. 4 (1989): 983-1007.

⁸⁸ Vold, George Bryan. *Theoretical criminology*. Oxford University Press, 1958.

ინტერპრეტაციის საგანი იყოს, მაგ. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ეს ეთნიკური ჯგუფები უფრო ხშირად განიცდიან სიღარიბეს და გაჭირვებას და შესაძლებელია ეს ფაქტორი იყოს აქაც კრიმინალის განმაპირობებელი.

აღნიშნული მაგალითი ნათლად აჩვენებს კრიმინალის დონის კორელაციას სხვა ფაქტორებთან, თუმცა თუ გავაგრძელებთ იარაღის რეგულაციებზე საუბარს, ასევე გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ მასზე შეიძლება ზეგავლენას ახდენდეს მეზობელი ქვეყნების კანონები, რაც კანონის აღსრულებას მნიშვნელოვნად უშლიდეს ხელს. მაგალითად, ამერიკაში (სადაც თითოეულ შტატს თავისი ადგილობრივი რეგულაციები აქვს) თუ რომელიმე შტატი ეცდება ჰაერის დაბინძურების დონე შეამციროს რეგულაციების საშუალებით, შეიძლება მიიღოს არაეფექტური შედეგი, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ დამაბინძურებელმა აგენტებმა გადაინაცვლოს იმ შტატებში, სადაც ნაკლებად მკაცრი რეგულაციებია, ამით დაზარალებს აღნიშნული შტატის ეკონომიკა და დაბინძურებული ჰაერით მაინც თანაბრად ისუნთქოს ყველა შტატის მოსახლეობამ. აღნიშნულ მოსაზრებას ასევე ადასტურებს ედუარდ გლუზერი თავის წიგნში “ქალაქის ტრიუმფი”⁸⁹, სადაც ამტკიცებს, რომ მშენებლობების აკრძალვა გარემოზე ზრუნვის მოტივით საერთოდ არ ამართლებს, რადგან მაგალითად კალიფორნიის ნაპირზე მცხოვრებნი კი ახერხებენ საკუთარი რეგიონი შეინარჩუნონ უფრო მწვანე, მაგრამ მშენებლობების აკრძალვით (სადაც საზოგადოებრივი ტრანსპორტი მშვენივრად ფუნქციონირებს და სადაც ზომიერი ტემპერატურაა) იქ დასახლების მსურველები იძულებულნი ხდებიან იცხოვრონ ლოს-ანჯელესის გარეუბნებში, სადაც მანქანით უნდა იარო და კონდიციონერა გამოიყენო, შესაბამისად გაცილებით მეტი ზიანი მიაყენო გარემოს, ვიდრე სარგებელი, რაც მშენებლობის აკრძალვით უნდა მიეღო.

იგივე სიტუაციაა არასრულწლოვნების ალკოჰოლის მოხმარებასთან დაკავშირებით. რადგან სხვადასხვა შტატს ალკოჰოლის მოხმარების მინიმალური ასაკის ზღვარი განსხვავებული აქვს, არასრულწლოვნები უბრალოდ გადაადგილდებიან იქ, სადაც მათთვის დაშვებულია ალკოჰოლის მიღება. შესაბამისად, გამოდის, რომ რეგულაციის შედეგი (რისთვისაც მოხდა აღნიშნულის მიღება, ანუ არასრულწლოვანებში ალკოჰოლის მოხმარების

⁸⁹ Glaeser, Edward. Triumph of the City. Pan, 2011.

შემცირება) ნაკლებად მიიღწევა, სამაგიეროდ მცირდება იმ შტატის ეკონომიკა, სადაც მკაცრი რეგულაციები დაწესდა და იზრდება მისი, სადაც ნაკლებადაა ეს ყველაფერი დარეგულირებული. მაგ. ნიუ ჰემპშირის და მასაჩუსეტსის საზღვართან ახლოს ბევრი მაღაზიაა გახსნილი, რომელიც ალკოჰოლურ სასმელებს ყიდის, რადგან ეს მასაჩუსეტში მკაცრად რეგულირდება, ამიტომ მასაჩუსეტსის მცხოვრებლები აქ მოდიან და ნიუ ჰემპშირს ამდიდრებენ.

იგივე შეიძლება ითქვას იარაღზეც: 2012 წელს FBI-მ დააკავა 23 წლის სტუდენტი, რომელიც არალეგალურად ყიდულობდა იარაღს ინდიანას შტატში, სადაც რეგულაციები სუსტი იყო, შეძენისას არ ითხოვდნენ მრავალ პროცედურას და შესაბამისად, დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში ძალიან რთული იყო დაედგინათ, ვინ იყო მყიდველი და ყიდდა მათ ილინოისში, სადაც კანონი გაცილებით მკაცრი იყო. რადგან საზღვრები შტატებს შორის ხშირ შემთხვევაში პირობითია, რეგულაციების შემოღება ძალიან რთულდება, რადგან ხალხის ქცევაზე მოქმედებს არა მხოლოდ არსებული კანონები, არამედ სხვა კანონებიც, სხვა შტატებიდან⁹⁰.

და რაც მთავარია, ეს მხოლოდ შტატების სპეციფიკა და პრობლემა არ არის. საზღვრები ასევე პირობითია ევროპის თუ სხვა ბევრ ქვეყანას შორის, შესაბამისად აღნიშულ მაგალითებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ იარაღის კონტროლის არაეფექტურობის ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება სხვა ქვეყნების კანონების ზეგავლენაც იყოს.

განვიხილოთ არგუმენტები, რომლებსაც ხშირად იყენებენ იარაღის ლობისტები თუ მისი მოწინააღმდეგეები თავიანთი პოზიციის დასასაბუთებლად:

⁹⁰ Coates, Michael, and Shanna Pearson-Merkowitz. "Policy Spillover and Gun Migration: The interstate dynamics of state gun control policies." *Social Science Quarterly* 98, no. 2 (2017): 500-512.

8.1 სასარგებლოდ

მოთხოვნა იარაღზე ოთხ მიმართულებად შეგვიძლია დავყოთ: ნადირობისთვის ან სპორტისთვის, თავდასაცავად და თავდასახსმელად. იარაღის ლობისტები სწორედ რომ პირველ სამს განიხილავენ ხოლმე მხოლოდ და მათი ძირითადი არგუმენტი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ხალხს უნდა ჰქონდეს საშუალება თავი დაიცვას შეიარაღებული თავდასხმისას (ამ მოსაზრების გამყარებას ამერიკელი ლობისტები აშშ-ს კონსტიტუციით ცდილობენ, სადაც წერია, რომ ყველას აქვს თავდაცვის უფლება).

რა თქმა უნდა, კრიმინალებს ურჩევნიათ, არავის ჰქონდეს იარაღი, რადგან შეიარაღებული თავდასხმა (როდესაც მსხვერპლსაც აქვს იარაღი) ხანდახან ისე არ მთავრდება, როგორც თავდამსხმელი გეგმავს, შესაბამისად, თუ მოხდება სრული განიარაღება, ეს, რა თქმა უნდა, დამნაშავეების სიცოცხლის ხანგრძლივობას და თავდასხმის წარმატების შანსს მკვეთრად გაზრდის.

თუ მოხდება იარაღის აკრძალვა, ეს ძირითადად ზეგავლენას მოახდენს მხოლოდ ჩვეულებრივ მოსახლეობაზე, მაგრამ ნაკლები ეფექტი ექნება კრიმინალებზე, ანუ რადგან ჩვეულებრივი მოსახლეობა ვეღარ მოახერხებს შეძენას და იარაღი მოხვდება მხოლოდ ცუდ ხელში. **თუ ამ დროს დავუშვებთ, რომ აკრძალვის შედეგად კრიმინალსაც ვეღარ ექნება იარაღთან წვდომა, მაშინ, სავარაუდოდ, რადიკალურად განსხვავებულ სურათს მივიღებთ, მაგრამ შავი ბაზარის, კონტრაბანდის და კრიმინალების მათთან წვდომის პირობებში კრიმინალის განიარაღება ძალიან რთულია.**

ამას ემატება ისიც, ზოგადად, იარაღის აკრძალვისას ტოტალური განიარაღება რთული მისაღწევია, რადგან კანონი ყველგან განსხვავდება, შესაბამისად თუ კანონს გავამკაცრებთ, ხალხი იქ დაიწყებს ყიდვას, სადაც შედარებით ადვილია. მაგალითად, ნაშრომში⁹¹ ავტორები აანალიზებენ, რა გავლენას ახდენენ შეზღუდვები იარაღის მიგრაციაზე და ამისთვის ადარებენ შტატებს, სადაც რეგულაციები სუსტი და სადაც ძლიერია. ისინი ასკვნიან, რომ “როდესაც რომელიმე შტატში იარაღის კანონი მკაცრდება, იზრდება დანაშაულის რიცხვი

⁹¹ Coates, Michael, and Shanna Pearson-Merkowitz. "Policy Spillover and Gun Migration: The interstate dynamics of state gun control policies." *Social Science Quarterly* 98, no. 2 (2017): 500-512.

სხვა შტატებში შეძენილი იარაღით". თუ რომელიმე შტატის მოსახლეობას სურს იარაღის რაოდენობის შემცირება და მათი მთავრობა ეცდება ამის მოგვარებას რეგულაციების გზით, ამ დროს იარაღის რაოდენობა არ შემცირდება, სამაგიეროდ მეზობელი შტატის ეკონომიკა გაიზრდება, რადგან იქ დაიწყდება იარაღის შეძენა და იმპორტი.

კლეკისა და პატერსონის მიერ ჩატარებული 29 კვლევის მიხედვით⁹², ოთხმა მათგანმა გამოავლინა კორელაცია იარაღის კონტროლსა და დანაშაულის შემცირებას შორის, რვამ შერეული რეზულტატი მიიღო, ხოლო 17-მა ვერანაირი კორელაცია ვერ დაადგინა. ხოლო შედეგებმა გვიჩვენა, რომ იარაღის კონტროლის აკრძალვებს არ აქვთ პირდაპირი ეფექტი ძალადობის მაჩვენებელზე. ამავე კვლევაში აღნიშნულია რამდენიმე გამონაკლისი, რომ გამოყენებული 108 კრიტერიუმიდან 7-მა აჩვენა ძლიერი და 11-მა ნაწილობრივი კორელაცია იარაღის კონტროლის ეფექტურობის ჰიპოთეზასთან, თუმცა რადგან აქ გამოკვლეულია 170 ამერიკული ქალაქი, რომლებსაც არ გააჩნიათ ერთნაირი რეგულაციები, ძალიან რთული ხდება კორელაციის დანახვა.

ანდრესისა და ჰემპსტიდის მიერ 2011-ში ჩატარებულმა კვლევამ⁹³ აჩვენა, რომ იარაღის აკრძალვას ან საერთოდ არ აქვს ეფექტი დანაშაულის სტატისტიკაზე, ან მინიმალური ეფექტი აქვს მხოლოდ.

კლეკმა და პატერსონმა 1993 წელს მიმოიხილეს სხვადასხვა ნამუშევარი და აღნიშნეს, რომ მათი აბსოლუტური უმრავლესობა აკვნის, რომ იარაღის რეგულაციას არ აქვს მნიშვნელოვანი ეფექტი დანაშაულის დონის შემცირებაზე და ამბობს, რომ არ არსებობს კვლევა, რომელიც საპირისპიროს დაამტკიცებდა⁹⁴.

⁹² Kleck, Gary, and E. Britt Patterson. "The impact of gun control and gun ownership levels on violence rates." *Journal of Quantitative Criminology* 9, no. 3 (1993): 249-287.

⁹³ Andrés, Antonio Rodríguez, and Katherine Hempstead. "Gun control and suicide: The impact of state firearm regulations in the United States, 1995–2004." *Health Policy* 101, no. 1 (2011): 95-103.

⁹⁴ Kleck, Gary, and E. Britt Patterson. "The impact of gun control and gun ownership levels on violence rates." *Journal of Quantitative Criminology* 9, no. 3 (1993): 249-287.

გარი კლექმა ჩაატარა კვლევა⁹⁵ აშშ-ს 170 ქალაქში, მინიმუმ 100,000 მაცხოვრებლით და გაანალიზა იარაღის 19 სხვადასხვა რეგულაცია და მათი ეფექტები მკვლელობებზე, თვითმკვლელობებზე, უბედურ შემთხვევებზე და სხვა ტიპის დანაშაულებზე. მან დაასკვნა, რომ რეგულაციები ამცირებენ იარაღით ჩადენილი თვითმკვლელობათა რიცხვს, მაგრამ არ აქვთ ზეგავლენა ზოგადად სუიციდის სტატისტიკაზე (ანუ, ვისაც თავის მოკვლა უნდა, იარაღის აკრძალვის შემთხვევაში, სხვა საშუალებას პოულობს). ერთადერთი რეგულაცია, რომელიც ამცირებდა კრიმინალს, იყო მკაცრი სასჯელი არალეგალური იარაღის ტარებაზე (ამცირებდა ძარცვის შემთხვევებს). მოცდის პერიოდებს და სხვა ტიპის სალიცენზიო შეზღუდვებს არ ჰქონდათ სტატისტიკური მნიშვნელობა.

კოვანძიჩის, მარველისა და ვირაიტის მიერ⁹⁶ 2005-ში, ჰუდისა და ნილის მიერ⁹⁷ 2000-ში, მარველისა და მუდის მიერ⁹⁸ 2001-ში და აირესისა და დონოჰიუს მიერ⁹⁹ 2009-ში ჩატარებული კვლევები აჩვენებენ, რომ იარაღის ტარების, ტარების ფორმის თუ სხვა მსგავსი ამკრძალავი კანონები ვერ იღებენ შედეგს და დანაშაულის სტატისტიკაზე ძირითადად სოციო-ეკონომიკური ფაქტორები მოქმედებენ.

იარაღის რეგულაციები მნიშვნელოვანი თემა პირველად 1960-იან წლებში გახდა და შემდეგ, პირველი ნაბიჯები ამ მიმართულებით უკვე პრეზიდენტმა კარტერმა გადადგა, რომელმაც 1978 წელს დააფინანსა სოციოლოგიის პროფესორი ჯეიმზ რაიტი (James D. Wright) და მისი კოლეგები - პიტერ როსი (Peter Rossi) და კეიტლინ დეილი (Kathleen Daly), რათა ჩატარებინათ კვლევა, რომელიც აჩვენებდა, რამდენად ეფექტური იყო იარაღის რეგულაციები

⁹⁵ Kleck, Gary. *Point blank: Guns and violence in America*. Transaction Publishers, 2005.

⁹⁶ Kovandzic, Tomislav V., Thomas B. Marvell, and Lynne M. Vieraitis. "The impact of "shall-issue" concealed handgun laws on violent crime rates: Evidence from panel data for large urban cities." *Homicide Studies* 9, no. 4 (2005): 292-323.

⁹⁷ Hood III, M. V., and Grant W. Neeley. "Packin' in the hood?: Examining assumptions of concealed-handgun research." *Social Science Quarterly* (2000): 523-537.

⁹⁸ Marvell, Thomas B., and Carlisle E. Moody. "The lethal effects of three-strikes laws." *The Journal of Legal Studies* 30, no. 1 (2001): 89-106.

⁹⁹ Donohue III, John J., and Ian Ayres. "More guns, less crime fails again: the latest evidence from 1977-2006." (2009).

კრიმინალის შეზღუდვის კუთხით. 1982 წელს დოკუმენტი¹⁰⁰ მზად იყო, თუმცა, ყველასთვის გასაკვირად, აბსოლუტურად განსხვავდებოდა იმისაგან, რასაც ელოდებოდნენ: იარაღის 20,000 რეგულაციის ანალიზის შედეგად, ეს სამი მეცნიერი მივიდა იმ დასკვნამდე, არ არსებობს მეცნიერული საფუძველი იმის დასამტკიცებლად, რომ მსგავსი რეგულაციებით კრიმინალის დონე მცირდება. მაგალითად, ვაშინგტონ დისის იარაღის ფლობის აკრძალვამ არანაირი ზეგავლენა არ მოახდინა კრიმინალზე და დეტროიტშიც კი, სადაც იარაღით ჩადენილ დანაშაულებზე სასჯელი გაიზარდა, არ აღინიშნებოდა არანაირი რეზულტატი შემცირების კუთხით (ეს ძირითადად იმით იყო განპირობებული, რომ მოსამართლეები ხელოვნურად ამცირებდნენ სხვა მუხლებს, რომ დაებალანსებინათ იარაღის გაზრდილი სასჯელი და საბოლოო ჯამში იგივე გამოდიოდა).

რაიტმა და როსიმ შემდეგ კიდევ ერთი კვლევა¹⁰¹ ჩაატარეს, რომლის ფარგლებშიც კრიმინალებთან ინტერვიუების საშუალებით კრებდნენ ინფორმაციას 10 სხვადასხვა ტიპის სასჯელსრულების დაწესებულებებიდან. მათ დაასკვნეს, რომ იარაღის რეგულაციები ვერ ახდენენ ზეგავლენას კრიმინალების იარაღის შეძენის შესაძლებლობებზე, რადგან მხოლოდ მათმა 7%-მა შეიძინა იარაღი მაღაზიაში და თანაც ეს ყველანი ჯერ არ იყვნენ კრიმინალები შეძენის მომენტში. ამის კარგი მაგალითია გერმანიაში მომხდარი შემთხვევა, როდესაც ქალაქ ჰანაუში შეიარაღებული თავდასხმა მოხდა ჩილიმ ბარზე, რასაც 9 ადამიანი ემსხვერპლა. თავდამსხმელი გერმანიის მოქალაქე იყო, რომელსაც ცეცხლსასროლი იარაღის ფლობის უფლება ჰქონდა¹⁰².

დამნაშავეების 56%-მა აღნიშნა, რომ ისინი არ დაესხმებიან თავს მსხვერპლს, თუ ეცოდინებათ, რომ ის შეიარაღებულია; 74%-მა თქვა, რომ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი, რის გამოც ქურდები არ შედიან იმ სახლებში, სადაც

¹⁰⁰ Wright, James D., Peter Henry Rossi, and Kathleen Daly. *Under the gun: Weapons, crime, and violence in America*. Transaction Publishers, 1983.

¹⁰¹ Wright, James D., Peter Henry Rossi, and Kathleen Daly. *Under the gun: Weapons, crime, and violence in America*. Transaction Publishers, 1983.

¹⁰² “გერმანიის ქალაქ ჰანაუში ორ ჩილიმ ბარზე შეიარაღებულ თავდასხმას 9 ადამიანი ემსხვერპლა.” Tabula. Accessed December 22, 2020. <http://www.tabula.ge/ge/story/165195-germaniis-qalaq-hanaushi-or-chilim-barze-sheiaraghebul-tavdasxmas-9-adamiani-emsxverpla>.

პატრონები იმყოფებიან, არის შიში, რომ მათ ესვრიან; 39%-მა დააფიქსირა, რომ ჰქონიათ შემთხვევა, როდესაც გადაიფიქრეს თავდასხმა, რადგან ეგონათ, რომ შეიარაღებული იყო მსხვერპლი და 8%-მა განაცხადა, რომ ასეთი შემთხვევა ბევრჯერ ყოფილა.

პიტერ ჰარტმა (Peter Hart), რომელმაც, ბედის ირონიით, რეგულაციების მომხრე ორგანიზაციის NAAV (National Alliance Against Violence)-ის დაკვეთით ჩაატარა გამოკითხვა¹⁰³, დაინახა, რომ ამერიკელების 6%-ს იარაღი გამოუყენებია ბოლო 5 წლის განმავლობაში თავდაცვის მიზნით (3% ადამიანისგან, 2% ცხოველისგან და 1% - ორივესგან თავდასაცავად - ანუ აღმოჩნდა, რომ ადამიანები იარაღს აქტიურად იყენებდნენ და სჭირდებოდათ თავდაცვისთვის) და აქ არ შედიოდა სამხედრო და პოლიციური სამსახურები, რამაც აჩვენა, რომ ყოველწლიურად ეს რიცხვი 600,000-ს აჭარბებს.

დასკვნის სახით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ სრული განიარაღება თითქმის შეუძლებელია, რადგან მასზე ზეგავლენას ახდენს არა მხოლოდ შავი ბაზრები, არამედ სხვა ქვეყნების კანონებიც. ასევე ნაკლებეფექტურია მოცდის პერიოდები და წარსულის შემომწმეები, რადგან კრიმინალები იშვიათად ყიდულობენ იარაღს მაღაზიაში და მაშინაც ჯერ დამნაშავეები არ არიან. შესაბამისად, მრავალი აკრძალვა ძირითადად ზეგავლენას ახდენს კანონმორჩილ მოქალაქეებზე და დამნაშავეებს აძლევს მოქმედების ფართო ასპარეზს.

¹⁰³ Kopel, David B. "Hold your fire-gun-control wont stop rising violence." *Policy review* 63 (1993): 58-65.

8.2 სანინალმდეგოდ

იარაღს შემდეგი ტენდენცია ახასიათებს: რაც მეტ ხალხს აქვს იარაღი, მით მეტს უნდა ყიდვა, რომ უფრო უსაფრთხოდ იგრძნონ თავი. მოთხოვნა იარაღზე დომინოს ეფექტით ხასიათდება - რაც მეტ ადამიანს აქვს იარაღი, მით მეტს ეშინია და უჩნდება სტიმული, თვითონაც შეიძინოს. პირიქით, რაც ნაკლებს აქვს, მით ნაკლები ყიდულობს¹⁰⁴.

რადგან იარაღზე მოთხოვნა ელასტიკურია, შესაბამისად იარაღის ტარებაზე მკაცრი კანონების დანერგვა და მაღალი გადასახადები ფასის მოსამატებლად საკმარისია, რომ მნიშვნელოვნად შემცირდეს იარაღის შეძენის მსურველთა რიცხვი, ანუ როცა ნაკლებ ხალხს ენდომება იარაღის შეძენა, ეს სხვების სურვილზეც მოახდენს გავლენას და დაიწყება განიარაღების ჯაჭვური პროცესი¹⁰⁵.

მიუხედავად იმისა, იარაღი და ნარკოტიკები და მათი ეფექტები ძირითადად ერთად განიხილება ხოლმე უარყოფით კონტექსტში, ეს ასე არ არის, რადგან ნარკოტიკებზე მოთხოვნა არაელასტიკურია, ხოლო იარაღზე - პირიქით, ელასტიკური. ამიტომ, უნდა მოხდეს ნარკოტიკების ლეგალიზაცია, ხოლო იარაღის აკრძალვა.

თუმცა, რომ დავადგინოთ, ცეცხლსასროლ იარაღზე მკაცრი კონტროლის შედეგი იქნება თუ არა მკვლელობების რიცხვის შემცირება, აუცილებელია გავარკვიოთ, არის თუ არა ცეცხლსასროლი იარაღი უფრო სახიფათო თავდასხმისას, ვიდრე მისი ყველაზე ახლო შემცვლელი. რასაკვირველია, თუ ეს არაა ასე, მაშინ მისი აკრძალვა არანაირ შედეგს არ მოიტანს.

იმის თქმა, რომ ერთი იარაღი უფრო სახიფათოა, ვიდრე მეორე, შეიძლება ნიშნავდეს, რომ პირველ იარაღს შეუძლია ხელი შეუწყოს თავდასხმის განზრახვის სისრულეში მოყვანას ანდა თავდასხმები პირველი იარაღის გამოყენებით უფრო ხშირად მთავრდება ლეტალური შედეგით. პირველ

¹⁰⁴ Epstein, Gil S., Hillel Rapoport, and Avi Weiss. "Drug addiction and the economic rationalization of gun control." *Economics Letters* 65, no. 1 (1999): 55-57.

¹⁰⁵ Chaudhri, Vivek, and John Geanakoplos. "A note on the economic rationalization of gun control." *Economics Letters* 58, no. 1 (1998): 51-53.

კითხვაზე პასუხის გაცემა ძალიან რთულია, რადგან, რა თქმა უნდა, არ არსებობს სტატისტიკა, რომელიც გვაჩვენებდა, რამდენი თავდასხმა არ მოხდებოდა, პირველი იარაღის აკრძალვის შემთხვევაში.

მეორე კითხვაზე პასუხის გაცემა შესაძლებელია: მრავალი სახიფათო ინსტრუმენტი არის ფართოდ ხელმისაწვდომი პოპულაციის დიდი ნაწილისათვის: დანები, სხვა მჭრელი თუ ბლაგვი იარაღები, ავტომატები, ხელები და ფეხები, საწამლაკების რაღაც ნაწილი, აალებადი და ასაფეთქებელი ნივთიერებები და ა.შ. შესაბამისად, შეგვიძლია დავუშვათ, რომ იარაღის აკრძალვა გამოიწვევს დანის ან სხვა ალტერნატივის გამოყენებით თავდასხმების რიცხვის მკვეთრ ზრდას.

ლოგიკურად, თავდასხმისას იარაღის ყველაზე ახლო შემცვლელად დანა განიხილება, თუმცა აუცილებელია ვაჩვენოთ, რომ შეიძლება უიარაღო თავდასხმა უფრო ხშირად დამთავრდეს სასიკვდილო შედეგით, ვიდრე დანის გამოყენება (მაგალითად დახრჩობა), მაგრამ თუ დავუშვებთ, რომ ძირითადად, უიარაღო მკვლელობების უმრავლესობის მიზანი არა მოკვლა, არამედ ცემაა, ანუ შეგვიძლია დავუშვათ, რომ დანა უფრო მეტად სახიფათოა და შესაბამისად, თავდასხმის დროსაც უფრო ხშირად გამოიყენება. ამ ჩვენს დაშვებას ადასტურებს FBI-ს სტატისტიკა, რომელიც აჩვენებს, რომ იარაღის შემდეგ დანა ყველაზე ხშირად იწვევს სიკვდილს¹⁰⁶.

თუ განვიხილავთ CDC-ს სტატისტიკას, ვნახავთ, რომ დანის გამოყენების დროს შემთხვევების ბევრად ნაკლები რაოდენობა დასრულდა სიკვდილით, ვიდრე იარაღის გამოყენების დროს^{107 108}, რაც იმის საფუძველს გვაძლევს, განვაცხადოთ, რომ იარაღი უფრო მეტად სახიფათოა, ვიდრე მისი უახლოესი ალტერნატივა და მისი აკრძალვა გამოიწვევს მკვლელობის რიცხვის შემცირებას.

¹⁰⁶ FBI. "FBI, Expanded Homicide Data: Murder Victims by Weapon, 2014–2018." FBI: UCR. Accessed December 22, 2020. <https://ucr.fbi.gov/crime-in-the-u.s/2018/crime-in-the-u.s.-2018/tables/expanded-homicide-data-table-8.xls>.

¹⁰⁷ "WISQARS™." Centers for Disease Control and Prevention. Centers for Disease Control and Prevention. Accessed December 22, 2020. <https://webappa.cdc.gov/sasweb/ncipc/nfirates2001.html>.

¹⁰⁸ "WISQARS™." Centers for Disease Control and Prevention. Centers for Disease Control and Prevention. Accessed December 22, 2020. https://webappa.cdc.gov/sasweb/ncipc/mortrate10_us.html.

8.3 გაბათილებული მოსაზრებები

მოსაზრება 1. თავდასხმის იარაღების აკრძალვა მნიშვნელოვნად შეამცირებს კრიმინალის დონეს ქვეყანაში

ძალიან ხშირად მსმენია ხოლმე და საკმაოდ “ლოგიკურადაც” ჟღერს (და აშშ-ში ბრეიდი ბილის მიღების ერთ-ერთი საფუძველიც სწორედ ეს იყო), რომ შეიარაღებულ თავდასხმებში ძირითადად ავტომატური იარაღები გამოიყენება. გასაგებიცაა, გაცილებით საშიშია ის იარაღი, რითიც ბევრი ტყვიის სროლაა შესაძლებელი, შესაბამისად, მას მხოლოდ თავდასხმისთვის იყენებენ კრიმინალები, ამიტომ მისი აკრძალვა აუცილებელია. თუმცა, როგორც სტატისტიკა აჩვენებს, ამერიკაში, 1986-1989 წლებში ჩადენილ 7,500 დანაშაულში ისინი მხოლოდ 17 შემთხვევაში ფიგურირებდნენ და ეს არცაა რთულად ასახსნელი: დამნაშავეებს სჭირდებათ იარაღი, რომელსაც ადვილად ატარებენ დაფარულად და ავტომატური იარაღები ძირითადად მოუხერხებელია ფარულად და მოსახერხებლად სატარებლად. ზოგადი სტატისტიკა გვეუბნება, რომ ჩადენილი მკვლევლობების მხოლოდ 4%-ში იქნა გამოყენებული ამ ტიპის იარაღები¹⁰⁹.

მოსაზრება 2. მოცდის პერიოდი იარაღის შეძენისას ეფექტურად ამცირებს პრეცედენტს, რომ ადამიანი ცხელ გულზე იყიდის იარაღს და დანაშაულს ჩაიდენს

განვიხილოთ ამერიკული ბრეიდი ბილი (მოცდის პერიოდის ინიციატივა), რომელიც მოიფიქრეს პრეზიდენტ რონალდ რეიგანისა და ჯიმ ბრეიდზე თავდასხმის შემდეგ. აქ ადვილად შეგვიძლია დავინახოთ, რომ თავდამსხმელმა ჰინკლიმ ორი პისტოლეტი შეიძინა 1980 წელს, თავდასხმამდე 5 თვით ადრე, როცა მას გააჩნდა სუფთა ისტორია და არ აღენიშნებოდა ფსიქიკური პრობლემები. შესაბამისად, მოცდის პერიოდმა რომ იმუშაოს ეფექტურად, ჩვენ უნდა ჩავთვალოთ, რომ ადამიანი, ვინც მკვლევობა გადაწყვიტა და ვისაც უთხრეს, რომ ერთი კვირა უნდა მოიცადოს, არ ყიდულობს

¹⁰⁹ Kopel, David B. "Hold your fire-gun-control wont stop rising violence." *Policy review* 63 (1993): 58-65.

თოფს ან შაშხანას (ხშირად, ამ ტიპის იარაღებზე მოცდის პერიოდი არ ვრცელდება) და არ ყიდულობს პისტოლეტს შავ ბაზარზე ან არ გამოართმევს ახლობლებს, საჭიროების შემთხვევაში; ასევე, მან უნდა გადანწყვიტოს, რომ სხვა ინსტუმენტებით არ უღირს მკვლელობის ჩადენა და რა თქმა უნდა, ეს რამდენიმე დღე ლოდინი საკმარისი უნდა აღმოჩნდეს ამ ყველაფრის გადასაფიქრებლად.

აქვე უნდა გავითვალისწინოთ, რა შეიძლება მოხდეს მოცდის პერიოდში:

შემთხვევა 1. ლოს ანჟელესში, მასობრივმა არეულობებმა ხალხი აიძულა მისულიყვნენ მაღაზიებში იარაღის შესაძენად, თუმცა აღმოჩნდა, რომ მათ 15 დღე მოუწევდათ ლოდინი, შესაბამისად ვერ მოახერხეს თავდაცვა არეულობის ფონზე გაზრდილი ძარცვის შემთხვევების საწინააღმდეგოდ. საპირისპიროდ, ქარიშხალი ენდრიუს დროს ადგილობრივმა რეციდივისტებმა ბევრი ვერაფერი იშოვეს ბინებში შევარდნით (ლოს ანჟელესისგან განსხვავებით), რადგან ფლორიდაში მოცდის პერიოდად მხოლოდ 3 დღე იყო განსაზღვრული.

შემთხვევა 2. 1990 წელს, ჩრდილოეთ კაროლინაში მაცხოვრებელმა კეტრინ ლატამ მიმართა პოლიციას იარაღის შეძენის ნებართვისათვის, რადგან მას ყოფილი საქმრო თავს რამდენჯერმე დაესხა, თუმცა აღმოაჩინა, რომ ამ ნებართვის მისაღებად მას 2-დან 4 კვირამდე დრო სჭირდებოდა. ლატამ შავ ბაზარზე იმავე დღეს მაინც შეიძინა პისტოლეტი და 5 საათის შემდეგ მას ისევ თავს დაესხნენ. ლატამ ესროლა და მოკლა ყოფილი საქმრო. ყველაზე საინტერესო ისაა, რომ იგი გაამართლეს, მიუხედავად იმისა, რომ არალეგალური იარაღი ჰქონდა.

შემთხვევა 3. უისკონსინში მაცხოვრებელი ბონი ელმასრი ვერ აღმოჩნდა ასეთივე ილბლიანი: მას უნდოდა იარაღის შეძენა, რადგან მისი ყოფილი ქმარი ემუქრებოდა, თუმცა სანამ მოცდის პერიოდი ამოიწურა, ის და მისი შვილები თავდამსხმელმა (ყოფილმა ქმარმა) დახოცა.

შესაბამისად, მოცდის პერიოდი ხშირ შემთხვევაში შეიძლება, პირიქით, ნეგატიურ გავლენას ახდენდეს იმ შედეგზე, რისი მიღწევაც პოლიტიკოსებს სურთ¹¹⁰.

მოსაზრება 3. თუ იარაღის რეგულაციებს გავამკაცრებთ, ამით გადაიჭრება მასობრივი სროლების პრობლემა

სკოლაში მომხდარი სროლები, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან იშვიათია, საერთო სტატისტიკიდან გამომდინარე (2014 წელს აშშ-ში მოხდა 14,249 მკვლელობა და აქედან მხოლოდ 17 სკოლაში), სხვებზე მეტად ჩანს საზოგადოებაში და მეტი ყურადღებაც ექცევა, შესაბამისად, მუდმივად ხდება მრავალი სხვადასხვა კონტროლის მექანიზმების მოფიქრება მათ შესამცირებლად და ეს მექანიზმები ძირითადად იარაღის სხვადასხვა ტიპის რეგულაციებია. სკოლებში მომხდარ სროლებს ამერიკას უკავშირებენ ხოლმე და საზოგადოებაც, თითოეული ასეთი შემთხვევის შემდეგ, აქტიურად მოითხოვს იარაღის კონტროლის გამკაცრებას, თუმცა ადვილად შეგვიძლია დავინახოთ, რომ ეს ისეთ ქვეყნებშიც ხდება, სადაც რეგულაციები გაცილებით ძლიერია და იარაღიც ბევრად ნაკლებად ხელმისაწვდომი, ვიდრე ამერიკაში. მაგალითად, სულ ახლახანს, 2022 წლის იანვარში, გერმანიაში, ჰაიდელბერგის უნივერსიტეტში სტუდენტმა ცეცხლი გახსნა, მოკლა ერთი და დაჭრა სამი¹¹¹. აღმოჩნდა, რომ მას არ ჰქონდა ფლობის ლიცენზია და იარაღი გერმანიის გარეთ ჰქონდა შეძენილი. ამ და მსგავსი შემთხვევებიდან შეგვიძლია დავუშვათ, რომ იარაღის აკრძალვის მიუხედავად, სრული განიარაღება თანამედროვე მსოფლიოში შეუძლებელია და დამნაშავეებს ხელი მიუწვდებათ მასზე მკაცრი რეგულაციების მიუხედავად (ეს დასკვნა თანხვედრაშია ზემოთ მოყვანილ მოსაზრებასთან, რომ იარაღის ფლობაზე ზეგავლენას ახდენს სხვა ქვეყნების კანონებიც).

საგანმანათლებლო დაწესებულებებში მომხდარ სროლებზე ძალიან ცოტა ემპირიული კვლევა არსებობს, რაც ძირითადად მათი იშვიათობითაა

¹¹⁰ Kopel, David B. "Hold your fire-gun-control wont stop rising violence." *Policy review* 63 (1993): 58-65.

¹¹¹ Halasz, Stephanie, Nina Avramova, and Eliza Mackintosh. "Woman Killed, Three Injured, in Shooting at Heidelberg University in Germany." CNN. Cable News Network, January 25, 2022. <https://edition.cnn.com/2022/01/24/europe/germany-shooting-heidelberg-intl/index.html>.

განპირობებული (საშუალოდ წელიწადში 20-ზე ნაკლები შემთხვევა). ერთ-ერთი კვლევა კალესანმა¹¹² 2016 წელს ჩაატარა, სადაც ავტორები ეძებდნენ კორელაციას იარაღის და ვაზნების შეძენისას მყიდველის წარსულის კვლევისა და სკოლებში მომხდარ სროლებს შორის. ამ კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ შტატებში სადაც უფრო მკაცრი მყიდველის წარსულის კვლევა ხორციელდება ან სადაც მეტი ინვესტიცია იდება განათლებასა და ჯანდაცვაში, ნაკლები ინციდენტები ხდება სკოლებში. არადა, მაგალითად, აშშ-ში მასობრივი მკვლევლობები 2019 წელს ყველაზე მეტი კალიფორნიაში დაფიქსირდა, არადა ცნობილია, რომ კალიფორნიას ერთ-ერთი ყველაზე მკაცრი კანონმდებლობა აქვს იარაღის მიმართ¹¹³.

თუმცა ამ კვლევას მინუსები აქვს, რადგან მასში გათვალისწინებულია ის ინციდენტებიც, სადაც არ მომხდარა არც მკვლევლობა და არც ჯანმრთელობის დაზიანება. თვითონ კვლევის ავტორებიც აღიარებენ, რომ ასეთი ინციდენტების გარეშე სტატისტიკური მნიშვნელოვნობის მიღწევა მნიშვნელოვნად რთულდებოდა.¹¹⁴

შესაბამისად, მარკ გიუსმა ჩაატარა ახალი კვლევა¹¹⁵, რომელიც მის მიერ გამოთქმულ შენიშვნებს და წინა კვლევაში დაშვებულ შეცდომებს ითვალისწინებდა: იგი მოიცავს მხოლოდ იმ შემთხვევებს, რომლებიც მკვლევლობით ან ჯანმრთელობის დაზიანებით დასრულდა, ეყრდნობა 1990-2014 წლების სოციალური კვლევების მონაცემებს და აანალიზებს როგორც შტატების, ასევე ფედერალურ იარაღის რეგულაციებს და განიხილავდა სხვადასხვა ტიპის შეზღუდვებს, როგორებიცაა თავდასხმის იარაღების აკრძალვა, ფარულად ტარების დაშვება ან აკრძალვა და წარსულის შემოწმება იარაღის შეძენის დროს. შედეგები შემდეგია:

¹¹² Kalesan, Bindu, Kinan Lagast, Marcos Villarreal, Elizabeth Pino, Jeffrey Fagan, and Sandro Galea. "School shootings during 2013–2015 in the USA." *Injury prevention* 23, no. 5 (2017): 321-327.

¹¹³ "2019 წელს აშშ-ის ისტორიაში მასობრივი მკვლევლობების ყველაზე მეტი შემთხვევა მოხდა." Tabula. Accessed December 22, 2020. <http://www.tabula.ge/ge/story/162546-2019-tsels-ashsh-is-istoriashi-masobrivi-mkvlelobebis-kvelaze-meti-shemtxveva-moxda>.

¹¹⁴ Gius, Mark. "The effects of state and Federal gun control laws on school shootings." *Applied economics letters* 25, no. 5 (2018): 317-320.

¹¹⁵ Gius, Mark. "The effects of state and Federal gun control laws on school shootings." *Applied economics letters* 25, no. 5 (2018): 317-320.

ჩამოთვლილთგან, მხოლოდ თავდასხმის იარაღების აკრძალვას ჰქონდა სტატისტიკური გავლენა რეზულტატზე, რადგან როდესაც აკრძალვა ფედერალურ დონეზე ძალაში იყო და გაუქმდა 2004 წელს, მსხვერპლთა რიცხვი სკოლებში 54.4%-ით გაიზარდა, ხოლო აღმოჩნდა, რომ დანარჩენ ზემოთ ჩამოთვლილ შეზღუდვებს და სროლებს სკოლებში კორელაცია არ გააჩნიათ.

უმუშევრობის დონე, ალკოჰოლის მოხმარება ერთ სულ მოსახლეზე, საშუალო შემოსავლის დონე და 5-დან 18 წლამდე მოსახლეობის რაოდენობა დადებით კორელაციაშია სროლებთან სკოლებში და ზოგი მათგანი უფრო დიდი გავლენაც კი გააჩნია, ვიდრე თავდასხმის იარაღების აკრძალვის კანონს. აქედან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ იარაღის ტარების შესაძლებლობას ყველაზე ხშირად უკავშირებენ სკოლებში მასობრივ სროლებს, როგორც ჩანს, მიზეზები სხვაგან უნდა ვეძიოთ.

მოსაზრება 4. სახლში იარაღის ქონა სიკვდილიანობის რისკს ზრდის

იარაღი ოჯახში თავდაცვაზე ხშირად დანაშაულის ჩასადენად გამოიყენება და ეს დანაშაული ფატალური შედეგით უფრო ხშირად მთავრდება, შესაბამისად, “ლოგიკური” ნაბიჯი ამ ყველაფერზე არის ოჯახების მაქსიმალური განიარაღება და მრავალი სიცოცხლის გადარჩენა^{116 117}.

ამ მოსაზრებას ემხრობა, მაგალითად, რელა მაზალი¹¹⁸, რომელმაც 2010 წელს დააარსა სამოქალაქო აქტივიზმის ორგანიზაცია GKFT, რომლის დანიშნულებაც ქალების იარაღისგან დაცვაში და შესაბამისად, უბედური შემთხვევების თავიდან არიდებაში მდგომარეობს. ისრაელში 40,000 ადამიანი მუშაობს დაცვის სამსახურში და მათ იარაღზე წვდომა აქვთ. რელა იხსენებს, რომ მისი

¹¹⁶ Cukier, Wendy, and James Cairns. "Gender, attitudes and the regulation of small arms: Implications for action." *Sexed Pistols: The Gendered Impacts of Small Arms and Light Weapons*. United Nations University Press: Nueva York (2009).

¹¹⁷ Hemenway, David. "Risks and benefits of a gun in the home." *American Journal of Lifestyle Medicine* 5, no. 6 (2011): 502-511.

¹¹⁸ Mazali, Rela. "Speaking of guns: launching gun control discourse and disarming security guards in a militarized society." *International Feminist Journal of Politics* 18, no. 2 (2016): 292-304.

შვილი როცა ისრაელის არმიაში მსახურობდა, სახლში მოჰქონდა ხოლმე სამსახურეობრივი იარაღი და კარადაში დებდა, რომელიც არც კი იკეტებოდა. თავიდან, ოჯახის წევრები დისკომფორტს განიცდიდნენ, ხოლო შემდეგ ეს დისკომფორტი გაქრა და იარაღი მათი ცხოვრების ნაწილი გახდა. ამ დროს არსებობდა შემაშფოთებელი სტატისტიკა: იმ სახლებში, სადაც იარაღია, მნიშვნელოვნად უფრო ხშირად ხდება მკვლევლობები და თვითმკვლევლობები, და მკვლევლობის მსხვერპლი ქალები უფრო ხშირად ხდებიან, ვიდრე მამაკაცები (ზემოთ მოყვანილი სტატისტიკიდან, 33 აღრიცხული მკვლევლობის მსხვერპლი 18 ქალი იყო). რელა ამაცობს, რომ მისი სამოქალაქო აქტივიზმის შედეგად 2014 წელს არ დაფიქსირებულა არც ერთი მკვლევლობა დაცვის თანამშრომლის მიერ სახლში წაღებული იარაღით, მაშინ როდესაც 2013 წელს ეს ციფრი 8 იყო, ხოლო 2002 - 2013 წლებში მინიმუმ 33.

კუმინგისის, კოსპელის, გროსმანის, სავარინოს და ტომპსონის კვლევამ, რომელიც იყენებდა ლიცენზირებულ იარაღის გამყიდველებს, დაასკვნა, რომ „იარაღის ლეგალური შესყიდვა ასოცირდება ძალადობრივი სიკვდილის გრძელვადიან გაზრდილ რისკებთან“¹¹⁹.

ამ მოსაზრებას ასევე ადასტურებს კელერმანიც, რომელმაც, იმისთვის, რომ დაედგინა სახლში იარაღის ქონის დადებითი და უარყოფითი მხარეები, ჩაატარა ძალიან დიდი კვლევა¹²⁰, აარჩია სამი ქვეყანა და მათში მომხდარი მკვლევლობები 1987-1992 წლებში და გამოყო სახლში ჩადენილი მკვლევლობები (444 შემთხვევა - 23.9%). ანალიზის შედეგად გვაჩვენა, რომ დანაშაულის 50.9%-ის მოტივი იყო ჩხუბი ან სიყვარული, სადაც მკვლელი (76.7% შემთხვევაში) იყო ნაცნობი. შემთხვევათა 49.8%-ში გამოყენებულ იქნა იარაღი, ხოლო დანარჩენებში დანა თუ სხვა ინსტრუმენტები. 21 შემთხვევაში მსხვერპლმა წარუმატებლად სცადა იარაღის გამოყენება თავდაცვის მიზნით.

¹¹⁹ Cummings, P., and T. D. Koepsell. "Grossman, D. c., Savarino, J., and Thompson, R. S. (1997) The association between purchase of a handgun and homicide or suicide." *American Journal of Public Health* 87: 974-978.

¹²⁰ Kellermann, Arthur L., Frederick P. Rivara, Norman B. Rushforth, Joyce G. Banton, Donald T. Reay, Jerry T. Francisco, Ana B. Locci, Janice Prodzinski, Bela B. Hackman, and Grant Somes. "Gun ownership as a risk factor for homicide in the home." *New England Journal of Medicine* 329, no. 15 (1993): 1084-1091.

კელერმანი, ანალიზის შედეგად, გვაჩვენებს, რომ სახლში იარაღის ფლობა დადებით კორელაციაშია მკვლელობასთან, მაგრამ ასევე ამბობს, რომ ოჯახები, სადაც აღნიშნული შემთხვევები დაფიქსირდა, ხშირად ჩხუბობდნენ, ისე, რომ ერთმანეთს ფიზიკურად ეხებოდნენ და აზიანებდნენ, იყენებდნენ დიდი ოდენობით ალკოჰოლს და ნარკოტიკებს. ნაშრომი აკეთებს დაშვებას, რომ იარაღი რომ არ ყოფილიყო, მაშინ მკვლელობა არ მოხდებოდა, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ სხვა ინსტრუმენტი არ იქნებოდა გამოყენებული, როგორც შემთხვევათა 50.2%-ში. შესაბამისად, აღნიშნული კვლევის შედეგების რელევანტურობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არსებობს.

კლეკისა და გერცის მსგავსმა კვლევამ (1995)¹²¹ აჩვენა, რომ იარაღის ფლობამ გადაარჩინა ადამიანთა სიცოცხლეები, თუმცა მას დაუპირისპირდა მორგანშტერნი (1997)¹²², რომელიც ამტკიცებდა, რომ რესპოდენტი გადაჭარბებულად აღიქვამდა იარაღის საშუალებით თავიდან აცილებულ სიკვდილს (კვლევის მეთოდის ხარვეზიდან გამომდინარე).

მაუზერმა და ჰოლმსმა 1992 წელს ჩაატარეს კვლევა კანადის 1977 წლის იარაღის შეზღუდვებზე¹²³, გაანალიზეს ფაქტორები, როგორებიცაა იმიგრაციის რეგულაციები, უმუშევრობის დონე და ალკოჰოლის მოხმარება და დაასკვნეს, რომ იარაღის შეზღუდვა იმაზე გაცილებით ნაკლებ ეფექტს ახდენს კრიმინალის დონეზე, ვიდრე ბევრს ჰგონია. ისინი ამბობენ, რომ ალკოჰოლიკები და უმუშევრები სერიოზული პრობლემების წინაშე დგანან და სანამ ეს პრობლემები არ გადაიჭრება, მანამდე ისინი გააგრძელებენ კრიმინალის დონეში საკუთარი მაღალი წვლილის შეტანას.

რადგან ემპირიული კვლევები ვერ ახერხებენ იარაღის შესახებ დავის გადაჭრას, ხომ არ არის შესაძლებელი უფრო თეორიული მიდგომის გამოყენება, მაგ. მარტივი დამნაშავისა და მსხვერპლის ინტერაქციის

¹²¹ Kleck, Gary, and Marc Gertz. "Armed resistance to crime: the prevalence and nature of self-defense with a gun." *J. Crim. L. & Criminology* 86 (1995): 150.

¹²² Morgenstern, Hal. "Gun availability and violent death." *American journal of public health* 87, no. 6 (1997): 899-901.

¹²³ Mauser, Gary A., and Richard A. Holmes. "An evaluation of the 1977 Canadian firearms legislation." *Evaluation Review* 16, no. 6 (1992): 603-617.

მოდელის, რომელმაც შეიძლება გვაჩვენოს საინტერესო დამოკიდებულებები იარაღის რეგულაციების მომხრეებსა და მასზე მოქმედ ძალებს შორის?

რობერტ ტეილორი უშვებს, რომ არგუმენტები, იარაღის რეგულაციების შესახებ, დაფუძნებულია ორ პრინციპზე:

1. უნივერსალური განიარაღება ოპტიმალური მდგომარეობაა

2. იარაღის რეგულაციებს ამ ოპტიმუმისკენ მივყავართ, ესე იგი, ხელს უწყობენ კეთილდღეობას¹²⁴

და ადგენს შემდეგ მოდელს: დავუშვათ, რომ არსებობს ორი თანაბარი პოპულაცია პოტენციური კრიმინალების და მსხვერპლის (პოტენციური იმიტომ, რომ კრიმინალმა შეიძლება თავდასხმისგან თავი შეიკავოს და მსხვერპლი აღარ იყოს მსხვერპლი), ასევე ისიც, რომ პოპულაციების ყველა წევრი იდენტურია და ისინი რისკ-ნეიტრალურები არიან. შესაბამისად, თუ ამას თამაშთა თეორიაში გადავიტანთ, ვნახავთ, რომ კრიმინალს აქვს ორი არჩევანი: თავს დაეხას, ან არა. თუ გადაწყვიტა თავდასხმა, ის იარაღს ყიდულობს. ანალოგიურად, მსხვერპლმა უნდა გადაწყვიტოს, იყიდოს თუ არა იარაღს თავდაცვის მიზნით. თამაში ერთდროულად ითამაშება, შესაბამისად არც ერთს არ აქვს საშუალება, წინასწარ იცოდეს, რას აკეთებს მეორე (რეალობაში სწორედ ასეა: დამნაშავემ ძირითადად არ იცის, შეიარაღებულთან მოუწევს თუ არა გადაკვეთა და არავინ იცის, როდის დაესხმებიან თავს).

ავტორი, შემდეგ, ადგენს, რა სარგებელი ექნებათ მოთამაშეებს თითოეულ შემთხვევაში და შემოაქვს შემდეგი აღნიშვნები:

Z - კრიმინალის სარგებელი, როდესაც ის თავს დაესხმება შეუიარაღებელს;

X - კრიმინალის სარგებელი, როდესაც ის თავს დაესხმება შეიარაღებულს;

W - შეიარაღებულის სარგებელი, როდესაც თავს დაესხმებიან;

Y - შეუიარაღებულის სარგებელი, როდესაც თავს დაესხმებიან;

¹²⁴ Taylor, Robert. "A game theoretic model of gun control." *International Review of Law and Economics* 15, no. 3 (1995): 269-288.

მთავარ დაშვებას, რომელსაც ტეილორი აკეთებს, არის $Z > 0 > X > W > Y$, საიდანაც ჩანს, რომ კრიმინალს პოზიტიური სარგებელი აქვს მხოლოდ მაშინ, როდესაც შეუიარაღებელთან უწევს გადაკვეთა (ამ დროს მისი ჩანაფიქრი წარმატებით ხორციელდება), სხვა ყველა შემთხვევაში - სარგებელი ნეგატიურია, რადგან ნებისმიერი თავდასხმა, შედეგისდა მიუხედავად, ძალიან ცუდია მსხვერპლისთვის, ხოლო თუ დამნაშავე თავს ესხმის შეიარაღებულს, არავინ იცის, როგორ დამთავრდება ეს ყველაფერი, თუმცა $X > W$ -ზე მაღალია, რადგან თავდასხმა სიურპრიზია მსხვერპლისთვის და შესაბამისად, დამნაშავე უკეთეს პოზიციაშია, ხოლო Y ყველაზე დაბალია, რადგან სტატისტიკა გვჩვენებს, რომ თავდასხმის დროს წინააღმდეგობის გაწევა იარაღით იმაზე უკეთესად სრულდება მსხვერპლისთვის, ვიდრე წინააღმდეგობის გაწევა სხვა რამე სახის არაცეცხლსასროლი იარაღით ან წინააღმდეგობის საერთოდ არგაწევა. და ბოლოს, ორივეს სარგებელია ნულია, როდესაც დამნაშავე არ დაესხმება თავს არავის.

ავტორს აქვე შემოაქვს ახალი ცვლადი, C , რომელიც იარაღის შეძენის დანახარჯია, რომელიც შედგება ფულადი დანახარჯისგან (ფასი) და სხვა ხარჯებისგან, რომლებიც გამომდინარეობს იარაღის რეგულაციებიდან, მაგ. შეძენის დრო შავ ბაზარზე, დახარჯული ენერგია ამ პროცესში, სასჯელი დანაშაულისთვის და ა.შ. (ეს მიდგომა რეალობასთან ახლოსაა, რადგან რაზეც მოთხოვნაა, მისი მთლიანად აკრძალვა შეუძლებელია, თუმცაღა შეიძლება მისი ფასის მნიშვნელოვანი მატება, თუ გართულება შეძენა) და ამ ცვლადს აკლებს თითოეულ სარგებელს.

ამ თამაშის ანალიზისათვის საჭიროა ვნახოთ, ხომ არ არსებობს სტრატეგია, რომელიც ყველა შემთხვევაში სხვაზე ცუდია (ე.წ. დომინირებული). თუ ჩავთვლით, რომ $Z < C$, ანუ იარაღის შეძენა იმდენად ძვირია, რთულია, ა.შ., რომ თავდასხმის ბენეფიტი მასზე ნაკლებია, მაშინ თავდასხმა გამოდის დომინირებული სტრატეგია, რადგან მისი ბენეფიტი ყოველთვის ნულს ქვევითაა, ხოლო ართავდასხმა ნულია, შესაბამისად, რაციონალური კრიმინალი არასდროს დაესხმება თავს, ხოლო მსხვერპლი იარაღს არ იყიდის, თუმცა რეალურ ცხოვრებაში ეს ცოტა სხვანაირადაა: არსებობს კრიმინალი, რომელიც მაინც დაესხმება თავს და მსხვერპლი, რომელიც მაინც იყიდის იარაღს. ვთქვათ, θ არის ის მსხვერპლის პოპულაცია, ვინც ყველა ვარიანტში

ყიდულობს იარაღს, შესაბამისად 1-მ იქნება დანარჩენი, ვინც არასდროს არ ყიდულობს იარაღს, ანალოგიურად B იყოს კრიმინალთა პოპულაცია, ვინც ყველა ვარიანტში თავს ესხმება, ხოლო 1-B ვინც არასდროს ესხმება. ვინ რომელ პოპულაციაში იქნება, ეს გადაწყვეტილება მიიღება შესაბამისი სარგებლის საფუძველზე. ვთქვათ, რომ თავდასხმის სარგებელი მაღალია, მაშინ ბევრი აირჩევს B-ს, ხოლო 1-B შემცირდება; ანალოგიურად მოხდება მსხვერპლთა რიგებშიც, შესაბამისად ეს პროცესი გაგრძელდება მანამდე, სანამ თავდასხმის სარგებელი არ შემცირდება ინდიფერენტულობის წერტილამდე.

აქედან ორი დასკვნის გამოტანა შეიძლება: 1. სრული განიარაღების პირობებში სოციალური კეთილდღეობა უმჯობესდება. თუმცა, მთავრობას არ შეუძლია სრული განიარაღება და მხოლოდ იარაღის გაძვირებაა შესაძლებელი 2. იარაღის გაძვირება სოციალურ კეთილდღეობას ამცირებს, რადგან ნაკლები მსხვერპლი ყიდულობს იარაღს, ხოლო ამით თავდამსხმელის ბენეფიტი მაღლა იწევს.

ამის უკეთ განსამართად, ავტორს შემდეგი აბსტრაქტული მაგალითი მოჰყავს: ვთქვათ, იარაღი ღირს \$200 (C);

თავდასხმა შეუიარაღებელ მსხვერპლზე \$1,200-ის ბენეფიტს აძლევს დამნაშავეს (Z);

-\$500 არის ბენეფიტი შეიარაღებულ მსხვერპლზე (X);

მსხვერპლის სარგებელი, როცა შეიარაღებულია თავდასხმის დროს არის -\$600 (W) და -\$1,500, როცა შეუიარაღებელია (Y).

ამ დროს მსხვერპლის საშუალო სარგებელი $-\$333$ შეადგენს $(=CY/(W-Y))$. სოციალური კეთილდღეობა მუდმივად მცირდება, სანამ იარაღის შეძენის დანახარჯი არ მიაღწევს \$700-ს, ამ დროს კიდევ ზრდა გამოიწვევს $W-C < Y$, რა დროსაც მსხვერპლი აღარ იყიდის იარაღს საერთოდ, რადგან შეიარაღება დომინირებული სტრატეგია აღმოჩნდება, შესაბამისად კრიმინალი ყოველთვის დაესხმება თავს და მსხვერპლის ბენეფიტი მუდმივად იქნება -

\$1,500. ეს გაგრძელება მანამდე, სანამ იარაღის ფასი არ ავა \$1,000-მდე, რა დროსაც უკვე თავდასხმა გამოვა დომინირებული სტრატეგია, კრიმინალი აღარ დაესხმება თავს, შესაბამისად აღარ იყიდის იარაღს და მოხდება მთლიანი განიარაღება.

აქედან შეგვიძლია ორი ძალიან მნიშვნელოვანი დასკვნის გამოტანა:

1. იარაღის რეგულაციამ შეიძლება ძალიან ცუდი შედეგები მოუტანოს მოსახლეობას, სანამ მათ სოციალურ კეთილდღეობას გააუმჯობესებს და ეს პროცესი შეიძლება დიდი ხნის განმავლობაში გრძელდებოდეს. ამ თეორიულ მაგალითში ფასი ხუთმაგი გახდა, სანამ კეთილდღეობა გაჩნდებოდა და რეალურ ცხოვრებაში რთულია ისეთი ნაბიჯების წარმოდგენა, მით უმეტეს დემოკრატიულ სახელმწიფოში, რაც ასეთ მკვეთრ ზრდას უზრუნველყოფს.

2. შეიარაღება იწვევს კეთილდღეობის ზრდას, რადგან $-C > CY/(W-Y)$. შესაბამისად, ამ მოდელის საფუძველზე შეგვიძლია დავეთანხმოთ პოლსბის ნაშრომს¹²⁵ და მის მიერ გამოტანილ დასკვნებს.

მეორე მოდელის განსახილად ავტორი გვთავაზობს უფრო რთულ თამაშს:

რთული მოდელის მიხედვით, აუცილებელია შევცვალოთ რამდენიმე დაშვება, რაც აღებული გვექონდა წინა ვარიანტში: რეგულაციების შედეგად განეული იარაღის შეძენის დანახარჯები არ არის ერთი და იგივე კრიმინალისთვის და მსხვერპლისთვის და დამნაშავე თავს ყოველთვის იარაღით არ ესხმება. რა თქმა უნდა, რეალურ ცხოვრებაში, ყველა დანაშაული ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით არ ხდება. აქვე, განვიხილოთ პირველი დაშვება უფრო დეტალურად:

რა თქმა უნდა, ზოგი რეგულაცია შეიძლება თანაბრად მოქმედებდეს ორივე მხარეზე (მაგ. მოცდის პერიოდი იარაღის შესაძენად), მაგრამ უმრავლესობა ასე არაა. მაგ, თუ ავკრძალავთ იარაღის გაყიდვას მთლიანად, ესე იგი, კრიმინალიც და მსხვერპლიც იძულებულები იქნებიან შავ ბაზარზე შეიძინონ, ხოლო ეს ავტომატურად ნიშნავს, რომ კრიმინალი ძირითად შემთხვევაში უკეთესად

¹²⁵ Polsby, Daniel D. "Equal protection." *Reason* 25 (1993).

იცნობს შავ ბაზარს, უკეთესი კონტაქტებიც აქვს და ფასებიც უკეთ იცის, ანუ მათთვის ნაკლებად ხდება დანახარჯის ზრდა.

თუმცა, მაგალითად, წარსულის შემონმება იარაღის ყიდვისას მეტად ზრდის დანახარჯს კრიმინალებისათვის და ნაკლებად ჩვეულებრივი მოქალაქეებისათვის და ა.შ.

შესაბამისად, ამ დაშვების საფუძველზე ავტორი ადგენს გართულებულ თამაშს და შემდეგი დასკვნა გამოაქვს: ის რეგულაციები, რომლებიც მიმართულია კრიმინალების შეზღუდვების გამკაცრებისკენ, არ ამცირებენ მსხვერპლის სურვილს შეიძინოს იარაღი, შესაბამისად, რეგულაციებმა შეიძლება გაზარდოს სოციალური “სიკეთე”, თუ ისინი ზღუდავენ მხოლოდ კრიმინალებს და კრიმინალები იარაღს დიდ უპირატესობას არ ანიჭებენ (მაგ. იარაღის გარეშეც ჩაიდენდნენ დანაშაულს), თუმცა ძირითადად ეს ასე არ ხდება, რადგან რეგულაციები მსხვერპლსაც ზღუდავს და ამით ამცირებს სოციალურ კეთილდღეობას.

შეჯამების სახით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ რეგულაციები, როგორებიცაა წარსულის კვლევა, ანდაც მკაცრი სასჯელი იარაღით ჩადენილ დანაშაულზე ნაკლებად ზღუდავს მსხვერპლს და კრიმინალს ცუდ მდგომარეობაში აყენებს, სამაგიეროდ იარაღის აკრძალვა, მოცდის პერიოდები წარსულის შემონმების გარეშე და მაღალი გადასახადები იარაღებზე პირდაპირ ზეგავლენას ახდენენ ჩვეულებრივ მოქალაქეებზე და ნაკლებად მოქმედებენ დამნაშავეებზე, ანუ ზოგადად, იარაღის შემცირების სტრატეგია არ მუშაობს.

ამ ყველაფრის მიუხედავად, პოლიტიკოსები მაინც ხშირად აპელირებენ იარაღის კონტროლით, რადგან გაცილებით მარტივი, “ლოგიკური” და გასაგებია მოსახლეობისთვის იმის მტკიცება, რომ იარაღის ფლობა მის გამოყენების პრეცედენტს და შესაბამისად სიკვდილიანობის სტატისტიკას ზრდის, ვიდრე საპირისპირო.

პოლიტიკოსების არგუმენტებს ხელს უწყობს ისიც, რომ როდესაც მოსახლეობის დიდი ნაწილი ფლობს იარაღს, უფრო ხშირია ე.წ. უბედური შემთხვევები, როდესაც იარაღის გამოყენება ხდება არაგანზრახვით. კვლევებიც აჩვენებს,

რომ მაგ. კანადაში, კვებეკში, მოსახლეობის მესამედი, ვინც იარაღს ფლობს, არღვევს მისი შენახვის და უსაფრთხოების წესებს¹²⁶, რაც ინცინდენტების რიცხვს ზრდის. ეს ფაქტი ავტომატურად აჩენს მრავალ იარაღის მონინააღმდეგეს, რომელიც აკრძალვის იდეით გამოდის და შესაბამის ციფრებს ასახელებს.

სწორედ ჩვენი “ლოგიკის”, შეგრძნებების და რწმენის გამოა, რომ მსოფლიოში ქვეყნების უმრავლესობაში იარაღი ნაწილობრივ ან მთლიანად შეზღუდულია, რასაც, როგორც ზემოთ დავინახეთ, შეიძლება ნაკლები შედეგი მოჰქონდეს დანაშაულის დონის შემცირების თუ მოქალაქეების უსაფრთხოების კუთხით, სამაგიეროდ ართმევდეს ადამიანებს საკუთარი თავის, ქონების თუ თავისუფლების დაცვის საშუალებას. არადა, მაგალითად, ახალ ზელანდიაში, 2019 წელს, მეჩეთში მომხდარი მასობრივი სროლების შემდეგ, როდესაც დაიღუპა 51 და დაშავდა 49 ადამიანი, პრემიერ-მინისტრი არდენი ზუსტად ანალოგიურად მოიქცა და თავის სიტყვაში დაპირდა მოსახლეობას, რომ იარაღის კონტროლი გამკაცრდება. "Our gun laws will change, now is the time ... People will be seeking change, and I am committed to that. There have been attempts to change our laws in 2005, 2012 and after an inquiry in 2017. Now is the time for change"^{127 128}.

¹²⁶ Chapdelaine, Antoine, and Pierre Maurice. "Firearms injury prevention and gun control in Canada." *CMAJ: Canadian Medical Association Journal* 155, no. 9 (1996): 1285.

¹²⁷ Junge, Rachel. "'Our Gun Laws Will Change': NZ PM Jacinda Ardern in Wake of Christchurch Massacre." myGC.com.au. Rachel Junge <https://www.mygc.com.au/wp-content/uploads/2016/04/mygc-logo.png>, March 15, 2019. <http://www.mygc.com.au/our-gun-laws-will-change-nz-pm-jacinda-ardern-in-wake-of-christchurch-massacre/>.

¹²⁸ Mervosh, Sarah. "New Zealand Took 6 Days to Plan New Gun Laws. Here's How Other Countries Reacted to Shootings." *The New York Times*. The New York Times, March 21, 2019. <https://www.nytimes.com/2019/03/21/world/gun-laws-australia-uk-germany-canada.html>.

9. მშვიდობით, იარაღო¹²⁹?!

როგორც წინა თავში დავინახეთ, რამდენიმე ქვეყნის თვისობრივი კვლევიდან გამომდინარე შეგვიძლია ეჭვი შევიტანოთ, რამდენად არსებობს კავშირი იარაღის ფლობასა და ჩადენილ დანაშაულებს შორის, მიუხედავად იმისა, რომ ხალხი ითხოვს იარაღის კონტროლის გამკაცრებას და მთავრობა ახორციელებს მას.

ქვეყანაში იარაღის კონტროლის სიმკაცრე შეგვიძლია შევაფასოთ იარაღის ფლობის საშუალო მაჩვენებლით 100 მოსახლეზე. რაც უფრო მეტი რეგულაცია არსებობს იარაღის შეძენასთან და ფლობასთან დაკავშირებით, რა თქმა უნდა, მით ნაკლებ ადამიანს უჩნდება ყიდვის სურვილი (მაგ. იაპონიაში, სადაც ეს კანონები ერთ-ერთი ყველაზე მკაცრია მსოფლიოში, 100 სულ მოსახლეზე მხოლოდ 0.3 იარაღი მოდის, ხოლო აშშ-ში, სადაც იარაღი ნაკლებად რეგულირდება, მოსახლეობის რიცხოვნობაზე მეტია, ას ადამიანზე - 120.5). იარაღის რეგულაციების საფუძველიც ხომ სწორედ ეს არის, შეამცირონ იარაღის რაოდენობა, რადგან, “ლოგიკურად”, რაც მეტი იარაღი იქნება საზოგადოებაში, მით უფრო მეტი დანაშაული მოხდება (მაგალითად წინასწარი განზრახვით თუ მის გარეშე ჩადენილი მკვლელობა და ა.შ.).

საზოგადოებისათვის იარაღის კონტროლის “შედეგები” მარტივად დანახვადიცაა - თუ იაპონიას და აშშ-ს შევადარებთ ერთმანეთს, აღმოვაჩენთ, რომ აშშ-ში ჩადენილი მკვლელობათა სტატისტიკა გაცილებით მძიმეა (2017 წელს საშუალოდ 5.92 მკვლელობა მოხდა 100,000 ადამიანზე გაანგარიშებით, ხოლო იაპონიაში - 0.29), რასაც მრავალი (ამერიკის თუ სხვა ქვეყნის რეზიდენტი) სწორედ იარაღის ფლობას უკავშირებს და ითხოვს კონტროლის გამკაცრებას.

სწორედ აქედან გამომდინარე, თვისობრივი კვლევის შემდეგ, გადავწყვიტე, მასშტაბური რაოდენობრივი კვლევა ჩამეტარებინა და შემემოწმებინა, რამდენად გვიჩვენებს სტატისტიკური მონაცემები რეალური კავშირის არსებობას იარაღის ფლობასა და ჩადენილ მკვლელობებს შორის,

¹²⁹ Hemingway, Ernest. "A Farewell to Arms. 1929." *New York: Scribner* (1995).

თუ დავინახავთ, რომ იარაღის ფლობის მაღალი მაჩვენებელი მკვლელობების რიცხვზე ახდენს ზეგავლენას, მაშინ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ იარაღის კონტროლი დასახული მიზნის მისაღწევად გადადგმული სწორი ნაბიჯი შეიძლება იყოს და საზოგადოების მოთხოვნები კონტროლის გამკაცრებაზე სრულიად გამართლებულია. თუმცა თუ აღმოჩნდება, რომ ეს ასე არაა, მაშინ გამოდის, რომ იარაღის აკრძალვები ვერ გადიან დასახულ მიზანზე (შემცირდეს დანაშაული) და დამატებითი რეგულაციების ბენეფიტები შესაძლოა სათუო იყოს. ამის დასადგენად, გადავწყვიტე, შემედარებინა მსოფლიოს 195 ქვეყანაში არსებული კრიმინოგენული ვითარება საზოგადოების იარაღის ფლობის მაჩვენებელთან, ჩამეტარებინა სტატისტიკური ანალიზი, დამეფიქსირებინა ცვლადები და დამენახა, კონკრეტულად იარაღის ფლობას თუ აქვს ეფექტი დანაშაულზე

ანალიზისთვის შევადგინე მონაცემთა ბაზა, სადაც საბაზისო წლად ავიღე 2017, მონაცემების სიმრავლის გამო. ბაზაში შევიყვანე:

- მსოფლიოს 195 ქვეყანა;¹³⁰
- მათი მოსახლეობის რაოდენობა და ნომინალური მშპ;
- მოსახლეობის სიმჭიდროვე, იმ დაშვებით, რომ სავარაუდოდ სადაც დიდი რაოდენობის ხალხი ცხოვრობს მცირე ტერიტორიაზე, მეტი კონფლიქტი შეიძლება მოხდეს და პოტენციური დანაშაულისათვის უფრო ნოყიერი ნიადაგია;
- ალკოჰოლის მოხმარება ერთ სულ მოსახლეზე, რომლისთვისაც გამოვიყენე მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მონაცემები და რომელიც გამოსახულია სუფთა სპირტში კონვერტირებული ფორმით, რადგან როგორც ზემოთ ვნახეთ, სხვადასხვა კვლევა ამტკიცებს, რომ ჭარბი ალკოჰოლის მოხმარება დაკავშირებულია დანაშაულის ჩადენასთან.

შემდეგ, gunpolicy.org-ზე დაყრდნობით¹³¹, ავიღე მონაცემები, რომლებიც არჩვენებენ:

¹³⁰ “Alphabetical List of Countries.” Accessed January 14, 2021. <https://www.worldometers.info/geography/alphabetical-list-of-countries/>.

¹³¹ Alpers, Philip. Gun Law and Policy: Firearms and armed violence, country by country. Accessed February 25, 2021. <https://www.gunpolicy.org/>.

- იარაღის მფლობელობას ქვეყნებში 100 მოსახლეზე გათვლით (ცხრილში მოვიყვანე როგორც ლეგალური, ასევე არალეგალური იარაღის ფლობა, რადგან ამ კვლევის მიზნებისთვის არ აქვს მნიშვნელობა, დანაშაულის ჩადენა კანონიერი იარაღით ხდება თუ უკანონოთი; თუ იარაღის კონტროლი ქვეყანაში მკაცრია, შესაბამისად არ არსებობს ლეგალური იარაღი და დამნაშავეები არალეგალურს იყენებენ, სულაც არ მიუთითებს რეგულაციის წარმატებაზე - მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ კანონი განაიარაღებს მორჩილ მოსახლეობას და ართმევს მათ თავდაცვის საშუალებას);
- მკვლელობათა რიცხვი 100,000 ადამიანზე გაანგარიშებით ბოლო 23 წლის განმავლობაში, ნებისმიერი მეთოდის გამოყენებით, რადგან ასევე არ აქვს მნიშვნელობა, რა მეთოდით მოხდება დანაშაულის ჩადენა - თუ ქვეყანაში იარაღის რეგულაციები მკაცრია და აღსრულებაც მაღალ დონეზეა, იარაღი მოსახლეობას არ აქვს, მაგრამ მკვლელობები მაინც ხდება, მაგ. დანის გამოყენებით, გამოდის, რომ კანონმა ვერ მიაღწია დასახულ მიზანს - ნაკლებ დანაშაულს;
- ასევე ავიღე მკვლელობათა რიცხვი იარაღის გამოყენებით, სტატისტიკური ანალიზისთვის და;
- თვითმკვლელობათა რიცხვი 100,000 ადამიანზე გაანგარიშებით.

ამ მონაცემებს მივამატე (UNDP-ს კვლევებზე დაყრდნობით)¹³²:

- კანონმორჩილების ინდექსი, იმ დაშვებით, რომ იარაღის კონტროლი სუსტი იქნება იმ ქვეყნებში, სადაც კანონს მოსახლეობა არ ემორჩილება და შესაბამისად, იარაღის რეგულაციების შედეგები არ არსებობს ან ბუნდოვანია. ამისათვის გამოვიყენე World Justice Project-ის მიერ 2017-2018 წლებში ჩატარებული კვლევა, Rule of Law Index¹³³, რომელიც 113 ქვეყანაში იკვლევს თუ რამდენად ძლიერია კანონი და რამდენად ემორჩილება მოსახლეობა მას, და ამას ახერხებს სხვადასხვა ტიპის გამოკითხვის 100,000-ზე მეტი შედეგის ანალიზის საფუძველზე;
- ადამიანთა განვითარების ინდექსი (Human Development Index), რომელიც მოიცავს ქვეყნების მაცხოვრებელთა საშუალო სიცოცხლის ხანგრძლივობას, განათლების დონეს და მშპ-ს ერთ სულ მოსახლეზე, რომ გავიგოთ,

¹³² "Human Development Reports." Human Development Data Center | Human Development Reports. Accessed February 25, 2021. <http://hdr.undp.org/en/data#>.

¹³³ Malkawi, Bashar H. "The WJP Rule of Law Index." (2017).

რამდენად განაპირობებს სიცოცხლის მაღალი სტანდარტები დანაშაულის დაბალ სტატისტიკას;

- უმუშევრობის დონე, იმ დაშვებით, რომ რაც მეტია დაუსაქმებელი, მით მეტი შეიძლება იყოს კრიმინალი ქვეყანაში;
- ადამიანთა თანასწორობის ინდექსი;
- ასევე ცალკე, დამატებითი ანალიზისთვის, ბაზას დავამატე ქვეყნებში მშპ ერთ სულზე და;
- განათლების ინდექსი.

რეგრესიული ანალიზი $Y_i = \beta_0 + \beta_1 X_1 + \beta_2 X_2 + \dots + \beta_i X_i + \varepsilon_i$ ჩავატარე მრავალჯერ, ასევე მრავალი დაშვებით, რომ დამენახა, ჩამოთვლილი კრიტერიუმებიდან რომელი ახდენს ზეგავლენას ჩადენილ მკვლელობათა რიცხვზე.

პირველ რეგრესიაში დამოუკიდებელ ცვლადად (X_i) ავიღე იარაღის მფლობელობა (gun_own) 100 მოსახლეზე გათვლით (ჩვენი კვლევისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია დავადგინოთ ეს მაჩვენებელი ახდენს თუ არა ზეგავლენას მკვლელობათა რიცხვზე და არის თუ არა ეს ზეგავლენა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი), ხოლო დამოკიდებულ ცვლადად (Y_i) - მკვლელობათა რიცხვი ნებისმიერი საშუალებით 100,000 მოსახლეზე გათვლით (homic_any). მათ შორის დამოკიდებულება უკუპროპორციული აღმოჩნდა ($\beta = -0.076$), თუმცა ეს დამოკიდებულება სტატისტიკურად მნიშვნელოვანი არ იყო ($P = 0.294$).

შემდეგ ანალიზში დამოუკიდებელ ცვლადად, იარაღის მფლობელობასთან ერთად, დავამატე ადამიანთა განვითარების ინდექსი (hdi). იარაღის ფლობის დამოკიდებულება მკვლელობათა რიცხვთან კვლავ სტატისტიკურად არამნიშვნელოვანი აღმოჩნდა ($P = 0.691$), სამაგიეროდ HDI-ს ჰქონდა უკუპროპორციული დამოკიდებულება ($\beta = -0.259$), რაც ნიშნავს, რომ ცხოვრების დონის ზრდასთან ერთად, დანაშაულის დონე იკლებს (სრულიად ლოგიკურია) და ეს დამოკიდებულება სტატისტიკურად მნიშვნელოვანი იყო ($P = 0.001$).

მომდევნო ანალიზში დამოუკიდებელ ცვლადად დავამატე უმუშევრობის დონე (unempl). რეგრესიამ გვაჩვენა, რომ ის პირდაპირპროპორციულ დამოკიდებულებაში იყო დანაშაულის დონესთან ($\beta = 0.144$), ანუ როდესაც

იზრდება უმუშევრობა, ასევე იზრდება მკვლელობათა რიცხვიც და ეს დამოკიდებულება სტატისტიკურად მნიშვნელოვანია ($P=0.052$).

შემდეგ ანალიზში კიდევ ერთი დამოუკიდებელი ცვლადის დამატებამ - ალკოჰოლის მოხმარებამ (alc_cons) აჩვენა, რომ მისი ზეგავლენა მკვლელობათა რიცხვზე არ იყო სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ($P=0.703$). ამის ახსნა შეგვიძლია შემდეგნაირად: ალკოჰოლის მოხმარება ევროპის ქვეყნებში (მაგ. საფრანგეთში) უფრო მაღალია, ვიდრე საქართველოში, თუმცა, ჩემი დაკვირვებით, განსხვავდება მოხმარების კულტურა: საფრანგეთში სპირტიან სასმელებს მიირთმევენ უფრო მცირე რაოდენობით, ოღონდ ხშირად, ხოლო საქართველოში დიდი რაოდენობით, თუმცა შედარებით იშვიათად; მცირე დოზებით ალკოჰოლის მიღება არ განაპირობებს ქცევის ცვლილებას და შესაბამისად ნაკლებად ახდენს ზეგავლენას კრიმინალის სტატისტიკაზე, მაშინ როდესაც დიდი დოზებით ერთჯერადად მიღებას საპირისპირო ეფექტი შეიძლება ჰქონდეს. ასევე, მაგ. საქართველოში ალკოჰოლური სასმელები ხშირად მზადდება, იყიდება და მოიხმარება ერთი ოჯახიდან მეორეში, ყოველგვარი მაღაზიების და გაყიდვების ფორმალური არხების გვერდის ავლით, შესაბამისად ალკოჰოლის მიღების სტატისტიკა შეიძლება იმაზე ბევრად მეტი იყოს, ვიდრე ეს კვლევის მონაცემებში ჩანს. მე ვუშვებ, რომ ეს მეორე პუნქტი შეგვიძლია განვავრცოთ, ანალოგიურად, განვითარებად ქვეყნებზე, სადაც ნაკლებად იქნება ასახული რეალური ალკოჰოლის მოხმარება ოფიციალურ მონაცემებში. ასევე გასათვალისწინებელია, რომ ბევრ მუსულმანურ ქვეყანაში აკრძალული ან მკვეთრად შეზღუდულია ალკოჰოლის ყიდვა/გაყიდვა/მოხმარება, რაც იმას ნიშნავს, რომ მათი გათვალისწინება (ჩვენს შემთხვევაში) ერთიან ანალიზში ავტომატურად ამცირებს სტატისტიკურ მნიშვნელოვნებას.

კიდევ ერთი ანალიზის შედეგად, სადაც დამოუკიდებელ ცვლადებად (X) მოვიყვანე მოსახლეობის სიმჭიდროვე (pop_dens), ალკოჰოლის მოხმარება (alc_cons), იარაღის მფლობელობა 100 სულ მოსახლეზე (gun_own), ადამიანთა თანასწორობის ინდექსი (inequal), უმუშევრობის დონე (unempl), მშპ ერთ სულზე (gdp_cap) და განათლების ინდექსი (edu), რეგრესიულმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ ჩამოთვლილთაგან მხოლოდ მშპს ერთ სულზე და ადამიანთა თანასწორობის ინდექსს აქვთ სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ზეგავლენა

მკვლელობათა რიცხვზე, მშპ-ს ზრდა ერთ სულზე ამცირებს მკვლელობებს (-0.241) და უთანასწორობის ზრდა ზრდის (0.338).

მოსახლეობის სიმჭიდროვესაც არ აღმოაჩნდა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ზეგავლენა მკვლელობათა რიცხვზე, რაც თითქოს ალოგიკურია, მაგრამ მისი ახსნა შეიძლება შემდეგნაირად: მაგალითად, აშშ-ში მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვე არის 36 ადამიანი კილომეტრ კვადრატზე, მაშინ როდესაც ნიუ იორკში ეს რიცხვი 10,431-ია. როგორც ხედავთ, ამხელა განსხვავება აშშ-ს სხვადასხვა რეგიონს შორის საშუალო ციფრის მნიშვნელობას აკნინებს, მაგრამ რადგან ჩვენი მიზანი არ მდგომარეობს მოსახლეობის სიმჭიდროვისა (ან თუნდაც ალკოჰოლის მოხმარებისა) და კრიმინალის დონეს შორის კავშირის დადგენაში, უფრო ღრმა ანალიზისგან თავს შევიკავებ.

ზემოთ მოყვანილი მრავალი ანალიზის მსგავსი ჩავატარე აღნიშნული ფაქტორების გამოყენებით, ბევრნაირი კომბინაციით, და ყველაზე მთავარი, რაც დავინახე, იყო, რომ **ვერც ერთმა ვერ დაადგინა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი დამოკიდებულება იარაღის მფლობელობასა და ჩადენილ მკვლელობებს შორის** (აღნიშნული ანალიზის შემატამებელი ცხრილი 1 იხ. ქვემოთ).

	1	2	3	4	5	6	7	8
gun_own	-0.076 (0.294)	0.031 (0.691)	0.033 (0.677)	0.025 (0.757)	0.033 (0.694)	0.048 (0.572)	0.079 (0.401)	0.150 (0.219)
hdi		-0.259 (0.001)	-.281 (0.001)	-0.258 (0.005)	-0.252 (0.008)	-0.178 (0.183)	0.265 (0.286)	0.505 (0.120)
unempl			0.144 (0.052)	0.160 (0.033)	0.164 (0.033)	0.149 (0.065)	0.092 (0.289)	-0.051 (0.657)
alc_cons				-0.033 (0.703)	-0.052 (0.554)	-0.069 (0.431)	-0.050 (0.631)	-0.073 (0.553)
pop_dens					0.076 (0.325)	0.074 (0.339)	0.039 (0.644)	0.097 (0.349)
gdp_cap						-0.107 (0.385)	-0.287 (0.077)	-0.319 (0.291)
inequal							0.360 (0.061)	0.331 (0.129)
law_index								-0.270 (0.179)

ცხრილი 1. სხვა და სხვა ცვლადის სტატისტიკური გავლენა მკვლელობაზე
დონეზე

ძალიან საინტერესოა, რომ 1 საუკუნის წინად ილიას ამ საკითხზე იგივე აზრი გააჩნდა და წერდა:

"ერთი დიდ-მნიშვნელობიანი მიზეზი ქურდობისა და ავაზაკობისა მკვიდრთა უიარაღობაა. ქურდი, ავაზაკი თავიდამ ფეხამდე გამოწყობილია თოფ-იარაღით მაშინ, როდესაც ძნელადღა ჰნახავთ ჩვენში სოფელს, რომ თოფი მოიპოვებოდეს. ხალხი იარაღაყრილია და, მაშასადამე, ყოვლად უღონოა, რომ თავი გამოიდოს ავაზაკის მოსაგერებლად და დასახვედრად, და რის შიშიღა აქვს ავაზაკს და ქურდსა? ამბობენ, იარაღის აყრა ამიტომ არის საჭირო, რომ აქაური ხალხი გულფიცხი ხალხია, ღვინისა თუ ჭირში, ხან უბრალო ჩხუბში, მაშინვე იარაღსა სწვდება, ერთმანეთს აფუჭებენ, ჰხანჯვლენ და ზოგჯერ ჰხოცვენ კიდევცაო. კარგი და პატიოსანი, თუ ამისთანა ზომებით ესგვარი დანაშაულობა მოიხსობა, იარაღის აყრა ძალიან

მოსაწონებელია და სასურველი. ხოლო ესე კია? მას აქეთ, რაც იარაღი აიკრძალა, ამგვარმა დანაშაულობამ განა იკლო?"¹³⁴

რაოდენობრივი ანალიზის შემდეგ გადავედი კონკრეტული შემთხვევების განხილვაზე და დავინახე, რომ მაგალითად განაში იარაღის რაოდენობა წლების განმავლობაში 4-ჯერ გაიზარდა, თუმცა მკვლელობათა რიცხვი არ შეცვლილა; ჰონგ კონგში იარაღის კანონი 1999 წელს გაამკაცრეს, რადგან თვლიდნენ, რომ მოსახლეობაში იარაღისადმი რეკრეაციული და სპორტული ინტერესი იზრდებოდა (ბოლო 10 წლის განმავლობაში ტირის რაოდენობა 13-დან 20-მდე გაიზარდა) და აქედან გამომდინარე, უფრო მკაცრი რეგულაციები იყო საჭირო: შესაბამისად, გამოცდის ჩაბარება გახდა სავალდებულო, სანამ ადამიანი ტირით ისარგებლებდა, გამკაცრდა იარაღის და ვაზნების შეძენის პირობები და ა.შ.¹³⁵, თუმცა მკვლელობათა სტატისტიკაში შემდეგი 5 წლის განმავლობაში არანაირი გაუმჯობესება არ დაფიქსირებულა, ხოლო ზოგადი კლების ტენდენცია მანამდეც აღინიშნებოდა; და ბოლოს, შვედეთში, რომელიც ევროკავშირის 2012 წლის იარაღის რეგულაციებზე გადავიდა¹³⁶, დანაშაულის დონის მაჩვენებელი არ შემცირებულა და პირიქით, გაიზარდა კიდევ.

შეიძლება დავასკვნათ, რომ **რადგან იარაღის მფლობელობა კრიმინალის დონეზე ზეგავლენას ვერ ახდენს, იარაღის კონტროლის კანონები ვერ გადიან იმ შედეგზე, რისი მიღწევაც სურთ**, მიუხედავად იმისა, რომ იარაღის კონტროლის მომხრეები დარწმუნებულები არიან, იარაღის აკრძალვით ქვეყანაში კრიმინალი მცირდება.

შესაბამისად, ჩემი ანალიზის შედეგად, აღმოჩნდა, რომ ბევრი იარაღი არ ნიშნავს, ავტომატურად, ბევრ დანაშაულს და საპირისპიროდაც, იარაღის რიცხვის შემცირება (მკაცრი იარაღის კონტროლი) სრულიადაც არ განაპირობებს კრიმინალის დონის კლებას.

¹³⁴ ჭავჭავაძე, ილია. "საზოგადოებრივი ცხოვრების ნაკლნი და მისი ეკონომიური მიზეზები"; VIII თავი, 1897 წელი

¹³⁵ Tighter controls on arms and ammunition proposed. Accessed December 20, 2020. <https://www.info.gov.hk/gia/general/199901/15/0115079.htm>.

¹³⁶ REGULATION (EU) No 258/2012 OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL of 14 March 2012. Accessed December 20, 2020. <https://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2012:094:0001:0015:En:PDF>.

Country	Rate per million				% of households with guns
	Homicide		Suicide		
	Overall	With a gun	Overall	With a gun	
Australia	19.5	6.6	115.8	34.2	19.6
Belgium	18.5	8.7	231.5	24.5	16.6
Canada	26.0	8.4	139.4	44.4	29.1
England and Wales	6.7	0.8	86.1	3.8	4.7
Finland	29.6	7.4	253.5	54.3	23.2
France	12.5	5.5	223.0	49.3	22.6
The Netherlands	11.8	2.7	117.2	2.8	1.9
Northern Ireland	46.6	35.5	82.7	11.8	8.4
Norway	12.1	3.6	142.7	38.7	32.0
Scotland	16.3	1.1	105.1	6.9	4.7
Spain	13.7	3.8	64.5	4.5	13.1
Switzerland	11.7	4.6	244.5	57.4	27.2
United States	75.9	44.6	124.0	72.8	48.0
West Germany	12.1	2.0	203.7	13.8	8.9

ცხრილი 2. მკვლელობების და თვითმკვლელობების რიცხვის იარაღის მფლობელობასთან დამოკიდებულება, 1993 წელი¹³⁷


აღნიშნული მოსაზრების გადასამოწმებლად განვიხილავ სხვადასხვა ქვეყნის 1993 წლის სტატისტიკური მონაცემებს, რომელიც გვიჩვენებს მკვლელობების და თვითმკვლელობების რიცხვს იარაღის მფლობელობასთან მიმართებაში (იხ. ცხრილი 2). ამ სტატისტიკის ავტორი თავის ნაშრომში ამტკიცებს, რომ როდესაც ქვეყანაში იარაღი არ კონტროლდება, მოსახლეობა ეჩვევა პრობლემის საკუთარი ძალით გადაწყვეტას და ამის მაგალითად აშშ მოჰყავს, სადაც კრიმინალის და ზოგადად ძალადობის სტატისტიკა მაღალია და ასკვნის, რომ რაც უფრო მეტი ადამიანი ფლობს იარაღს, ზოგადად მკვლელობის სტატისტიკა იზრდება და მეტი მკვლელობა ხდება იარაღის გამოყენების გარეშეც კი¹³⁸.

თუმცა, ვფიქრობ, რომ მოყვანილი ციფრები ამგვარი ცალმხრივი ინტერპრეტაციის საფუძველს ნაკლებად იძლევა, რადგან ადვილად დასანახია, რომ მაგალითად, შვეიცარიაში ოჯახების 27.2% ფლობს იარაღს და მკვლელობათა რიცხვი 1.17-ია 100,000 ადამიანზე, როდესაც გერმანიაში მხოლოდ 8.9%-ს აქვს იარაღი, ხოლო მკვლელობათა რიცხვი რატომღაც უფრო მაღალია - 1.21.

¹³⁷ Killias, Martin. "International correlations between gun ownership and rates of homicide and suicide." *CMAJ: Canadian Medical Association Journal* 148, no. 10 (1993): 1721.

¹³⁸ Killias, Martin. "International correlations between gun ownership and rates of homicide and suicide." *CMAJ: Canadian Medical Association Journal* 148, no. 10 (1993): 1721.

რასაკვირველია, ეს ერთი წლის მონაცემები, თუნდაც მრავალ ქვეყანაში, დასკვნის გამოტანის საშუალებას ნაკლებად გვაძლევს, ამიტომ აუცილებელია, რომ სხვა ციფრებიც მოვიშველიო. მაგალითად, ბოლო 20 წლის განმავლობაში გერმანიაში იარაღის რაოდენობა სტაბილურია და მხოლოდ ძალიან მცირედით (0.04% ზრდა 10 წლის განმავლობაში) იზრდება, ხოლო ჩადენილი მკვლელობათა რიცხვი მცირდება¹³⁹ (იხ. გრაფიკი 9).



გრაფიკი 9. გერმანია, მკვლელობათა რიცხვი 100,000 ადამიანზე გაანგარიშებით

რაც შეეხება შვეიცარიას, სადაც იარაღის ფლობა ისტორიულად ძალიან მაღალ ნიშნულზე რჩება (მერყეობს 28.31%-დან 41.28%-მდე ინტერვალში¹⁴⁰), იარაღით ჩადენილი მკვლელობათა რიცხვი წლების განმავლობაში კიდევ უფრო მეტად შემცირდა და 2014 წელს ისტორიულ მინიმუმს მიაღწია, რაც გერმანიაზე თითქმის 2-ჯერ ნაკლებია. ასევე საინტერესოა, რომ შვეიცარიაში იარაღით ჩადენილი მკვლელობათა რიცხვი გერმანიაზე ლამის 3-ჯერ მაღალია (0.16

¹³⁹ Alpers, Philip. Germany – Rate of Homicide per 100,000 People (any method). Accessed December 20, 2020. https://www.gunpolicy.org/firearms/compareyears/69/rate_of_homicide_any_method.


⁵¹ Alpers, Philip. “Guns in Switzerland - Firearms, Gun Law and Gun Control.” Gun Law and Policy: Firearms and armed violence, country by country. Accessed December 20, 2020. <https://www.gunpolicy.org/firearms/region/switzerland>.

შვეიცარიაში 2018 წელს და 0.06 გერმანიაში)¹⁴¹, რაც იმაზე ფიქრის საფუძველს გვაძლევს, რომ იარაღის შემცირება შეიძლება ზეგავლენას ახდენდეს იარაღით ჩადენილი მკვლელობების კლებაზე, მაგრამ საერთოდ არ ნიშნავდეს ზოგადად მკვლელობების შემცირებას.

თუ გავაგრძელებთ ზემოთ ცხრილში ნაჩვენები ქვეყნების ანალიზს, დავინახავთ ასევე საინტერესო, საფრანგეთის მაგალითს, სადაც მოსახლეობის დიდი ნაწილი შეიარაღებულია (22.6% 1993 წლის მონაცემებით) და მკვლელობათა სტატისტიკა 1.25-ია 100,000 მცხოვრებზე, როდესაც ნიდერლანდებში მოსახლეობის მხოლოდ 1.9%-ს აქვს იარაღი სახლში და მკვლელობათა რიცხვია 11.8-ია. თუმცა საფრანგეთზე კიდევ უფრო მეტად საინტერესო ციფრების მოყვანა შეგვიძლია: იარაღის მფლობელობა განახევრდა 2005 წელს 31.2%-დან 2016 წელს 14.96%-მდე¹⁴², თუმცა მკვლელობათა სტატისტიკა გაიზარდა 0.7 შემთხვევიდან 2005 წელს, 1.31-მდე 2016 წელს, რასაც გრაფიკ 10-ზე ნათლად ვხედავთ.

¹⁴¹ Alpers, Philip. Compare Germany – Rate of Gun Homicide per 100,000 People. Accessed December 20, 2020. https://www.gunpolicy.org/firearms/compare/69/rate_of_gun_homicide/178.

¹⁴² Alpers, Philip. “Guns in France - Firearms, Gun Law and Gun Control.” Gun Law and Policy: Firearms and armed violence, country by country. Accessed December 20, 2020. <https://www.gunpolicy.org/firearms/region/france>.




გრაფიკი 10. საფრანგეთი, მკვლელობათა რიცხვი 100,000 ადამიანზე გაანგარიშებით

ნიდერლანდებში აღნიშნულ წლებში იარაღის ფლობის სტატისტიკა გაიზარდა, 2007 წელს 3.9%-მდე, თუმცა, როგორც გრაფიკ 11-დან ჩანს, მკვლელობათა რიცხვი მნიშვნელოვნად მცირდებოდა წინა წლებთან შედარებით.

აღნიშნულ ციფრებს ამყარებს გაეროს მიერ ჩატარებული თანამედროვე კვლევების (2016 წლის) მონაცემები¹⁴³ სადაც ვხედავთ, რომ ბოლო წლებში ამ ოთხი ქვეყნიდან (საფრანგეთი, გერმანია, შვეიცარია, ნიდერლანდები) ყველაზე დაბალი მაჩვენებელი სწორედ შვეიცარიაშია (0.54), ხოლო გერმანიაში ეს რიცხვი მინიმუმ ორჯერ მაღალია (1.18). ნიდერლანდების სტატისტიკაში გაუმჯობესება აღინიშნება ბოლო წლებში (0.55), თუმცა ეს იარაღის კანონს ნაკლებად უნდა დავაბრალოთ, რადგან მასში ცვლილებები ბოლოს 1997 წელს შეიტანეს და წლების განმავლობაში არანაირი უკეთესობა არ დაფიქსირებულა¹⁴⁴.

¹⁴³ "Intentional Homicide Victims | DataUNODC." United Nations. United Nations. Accessed December 20, 2020. <https://dataunodc.un.org/crime/intentional-homicide-victims>.

¹⁴⁴ Alpers, Philip. "Guns in the Netherlands - Firearms, Gun Law and Gun Control." Gun Law and Policy: Firearms and armed violence, country by country. Accessed December 20, 2020. <https://www.gunpolicy.org/firearms/region/netherlands>.



გრაფიკი 11. ნიდერლანდები, მკვლელობათა რიცხვი 100,000 ადამიანზე გაანგარიშებით

10. რიტორიკული არგუმენტების ანალიზი იარაღის კონტროლის წინააღმდეგ

როგორც ზემოთ მოყვანილ ანალიზში ვაჩვენე, იარაღის კონტროლი ცალმხრივად არ განაპირობებს დანაშაულის დონის შემცირებას. თუ ეს ასეა, ჩნდება კითხვები: რატომ ცდილობენ პოლიტიკოსები იარაღის აკრძალვას? რატომ ითხოვს საზოგადოება იარაღის კონტროლის გამკაცრებას? აქვთ მათ ინფორმაცია იმის შესახებ, რომ იარაღის ფლობას არ აქვს კავშირი გახშირებულ დანაშაულთან? შეიძლება ეს სწორედ იმ “ლოგიკისა” თუ დაუსაბუთებელი ცოდნის ბრალია, როდესაც ჩვენ დარწმუნებულები ვართ ჩვენი მოსაზრების სისწორეში, მიუხედავად იმისა, რომ არანაირი საფუძველი არ გაგვაჩნია ამისთვის? შეიძლება მედია ან ზოგიერთი მკვლევარის მიკერძოებული აზრი თამაშობდეს როლს აღნიშნული მკვეთრი დამოკიდებულების ჩამოყალიბებაში?

იმის განსასაზღვრად, თუ რა გავლენას ახდენს პოზიტიური და ნეგატიური ინფორმაცია საზოგადოების დამოკიდებულებაზე იარაღთან მიმართებაში, ჩავატარე კვლევა, სადაც მონაწილეობდა 485 რესპონდენტი.

კვლევისათვის შევიმუშავე შემდეგი დიზანი:

მონაწილეები დავყავი ორ ჯგუფად და ორივეს დავუსვი ერთი და იგივე კითხვა, თუ რამდენად უჭერენ მხარს იარაღის კონტროლს - მათ თავიანთი დამოკიდებულება უნდა შეეფასებინათ 0-დან 10-მდე შკალაზე, სადაც 0 ნიშნავდა, რომ ისინი იარაღის კონტროლის წინააღმდეგები არიან, ხოლო 10 მაქსიმალურ მხარდაჭერას გულისხმობდა.

აღნიშნული შეფასების შემდეგ პირველ ჯგუფს წარედგინა იარაღის კონტროლის საწინააღმდეგო 2 არგუმენტი:

1. კრიმინალების უმეტესობა აღნიშნავს, რომ ისინი არ დაესხმებიან თავს მსხვერპლს, თუ ეცოდინებათ, რომ ის შეიარაღებულია. ასევე, კრიმინალების უმეტესობა ამბობს, რომ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი, რის გამოც არ შედიან იმ სახლებში, სადაც პატრონები იმყოფებიან, არის შიში, რომ მათ ესვრიან.

2. უისკონსინში (აშშ-ის შტატი) მაცხოვრებელი ბონი ელმასრს უნდოდა იარაღის შეძენა, რადგან მისი ყოფილი ქმარი ემუქრებოდა, თუმცა იარაღის კონტროლის გამო სანამ მას ნებართვა მისცეს, ის და მისი შვილები თავდამსხმელმა (ყოფილმა ქმარმა) დახოცა.

მეორე ჯგუფს წარედგინა ასევე ორი არგუმენტი იარაღის კონტროლის სასარგებლოდ:

1. რაც მეტი იარაღია საზოგადოებაში, მეტი უბედური შემთხვევა ხდება და აფექტის მდგომარეობაში ჩადენილი მკვლელობების რისკი იზრდება.
2. ცეცხლსასროლი იარაღი გაცილებით ადვილი გამოსაყენებელია და გაცილებით მეტად მომაკვდინებელიც, ანუ თუ ავკრძალავთ მას, ადამიანები გამოიყენებენ სხვა რამეს, მაგრამ ნაკლები შემთხვევა დასრულდება სერიოზული დაზიანებით თუ სიკვდილით.

არგუმენტების გაცნობის შემდეგ მონაწილეებს დაევაღათ, ხელახლა შეეფასებინათ თავიანთი დამოკიდებულება იარაღის კონტროლის მიმართ, იგივე 10 ბალიან შკალაზე. ექსპერიმენტის მიზანი იყო, დაგვენახა, რამდენად იმოქმედებდა მათზე დადებითი და უარყოფითი არგუმენტები და გამოიწვევდა თუ არა ეს შედეგების მნიშვნელოვან ცვლილებას.

აღმოჩნდა, რომ იმ კვლევაში, სადაც იარაღის კონტროლის დადებითი შედეგების შესახებ ვამცნობდით, ინფორმაციის მიღების შემდეგ მონაწილეების დამოკიდებულება თითქმის არ შეცვლილა (საშუალომ აინია 0.14 პუნქტით, ხოლო მედიანა იგივე დარჩა - ანუ ცოტათი უფრო მეტად მიემხრნენ იარაღის კონტროლს).

გაცილებით საინტერესო შედეგები მივიღეთ მეორე კვლევაში, სადაც მონაწილეებს გავაცანით ინფორმაცია იარაღის კონტროლის უარყოფითი მხარეების შესახებ: როგორც აღმოჩნდა, ინფორმაციის მიღების შემდეგ იარაღის კონტროლისადმი დამოკიდებულების საშუალო ქულა შემცირდა 0.49-ით, ხოლო მედიანა 0.50-ით.

იმის დასადგენად, ეს ცვლილებები რამდენად სტატისტიკურად მნიშვნელოვანი იყო, ჩავატარე Wilcoxon Signed-Rank ტესტი, რომელმაც შემდეგი შედეგები გვაჩვენა (იხ. ქვემოთ მოყვანილი ცხრილი).

	gun_bad_2 - gun_bad_1	gun_good_2 - gun_good_1
Z	-1.708^b	-4.667^c
Asymp. Sig. (2-tailed)	.088	.000

ცხრილი 3. Wilcoxon Signed-Rank ტესტის შედეგები

როგორც აღმოჩნდა, ცვლილებები სტატისტიკურად მნიშვნელოვანია ($P1=0.088$ და $P2=0.000$), რის საფუძველზეც, შესაბამისად, შეგვიძლია შემდეგი დასკვნების გამოტანა: საზოგადოებაში იარაღს ძირითადად ცუდად აღიქვამენ და შესაბამისად იარაღის კონტროლისადმი დადებითი დამოკიდებულება გააჩნიათ, თუმცა რატომაც ცუდი იარაღის ფლობა, ან შეიძლება თუ არა, რომ მას დადებითი შედეგებიც ჰქონდეს, მასზე ნაკლები ინფორმაცია აქვს მოსახლეობას და ნაკლებადაც ფიქრობს ამაზე, ამიტომაცაა, რომ ახალი ინფორმაცია, რომელიც ორი აბზაცისგან შედგებოდა და რომელიც აჩვენებდა, რომ შეიძლება იარაღი სულაც არ იყოს ცუდი და მის ფლობას, პირიქით, შეიძლება ხალხის თავდაცვისუნარიანობას აუმჯობესებდეს, საკმარისი აღმოჩნდა დამოკიდებულების შესარყევად და გადასახედად.

როგორც ხედავთ, მე ამ ექსპერიმენტის საშუალებით ადამიანთა არსებული შეხედულებები კი არ გამოვიკვლიე, არამედ ახალი ინფორმაციის გავლენა შეხედულებების ცვლილებაზე. რადგან, ექსპერიმენტიდან ჩვენ დავინახეთ ცვლადის საშუალო ცვლილების ეფექტი ჩარევის შედეგად (average treatment effect), ჩვენი შედეგები განზოგადებადია შეხედულებების საშუალო ცვლილებაზე იმ დაშვებით, რომ შეხედულების ცვლილება არ არის დამოკიდებული საზოგადოების ასაკობრივ ან გენდერულ შემადგენლობაზე, თუნდაც საზოგადოების არსებული შეხედულება იყოს განსხვავებული. ექსპერიმენტის შედეგად აღმოვაჩინე, რომ ნეგატიურ ინფორმაციას ნაკლები ზეგავლენა ჰქონდა ადამიანების მოსაზრებებზე, ვიდრე პოზიტიურს, საიდანაც შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ადამიანებს უფრო ნეგატიურ ინფორმაციაზე აქვთ წვდომა, ვიდრე პოზიტიურზე.

აღნიშნული ექსპერიმენტის შედეგები გვაძლევს საფუძველს, ვიფიქროთ, რომ იარაღის კონტროლის პოლიტიკა შეიძლება ნაკლებად იყოს მიმართული დანაშაულის შემცირებისკენ, არამედ უფრო საზოგადოების სენტიმენტებზე რეაგირებას წარმოადგენდეს, რადგან მთავრობა ხშირად იძულებულია გადადგას შემხვედრი ნაბიჯები პრობლემის გადასაჭრელად, საზოგადოების წნეხქვეშ, რადგან გაცილებით რთულია არაფერი გააკეთო, მაშინ როდესაც ხალხი შენგან ქმედით ნაბიჯებს ელის. შესაბამისად, საზოგადოებაში არსებული დამოკიდებულება, რომ მეტი იარაღი მეტ დანაშაულს ნიშნავს, ავტომატურად ითარგმნება იარაღის კონტროლის პოლიტიკაში.

თუ გავაგრძელებთ კვლევას თუ რა შეიძლება ახდენდეს საზოგადოების განწყობაზე ზეგავლენას, იარაღის თემატიკაზე შექმნილი მრავალი ნაშრომიდან ადვილად შესამჩნევი გახდება საინტერესო ტენდენცია: ავტორების ნაწილი აბსოლუტურად დარწმუნებულია, რომ იარაღის კონტროლი ერთადერთი სწორი გზაა დანაშაულის შესამცირებლად, ხოლო მეორე ნაწილი ამტკიცებს, რომ ეს ყველაფერი არაფერს ცვლის და საერთოდაც, პირიქით, აკრძალვა დამნაშავეებს უფრო აძლიერებს. ორივე მხარეს საკუთარი მოსაზრებების დასასაბუთებლად მოჰყავს სტატისტიკური მონაცემები, რომლებსაც ერთმანეთს თუ შევადარებთ, ვნახავთ, რომ აბსოლუტურად ურთიერთგამომრიცხავია და რა თქმა უნდა, ლოგიკურად, არ შეიძლება, სხვა თანაბარ პირობებში, იარაღის აკრძალვით თუ შეზღუდვებით კრიმინალი თან იზრდებოდეს და თან მცირდებოდეს. ამის ახსნა შეგვიძლია იმით, რომ მეცნიერები ამ ინფორმაციის გამოყენებით კი არ ცდილობენ, იმას მიაკვლიონ, რაც ობიექტური სიმართლეა, არამედ რიტორიკული მეთოდების საშუალებით საკუთარი პოზიცია გაამყარონ. რობერტ სკოტი რიტორიკაზე წერდა, რომ “რიტორიკა სიმართლეს ეფექტურობას კი არ სძენს, არამედ სიმართლეს თვითონ ქმნის”¹⁴⁵. შესაბამისად, შეგვიძლია დავუშვათ, რომ იარაღის კონტროლთან მიმართებაში მეცნიერები ცდილობენ ჰიპოთეტური ალბათობა დაამტკიცონ ემპირიული ჩარჩოს ფარგლებში რიტორიკის გამოყენებით, რასაც სინამდვილესთან შეიძლება საერთოდ არ ჰქონდეს კავშირი. ქვემოთ განვიხილავ რამდენიმე ნაშრომს თუ როგორ ცდილობენ მეცნიერები გავლენა მოახდინონ საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაზე.

¹⁴⁵ Scott, Robert L. "On viewing rhetoric as epistemic." *Communication Studies* 18, no. 1 (1967): 9-17.

საინტერესოა ჯეიკობ სულამის (Jacob Sullum) სტატია,¹⁴⁶ სადაც ნაჩვენებია, თუ როგორ აღარ ემხრობა ლეა ლიბრესკო (Leah Libresco) იარაღის კონტროლს, მას შემდეგ, რაც გააანალიზა 33,000 შემთხვევა, რომელიც ფატალურად დასრულდა სწორედ იარაღის გამოყენების შედეგად და დაიწყო ფიქრი იმაზე, რამდენად დადგებოდა უკეთესი შედეგი სხვა განზომილებაში, განსხვავებული მოცემულობით.

ლიტერატურაში ხშირად გამოიყენება ისტორიის გადმომცემი მოცემულობები. “მინიმალისტური ისტორიის დეფინიცია შემდეგია: სამი ერთმანეთზე გადაჯაჭვული მოქმედება, სადაც პირველი და მესამე ფაქტობრივია, ხოლო მეორე აქტიური, მესამე პირველის შეზღუდულია და დროში პირველი უსწრებს მეორეს, ხოლო მეორე მესამეს. მაგ, კორეა ღარიბი იყო, შემდეგ განათლებას დაუთმეს დიდი ყურადღება და შედეგი - კორეა მდიდარი ქვეყანაა”¹⁴⁷. ლეაც ანალოგიურად ცდილობს ისტორიის კვლევას ბრიტანეთის და ავსტრალიის მაგალითზე (ავსტრალიამ 1996 წელს დაიწყო იარაღის მკაცრი კონტროლი მასობრივი სროლების პრობლემის გადასაჭრელად), თუმცა ამ კვლევის საფუძველზე აღმოაჩინა, რომ არ მომხდარა მასობრივი მკვლელობების თუ სხვა იარაღთან დაკავშირებული დანაშაულების რიცხოვნობის შემცირება კანონების გამკაცრებასთან ერთად, ანუ ავსტრალიაში მასობრივი სროლები ხდებოდა, შემდეგ იარაღის ტარება აკრძალეს და კონტროლი გაამკაცრეს, შედეგი - არაფერი შეცვლილა.

არსებობს ნაშრომები, რომლებიც ამ დასკვნას ეთანხმებიან. მაგალითად, ლიი აანალიზებს ავსტრალიაში ჩადენილ დანაშაულებს იარაღის გამოყენებით 1915 - 2004 პერიოდში და ასკვნის, რომ “მიუხედავად იმისა, რომ იარაღზე კონტროლის გამკაცრება ლოგიკური ნაბიჯი იყო მოსახლეობის მუდმივად მზარდი შიშის შესამცირებლად, არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ იარაღის კონტროლზე განუღმამაღალმა

¹⁴⁶ Sullum, Jacob. “A Statistician Reconsiders Her Support for Gun Control After Looking at the Data.” Reason.com. Reason, October 4, 2017. https://reason.com/2017/10/04/a-statistician-reconsiders-her-support-f/?fbclid=IwAR1n1-ly4d9W0NLFyofA8ImcFFsg12Mupcfv1oUyd1NMS9g1knS_4rOVdpM.

¹⁴⁷ Gerald, Prince. “A Grammar of Stories.” *Haia, Mouton* (1973).

დანახარჯებმა ვერ უზრუნველყვეს იარაღით ჩადენილი მკვლევლობების და თვითმკვლევლობების მნიშვნელოვანი შემცირება”¹⁴⁸.

მაკფედრანი იკვლევს ამ აკრძალვის შედეგებს¹⁴⁹ და ამისათვის ადარებს ავსტრალიასა და ახალ ზელანდიას, რომლებიც ეკონომიკის და ცხოვრების დონით ერთმანეთის მსგავსები არიან, მაგრამ განსხვავდებიან იარაღის კონტროლისადმი მიდგომით. დასკვნა ასეთია: არ არსებობს საფუძველი, ვივარაუდოთ, რომ იარაღის აკრძალვამ შეამცირა მასობრივი სროლების პრეცედენტი, რადგან ახალ ზელანდიაში 1997 წლის შემდეგ არ ყოფილა მსგავსი ტიპის ინციდენტი, მიუხედავად იმისა, რომ არანაირი აკრძალვა და კანონის გამკაცრება არ მომხდარა, ავსტრალიისაგან განსხვავებით.

მიუხედავად ამისა, 2019 წლის 28 თებერვალს ახალ ზელანდიაში მომხდარი მასობრივი მკვლევლობის შემდეგ, რის შედეგადაც დაიღუპა 50 და დაშავდა 50 ადამიანი, 10 აპრილს ახალი კანონი შევიდა ძალაში, რომელმაც აკრძალა ნახევრად-ავტომატური იარაღის ყიდვა-გაყიდვა-ფლობა¹⁵⁰ და ამ ყველაფერს საზოგადოების მხრიდან ძლიერი მხარდაჭერა ჰქონდა.

ლეა ასკვნის, რომ იარაღთან დაკავშირებული სიკვდილიანობის 2/3 თვითმკვლევლობებია და ვერანაირი იარაღის ტარების შეზღუდვა ვერ უზრუნველყოფს ამ შემთხვევების გაკონტროლებას თუ თავიდან აცილებას, გაცილებით ეფექტური იქნება იმ ხანშიშესულ ადამიანებს, ვისზეც ამ სუიციდის სტატისტიკის ლომის წილი მოდის, თუ ექნებათ უკეთესი საშუალებები, რომ ჰქონდეთ ხალხთან კონტაქტი და იმის შანსი, რომ დაინახონ, ვიღაც ზრუნავს მათზე. ის ასევე რეკომენდაციას უწევს, რომ მკვლევლობათა შესამცირებლად მეტი ყურადღება დაეთმოს ოჯახური კონფლიქტებისა და ახალგაზრდებს შორის დაპირისპირებების აღმოფხვრას, თუმცა არ აზუსტებს, რანაირად უნდა მოხდეს ოჯახური კონფლიქტების შემცირება, მით უმეტეს აღმოფხვრა.

¹⁴⁸ Lee, Wang-Sheng, and Sandy Suardi. "The Australian firearms buyback and its effect on gun deaths." *Contemporary Economic Policy* 28, no. 1 (2010): 65-79.

¹⁴⁹ McPhedran, Samara, and Jeanine Baker. "Mass shootings in Australia and New Zealand: A descriptive study of incidence." *Justice Policy Journal* 8, no. 1 (2011).

¹⁵⁰ "Arms (Prohibited Firearms, Magazines, and Parts) Amendment Bill." New Zealand Parliament. Accessed December 22, 2020. https://www.parliament.nz/en/pb/bills-and-laws/bills-proposed-laws/document/BILL_86423/arms-prohibited-firearms-magazines-and-parts-amendment.

დასკვნის სახით იგი ამბობს, რომ იარაღის კონტროლის მაგივრად გაცილებით ეფექტური იქნება სხვადასხვა ტაქტიკის მოფიქრება, თუ როგორ დავიცვათ პოტენციური მსხვერპლი და როგორ მოვახდინოთ პოტენციური მკვლელის გარდაქმნა. საბოლოოდ იგი მაინც არ უწევს რეკომენდაციას იარაღის საყოველთაო ფლობას, მაგრამ მკვეთრად ეწინააღმდეგება აკრძალვებს და შეზღუდვებს, რომელთა ერთადერთი დასაბუთებული ეფექტი ისაა, რომ იარაღის მფლობელებს ნერვებს უშლის.

ვფიქრობ, რომ დასკვნა წინააღმდეგობრივია - მიუხედავად იმისა, მთელი სტატია დაწერილია იმ პათოსით, რომ იარაღის კონტროლს ეფექტი არ გააჩნია და თუ გვინდა დანაშაულის შემცირება, სხვა გზები უნდა მოვნახოთ, ავტორი მაინც არ უწევს რეკომენდაციას იარაღის ტარების დაშვებას. შესაბამისად, ნაშრომის სათაურსაც, რომელიც გვეუბნება, რომ ავტორმა შეცვალა თავისი პოზიცია იარაღის კონტროლის მიმართ (ანუ ადრე მისი მომხრე იყო და მას შემდეგ რაც სტატისტიკას გაეცნო, აღარაა), სინამდვილეში მკითხველი შეცდომაში შეყავს, რადგან მიუხედავად ამდენი ფაქტისა, მან რეალურად მაინც ვერ შეიცვალა დამოკიდებულება, უბრალოდ ცდილობს თავი (და შესაბამისად მკითხველიც) დაარწმუნოს, რომ ეს ასეა.

აქედან ნათლად ჩანს ფუნდამენტური პრობლემა, რომელიც იარაღის კონტროლსაც ეხება: ძალიან რთულია ტრადიციების და მოსაზრებების შეცვლა, რითიც ნაწილობრივ შეიძლება აიხსნას ზემოთ მოყვანილი მრავალი მეცნიერის დასკვნის მიუხედავად პოლიტიკოსების და საზოგადოების დამოკიდებულების სიხისტე.

მიუხედავად იმისა, რომ იარაღის კონტროლის შესახებ მრავალი სტატია თუ ნაშრომი არსებობს, ნეიტრალური ანალიზის მოძებნა საკმაოდ რთულია და მათი უმრავლესობა მკვეთრ განწყობას პირველივე სიტყვებში ამჟღავნებს (ამის დასაბუთებაში ზემოთ განხილული სტატიაც დაგვხმარება, სადაც სათაურიდანვე ჩანს განწყობა), თუმცა გაცილებით მეტად ექსტრემალური ტონიც არაა იშვიათი. მაგალითად, სტატიაში Gun Control? Dream On¹⁵¹ პოლიტიკოსებს პირდაპირ იმით იწყებს, რომ მკითხველს უარყოფითი დამოკიდებულება

¹⁵¹ Pollitt, Katha. "Gun Control? Dream On." The Nation, June 29, 2015. <https://www.thenation.com/article/gun-control-dream/>.

შეუქმნას იარაღის მიმართ - “რატომ ვკარგავ საერთოდ დროს იმაზე, რომ იარაღის რეგულაციებზე რამე დავწერო? რა აზრი აქვს საერთოდ, როცა ისეთი აპათიაა საზოგადოებაში გამეფებული, რომ გაბრიელა გილფორდს, კონგრესის წევრს ესროლეს და ესეც კი არ აღმოჩნდა საკმარისი, რომ მის კოლეგებს რაიმე ქმედითი ნაბიჯი გადაედგათ”.

ამ სიტყვებიდან გამომდინარე, ადვილად დასანახია, ავტორი აპრიორი უშვებს, რომ ეს უმოქმედობა სწორედაც რომ აპათიის ბრალია და სხვა მიზეზი არ შეიძლება იყოს. ამ დროს საინტერესო ხდება იმის განხილვა, რატომ არიან ადამიანები ხშირად მკვეთრად დარწმუნებულები საკუთარი მოსაზრების სისწორეში, როდესაც შეიძლება საერთოდ არ ჰქონდეთ ამის საფუძველი.

ამის გასარკვევად, მაკგვაიერმა და პაპაგეორგისმა ჩაატარეს ექსპერიმენტი¹⁵², რისთვისაც თავდაპირველად ჩამოაყალიბეს ჰიპოთეზა და მოიფიქრეს არგუმენტები მის სასარგებლოდ თუ საწინააღმდეგოდ. მათგან ძლიერები კარგად ამტკიცებდა ჰიპოთეზას, ხოლო ზოგიერთი სუსტი - ჰიპოთეზის საწინააღმდეგოდ იყო მიმართული, თუმცა წარმატებულად ვერ უარყოფდა მას. შემდეგ მათ ადამიანების ორ ჯგუფს გააცნეს ეს არგუმენტები: პირველ ჯგუფს - ძლიერი - ჰიპოთეზის სასარგებლოდ და მეორე ჯგუფს - სუსტი - ჰიპოთეზის საწინააღმდეგოდ. ორი დღის შემდეგ კი ორივე ჯგუფს ძლიერი არგუმენტები წარუდგინეს ჰიპოთეზის საწინააღმდეგოდ. აღმოჩნდა, რომ იმ ჯგუფისთვის უფრო მიუღებელი იყო ეს ახალი არგუმენტები, ვინც აქამდე სუსტ კონტრარგუმენტებს იცნობდნენ. ანუ იდეა მდგომარეობს იმაში, როდესაც ადამიანები მხოლოდ სუსტ კონტრარგუმენტებს ისმენენ, ისინი უფრო მეტად რწმუნდებიან საპირისპირო მოსაზრებაში, თითქოსდა ანტისხეულებს გამოიმუშავებენ აღნიშნულ კონტრარგუმენტებთან მიმართებაში და

¹⁵² McGuire, William J., and Demetrios Papageorgis. "The relative efficacy of various types of prior belief-defense in producing immunity against persuasion." *The Journal of Abnormal and Social Psychology* 62, no. 2 (1961): 327.

რწმუნდებიანიდების ვალიდურობაში. შემდგომმა კვლევებმა ეს მოსაზრება დაადასტურა.^{153 154 155}

შესაბამისად, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მოსახლეობა მრავალ არგუმენტს ეცნობა იარაღის კონტროლის დადებითი და უარყოფითი მხარეების შესახებ, რომელთა უდიდესი ნაწილი არამეცნიერული და სუსტია, შესაბამისად მათ უყალიბდებათ თითქოსდა ძლიერი მოსაზრებები და შემდეგ მათი შეცვლა რთულდება. ეს შეიძლება იყოს ერთ-ერთი მიზეზი, ამდენი არგუმენტის თუ კონტრარგუმენტის მიუხედავად, იარაღის კონტროლთან მიმართებაში, რატომ არაფერი იცვლება მსოფლიოში. ასევე მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ ეკონომიკის სწავლების მიუხედავად, ჩვენ სულაც არ ვიღებთ რაციონალურ გადაწყვეტილებებს და ხშირად ემოცია სრულიად საკმარისია საკითხისადმი დამოკიდებულების ჩამოსაყალიბებლად¹⁵⁶, შესაბამისად, ეს მეცნიერული მიგნებები ყველაზე სულაც არ ვრცელდება ისე, როგორც ავტორებს შეიძლება ჰქონდეთ წარმოდგენილი. ლოგიკურად მოაზროვნეზე და დაბნეულ ხალხზე შეიძლება ერთი და იგივე არგუმენტი საერთოდაც განხვავებულად მოქმედებდეს.

თუ დავუბრუნდებით პოლიტიკის ზემოთ ხსენებულ ნაშრომს, რომელიც კარგი მასალაა საზოგადოებისთვის აზრის მოსახვევად გამოყენებული “ეშმაკობების” საჩვენებლად, ავტორი დასაწყისშივე ცდილობს, ავტორიტეტად წარმოაჩინოს საკუთარი თავი და აჩვენოს, რომ მხოლოდ მას შესტკივა გული ქვეყანაზე და ახალგაზრდობაზე, ხოლო ყველა სხვა პირადი ინტერესებით არიან დაბრმავებულები თუ გულგრილობით შეპყრობილები, თუმცა ამ პათოსით სავსეს ამასობაში სრულიად ავიწყდება, რომ მოაზროვნე მკითხველისთვის გაცილებით მეტად დამარწმუნებელი და ეფექტურია, როდესაც ინფორმაციის წარდგენა ხდება ორივე მხარის პერსპექტივიდან (როგორც მომხრეების, ისევე

¹⁵³ Bernard, Mark M., Gregory R. Maio, and James M. Olson. "The vulnerability of values to attack: Inoculation of values and value-relevant attitudes." *Personality and Social Psychology Bulletin* 29, no. 1 (2003): 63-75.

¹⁵⁴ Burgoon, Michael, Michael Pfau, and Thomas S. Birk. "An inoculation theory explanation for the effects of corporate issue/advocacy advertising campaigns." *Communication Research* 22, no. 4 (1995): 485-505.

¹⁵⁵ Bizer, George Y., Jeff T. Larsen, and Richard E. Petty. "Exploring the valence-framing effect: Negative framing enhances attitude strength." *Political psychology* 32, no. 1 (2011): 59-80.

¹⁵⁶ Kahneman, Daniel. *Thinking, fast and slow*. Macmillan, 2011.

მოწინააღმდეგეების არგუმენტები და კონტრარგუმენტები), რადგან ამ დროს გვიჩნდება “ცოდნის” განცდა და უფრო მეტად ვეთანხმებით, ვიდრე მხოლოდ ცალმხრივი არგუმენტების წარმოჩენის შემთხვევაში.^{157 158} თავისი პათოსის დასამტკიცებლად ავტორს მოჰყავს “დამაფიქრებელი” სტატისტიკა, რომელიც აჩვენებს, რომ ამერიკელების მხოლოდ 26% უჭერს მხარს იარაღის აკრძალვას, როდესაც 1959 წელს მათი რიცხვი 60% იყო; რომ ყოველ 100 ამერიკელზე 90 იარაღი მოდის; რომ ყოველწლიურად 30,000 ამერიკელი კვდება იარაღის გამოყენების შედეგად, 70,000 იჭრება, ხოლო 20 მასობრივი მკვლელობა ხდება.

თუმცა სანამ ეს ციფრები ჩვენზე გავლენას მოახდენდეს, თავს ნაღვლიანად გადავაქნევდეთ და ვიტყოდეთ, როგორ შეიძლება ასეთი ძლიერი არგუმენტების მიუხედავად პოლიტიკოსები არაფერს ცვლიდნენ, აუცილებელია დავინახოთ, რომ ზემოთ მოყვანილი სიკვდილიანობის 2/3-ს თვითმკვლელობის შემთხვევები შეადგენენ, ხოლო 20 მასობრივი მკვლელობა 330 მილიონ ადამიანზე სტატისტიკურად იმდენად მცირეა, რომ ძალიან რთულია მისი მიხედვით რაიმე დასკვნის გამოტანა.

ახლა ჩვენ ამ მცირე სტატისტიკას თუ გავავრცელებთ მთლიან პოპულაციაზე, დავინახავთ, რომ ამ მონაცემების მნიშვნელოვნობის ინტერვალი 5%-საც შეიძლება არ შეადგენდეს, რაც სრულიად საკმარის ადგილს გვითვებს სუბიექტური დაშვებების და მიკერძოებისთვის. ალბათ ავტორმა ეს ყველაფერი იცის, შეიძლება თვითონაც არ სჯეროდეს იმის, რასაც ამტკიცებს, თუმცა გაცნობიერებული აქვს, რომ მკითხველის დარწმუნება სტატისტიკის ჩვენების გარეშე რთულია - ციფრები ხომ მეტად დამარწმუნებელს ხდის მის მსჯელობას.

თავისი ექსტრემალური პოზიციის კიდევ უფრო ნათლად გადმოსაცემად და მათ დასაცინად, ვინც მას არ ეთანხმებიან (მკითხველს აჩვენებს, რომ იმდენად ჭეშმარიტია მისი მსჯელობა, საწინააღმდეგო მოსაზრების მეორე ხალხთან ლაპარაკსაც კი არ აქვს აზრი) მრავლად იყენებს ცინიკურ არგუმენტებს, მაგ. “როდესაც ობამა პრეზიდენტი გახდა, იარაღის გაყიდვები გაიზარდა, ჩქარა,

¹⁵⁷ Rucker, Derek D., and Adam D. Galinsky. "Conspicuous consumption versus utilitarian ideals: How different levels of power shape consumer behavior." *Journal of Experimental Social Psychology* 45, no. 3 (2009): 549-555.

¹⁵⁸ Bizer, George Y., Jeff T. Larsen, and Richard E. Petty. "Exploring the valence-framing effect: Negative framing enhances attitude strength." *Political psychology* 32, no. 1 (2011): 59-80.

კენიელი მუსულმანი კომუნისტები მოდიან”, ანდა “მრავალ სულელურ არგუმენტს შორის, რომლებიც იარაღის ტარებას ამართლებენ, ისიცაა, რომ შენ და შენს მეგობრებს შეგიძლიათ მთავრობას წინააღმდეგობა გაუწიოთ, თუ ის ტირანიაში გადაიზრდება. ეს ისეთივე სასაცილოა, როგორც რომ ამბობენ, ყველა თუ იარაღის ტარებას დაიწყებს, უფრო უსაფრთხოდ ვიქნებით”.

ლიტერატურაში და მეცნიერებაში ხშირად გამოიყენება მეთოდი, როდესაც ავტორი სპეციალურად არ ამთავრებს სათქმელს, რათა ჩვენმა ტვინმა თვითონ აღადგინოს მოვლენები. “ეკონომიკის რიტორიკის სტუდენტი ხშირად დგას იმ გამოწვევის წინაშე, რომ ილაპარაკოს იმის შესახებ, რაც რეალურად არ წერია”¹⁵⁹; “კითხვისას ჩვენ ვქმნით წარმოდგენილ სამყაროს”¹⁶⁰, შესაბამისად გამოდის, რომ რაც უფრო ბუნდოვანია ტექსტი, მით უფრო დიდ გავლენას ახდენს მასაზე. პოლიტი სწორედ ამ მეთოდს იყენებს, თუმცა რეალურად არაფერს ადასტურებს და იმავე პათოსით მთავრდება, როგორც დაიწყო - თუ იარაღი არ იქნება ხალხის მფლობელობაში, მასობრივი მკვლელობებიც არ მოხდებაო. თუმცა ამ არგუმენტის გაბათილებაც არ არის რთული, თუ გავიხსენებთ მანქანების გამოყენებით ჩადენილ მასობრივ მკვლელობებს. მაგალითად, ოლგა ჰეპნაროვა (Olga Hepnarová) 1975 წელს 8 ადამიანი მოკლა პრაღაში, რახმატ აკილოვა (Rakhmat Akilov) 5 ადამიანი მოკლა და 14 სერიოზულად დააზიანა სტოკჰოლმში 2017 წელს, ხოლო მოჰამედ ლაჰუეი-ბულელმა (Mohamed Lahouaiej-Bouhlel) 86 ადამიანი მოკლა და 458 დააზიანა ნიცაში 2016 წელს. ამას შეგვიძლია დავამატოთ იაპონიაში მომხდარი ცნობილი შემთხვევა 1961 წელს, როდესაც ულტრანაციონალისტის სტუდენტი სოციალისტური პარტიის ლიდერს, ინეჯირო ასანამურას, 1000 ამომრჩევლის თანდასწრებით ხმლით თავს დაესხა და მოკლა¹⁶¹. რაც უფრო უარესია, ასეთი ტიპის შემთხვევების სია ძალიან გრძელია და აჩვენებს, რომ მასობრივი თუ ჩვეულებრივი მკვლელობის ჩადენას მაინცდამაინც იარაღი არ სჭირდება.

¹⁵⁹ Colander, David, and Arjo Klamer. "The making of an economist." *Journal of Economic Perspectives* 1, no. 2 (1987): 95-111.

¹⁶⁰ Todorov, Tzvetan, and Tsvetan Todorov. *The fantastic: A structural approach to a literary genre*. Cornell University Press, 1975.

¹⁶¹ "Japan Socialist Party Leader Assassinated - ARCHIVE, 13 October 1960," October 13, 2016. <https://www.theguardian.com/world/2016/oct/13/inejiro-asanuma-japan-politician-assassinated-1960>.

იარაღის ტარების უფლებასა და დანაშაულის ჩადენის სტატისტიკას შორის დამოკიდებულების დასამტკიცებლად, რაიტმა და როსიმ ჩაატარეს კვლევა¹⁶², რომლის ფარგლებშიც კრიმინალებთან ინტერვიუების საშუალებით გააანალიზეს ინფორმაცია 10 სხვადასხვა ტიპის სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან. აღმოჩნდა, რომ დამნაშავეების 56% არ დაესხმებოდა თავს მსხვერპლს, თუ ეცოდინებოდა, რომ ის შეიარაღებულია; 74%-მა თქვა, რომ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი, რის გამოც ქურდები არ შედიან იმ სახლებში, სადაც პატრონები იმყოფებიან, არის შიში, რომ მათ ესვრიან; 39%-მა დააფიქსირა, რომ ჰქონიათ შემთხვევა, როდესაც გადაიფიქრეს თავდასხმა, რადგან ეგონათ, რომ მსხვერპლი შეიარაღებული იყო და 8%-მა განაცხადა, რომ ასეთი შემთხვევა ბევრჯერ ყოფილა.

თუმცა, ეს ყველაფერი პოლიტს მაინცდამაინც არ აღელვებს, თვლის რა, რომ მკითხველი სრულიად დასჯერდება მის ცინიკურ არგუმენტებს, კითხვისას წარმოიდგენს თუ როგორ ამზადებენ პუტჩს ის და მისი რამდენიმე მეგობარი ტირანი მთავრობის წინააღმდეგ და რა თქმა უნდა, იმ წამსვე დარწმუნდება ამ ყველაფრის უტოპიურობაში.

მკვეთრად უარყოფითი ტონით დაწერილი სტატიის მაგალითად ასევე შეგვიძლია მოვიყვანოთ ალბერტ ჰანტის¹⁶³ ნამუშევარი ნიუ იორკ ტაიმსიდან, სადაც იგი აცხადებს, რომ ქვეყანაში, რომელიც წაიღო იარაღით ჩადენილმა დანაშაულებმა, პრეზიდენტობის კანდიდატების პრიორიტეტებში იარაღის კონტროლი მნიშვნელოვან ადგილს უნდა იკავებდეს, მაგრამ არ იკავებს.

აქ ჩვენ ადვილად შეგვიძლია დავინახოთ, რომ ავტორი დასაწყისშივე აკეთებს დაშვებას, რომ:

- ამერიკას პრობლემა გააჩნია დანაშაულის კუთხით
- ამ პრობლემის გამომწვევი სწორედაც, რომ იარაღის ტარებაა
- პრეზიდენტები რატომღაც არ ფიქრობენ ამ საკითხზე
- პრეზიდენტები უნდა ფიქრობდნენ ამ საკითხზე

¹⁶² Rossi, Peter Henry. *Armed and considered dangerous*. Transaction Publishers, 2008.

¹⁶³ Hunt, Albert R. "Gun Control Should Be a Hot Topic among U.S. Presidential Aspirants." *The New York Times*. The New York Times, March 16, 2008. <https://www.nytimes.com/2008/03/16/world/americas/16iht-letter.3.11135451.html>.

- იარაღის კონტროლი, რა თქმა უნდა, გადაჭრის ამ პრობლემებს

თუმცა სტატიაში ეს ყველაფერი ისე კი არ წერია, რომ ავტორი დაშვებას აკეთებს და მსჯელობს ამ ყველაფერზე, პირიქით, იგი სრულიად დარწმუნებულია იმაში, რასაც ამბობს და ცდილობს დაგვანახოს, რომ მისი არგუმენტები ეჭვის შეტანას არ ექვემდებარება. ამ დროს იგი იყენებს ტექნიკას, რომელსაც შეგვიძლია ვუწოდოთ არაპირდაპირი მონოლოგი. ანუ, ავტორი კი არ ცდილობს გვაჩვენოს, რომ ეს მისი მოსაზრებებებია, არამედ თითქოს მხოლოდ რეალობის (ფაქტების) კონსტატაციას ახდენს. ლიტერატურაში აღნიშნულ ტექნიკას ხშირად იყენებენ ხოლმე, რასაც აღწევნ მთხოველის შეცვლით - გადაყავთ რა პირველი პირი მესამეში. მაგალითად, საბრალო ნოდარი ვერ ხვდებოდა, რომ ბედისწერა მწარედ ეხუმრებოდა. ანუ, აქ, ავტორი უკვე პერსონაჟის თვალთახედვით კი არ საუბრობს, არამედ მონოლოგის საშუალებით ობიექტურ რეალობას აღწერს.

ანალოგიურ მონოლოგებს ასევე იყენებენ სამეცნიერო ნაშრომებშიც, სადაც მეცნიერი თითქოს იმას აჩვენებს, რომ მისი პირით თვით რეალობა გვესაუბრება. მაგ, ფუსტელ დე კულანჟიმ (Fustel de Coulange), ინაუგურაციის დროს, პარიზის უნივერსიტეტში, როდესაც აუდიტორიამ ტაში დაუკრა, ასე მიმართა: “მე ნუ მიკრავთ ტაშს, რადგან ეს მე არ ვლაპარაკობ, ისტორიის ხმა ლაპარაკობს ჩემი მეშვეობით”.

როგორც აღმოჩნდა, მესამე პირში მოთხრობილ ისტორიას ადამიანი უფრო ადვილად იჯერებს, მაშინ როდესაც პირველ პირში გადმოცემული შესაძლოა არაზუსტი ეგონოს¹⁶⁴. შესაბამისად, მეცნიერებიც ანალოგიურად ცდილობენ მათ ნაშრომს მეტი დამატერებლობა შემატონ. “წერისას შენი თავი გამოტოვე რაც შეიძლება ბევრჯერ, რათა მკითხველს დიალოგი ჰქონდეს ექსპერიმენტებთან, მონაცემებთან, დაკვირვებებთან და ფაქტებთან¹⁶⁵. იგივე პრინციპის გამოყენებით იწერება ისტორიაც: “ისტორია ისეა გადმოცემული, მკითხველს

¹⁶⁴ Martin, Wallace. *Recent theories of narrative*. Cornell University Press, 1986.

¹⁶⁵ Mulkay, Michael Joseph. *The word and the world: Explorations in the form of sociological analysis*. Taylor & Francis, 1985.

შთაბეჭდილება დარჩეს, რომ ეს ყველაფერი აღმოჩენილია და არა რომელიმე სუბიექტის მიერ სუბიექტურად გადმოცემული”¹⁶⁶.

შესაბამისად, მკითხველი, რომელიც კი არ ცდილობს გააანალიზოს, არამედ, ჩვეულებრივად, ინფორმაციის მისაღებად კითხულობს ზემოთ მოყვანილ სტატიას, ავტორის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას შეიძლება აღიქვამდეს როგორც ობიექტურ ჭეშმარიტებას, რაც, სავარაუდოდ, მწერლის მიზანიცაა.

თუმცა აქვე აუცილებელია დავძინო, რომ ამ მსჯელობას თუ გავაგრძელებთ, სავარაუდოდ მივალთ იმ დასკვნამდე, რომ ნებისმიერი ავტორი სუბიექტურ ინფორმაციას გადმოგვცემს და ძალიან რთულია მართლაც ობიექტური რეალობის წარმოჩენა და საერთოდაც, არსებობს ობიექტურობა? გერცს თუ დავესესხებით, ობიექტურობა მხოლოდ “ჩვენი კონსტრუქციაა სხვა ადამიანების კონსტრუქციებისა, თუ რას აპირებენ ისინი და მათი კომპატრიოტები”¹⁶⁷, თუმცა, აუცილებელია აღინიშნოს, რამდენიმე ავტორი თვლის, რომ ობიექტური ჭეშმარიტების აღქმა, ვითარცა გაუცნობიერებელი მოთხოვნის, არ უშლის ხელს მეცნიერებს, ჭეშმარიტებას მიუახლოვდნენ და არ უნდა ჩაითვალოს როგორც არათავსებადი საინტერპრეტაციო მიზნებთან¹⁶⁸.

ობიექტურობას რომ გავანებოთ თავი და დავუბრუნდეთ ნაშრომს, ვნახავთ, რომ ავტორს, მას შემდეგ, რაც გამოთქვა ზემოთ მოცემული მოსაზრებები, დასამტკიცებლად მოჰყავს შემდეგი სტატისტიკა:

- ამერიკაში, იარაღით ჩადენილი დანაშაულის რიცხვი 3.42-ია 100,000 ადამიანზე, რაც ყველაზე მაღალია განვითარებულ ქვეყნებს შორის და მხოლოდ ძალადობისკენ მიდრეკილ, განვითარებად ქვეყნებში, როგორიცაა მაგალითად კოლუმბია, არის უარესი მდგომარეობა, ხოლო მაგალითად ინგლისში და იაპონიაში ეს მაჩვენებელი 100-ჯერ დაბალია

¹⁶⁶ White, Hayden. "The value of narrativity in the representation of reality." *Critical inquiry* 7, no. 1 (1980): 5-27.

¹⁶⁷ Geertz, Clifford. "Thick description: Toward an interpretive theory of culture." *Turning points in qualitative research: Tying knots in a handkerchief* 3 (1973): 143-168.

¹⁶⁸ Shankman, Paul, Attila Ágh, Erika Bourguignon, Douglas E. Brintnall, John R. Cole, Linda Connor, Regna Darnell et al. "The Thick and the Thin: On the Interpretive Theoretical Program of Clifford Geertz [and Comments and Reply]." *Current anthropology* 25, no. 3 (1984): 261-280.

- გასულ წელს უფრო მეტი ბავშვი მოკვდა იარაღის გამოყენების შედეგად, ვიდრე სიმსივნით და შიდსით ერთად
- იარაღით სიკვდილიანობის მაჩვენებელი აშშ-ში 15 წლამდე ბავშვებს შორის 12-ჯერ მეტია, ვიდრე 25 განვითარებული ქვეყნის მაჩვენებელი ერთად (Centers for Disease Control and Prevention-ის მიხედვით)
- აშშ-ში ყველაზე მეტ ადამიანს აქვს იარაღი, რაც ჯამში 283 მილიონ ცალს შეადგენს, საიდანაც მესამედი პისტოლეტია

სანამ დავიწყებდეთ ამ მონაცემების ანალიზს, აუცილებელია დავინახოთ, რომ სტატისტიკა შეიძლება არ იყოს ობიექტური ქეშმარიტება, თუკი კვლევები, რის საფუძველზეც ეს ციფრები მიიღება სუბიექტური ჩარჩოთია შემოსაზღვრული, რაც ძალიან მარტივს ხდის მის გადაცდომებს თუ მიკერძოებებს, რადგან მკვლევარი, ხშირ შემთხვევაში, სუბიექტურადაა განწყობილი და მისი მოსაზრების გადამოწმებას ასევე სუბიექტური მეთოდებით ცდილობს, ხოლო ზოგჯერ აღნიშნული სუბიექტური სტატისტიკის უარყოფა არც იყოს შესაძლებელი, რადგან ბევრ საკითხზე საერთოდ არ არსებობს საკმარისი რაოდენობის განსხვავებული კვლევები, რომლებიც შეიძლება ადასტურებდნენ ან ეწინააღმდეგებოდნენ ჩვენ მიერ ჩატარებულს. “ეს ექსპერიმენტი 30-40 მილიონი დოლარი ჯდება, რაც ძალიან დიდი ფულის და დროის ინვესტიციაა, შესაბამისად ამას მხოლოდ მაშინ ჩავატარებთ, თუ წინასწარ ჩავთვლით, რომ ეს თეორია ღირს ამაღ”¹⁶⁹.

ავტორის მიერ მოყვანილ არგუმენტებს კრიტიკულად თუ შევხედავთ, დავინახავთ, რომ მეორე არგუმენტი სპეციალურად არის შერჩეული ემოციის გამოსაწვევად და ნაკლებად რაციონალურად შესახედად, რადგან კრიტიკულ მკითხველს აქ აუცილებლად გაუჩნდება კითხვა, რატომაა გასაოცარი, რომ შიდსზე და სიმსივნეზე მეტად იარაღით იღუპებოდნენ ბავშვები, რადგან სტატისტიკის მიხედვით ბავშვების მხოლოდ 0.00005% იღუპება შიდსის შედეგად,¹⁷⁰ ხოლო სიმსივნე ათჯერ უფრო იშვიათია - 0.000005%, რაც

¹⁶⁹ Weinberg, Steven. "Beautiful theories." In *Albert Einstein memorial lectures*, pp. 81-107. 2012.

¹⁷⁰ "HIV Statistics - Global and Regional Trends." UNICEF DATA, November 30, 2020. <https://data.unicef.org/topic/hivaids/global-regional-trends/>.

რათქმაუნდა დიდი პრობლემაა, მაგრამ შედარებისთვის ნაკლებად გამოსადეგი არგუმენტია. იარაღის რაოდენობის, სიკვდილიანობის და უბედური შემთხვევების კორელაციაზე ზევით უკვე ვისაუბრეთ და აღარ შევყოვნდებით, თუმცა ერთ მნიშვნელოვან მომენტს მაინც გავუსვამ ხაზს: ხშირად შედარებისთვის მოჰყავთ ხოლმე შიშველი ციფრები, რამაც შეიძლება მკითხველს მარტივად არასწორი წარმოდგენა შეუქმნას. მაგალითად, თუ ვიტყვით, რომ იარაღით სიკვდილიანობის მაჩვენებელი 12-ჯერ მეტია აშშ-ში, ვიდრე სხვა განვითარებულ ქვეყნებში, აუცილებელია გავითვალისწინოთ, რომ აშშ მოსახლეობის რაოდენობით მესამეა მსოფლიოში და შესაძლებელია მკვლელობათა რიცხვი სხვა, უფრო პატარა, განვითარებულ ქვეყნებზე ბევრად მეტი იყოს.

ამის შემდეგ, ავტორი ცდილობს გააღრმავოს მკითხველის ემოციური ფონი და მოჰყავს მაგალითები, თუ როგორ იყო შოკში მთელი მოსახლეობა, როდესაც 32 სტუდენტი და პროფესორი მოკლა ვიღაც შეშლილმა სტუდენტმა ვირჯინიის უნივერსიტეტში, ხოლო 5 - ჩრდილოეთ ილინოისის უნივერსიტეტში და ამას აბრალებს კონგრესს, რომელმაც არ განაახლა კანონი თავდასხმის იარაღების შესახებ. მისი ვარაუდის თანახმად, ამ დროს ეს კანონი ძალაში რომ ყოფილიყო, ამ დანაშაულების ჩამდენებს ნაკლები ტყვია ექნებოდათ და ნაკლები მსხვერპლიც მოჰყვებოდა.

ეს ვარაუდი იგივეა, როდესაც ჩვენ ეკონომიკაში მოთხოვნა-მიწოდებას განვიხილავთ და კითხვაზე, თუ რა მოხდება, როდესაც შეშა გაძვირდება, ამაყად ვპასუხობთ, რა თქმა უნდა, ნაკლებს მოვიხმართ, რადგან ეკონომიკა ამას გვასწავლის და თითქოს ლოგიკურიცაა, თუმცა რეალურად რა მოხდება, ეს გაცილებით რთული განსასაზღვრია და უფრო იმას ჰგავს, მხატვარს რომ ვკითხოთ, რას იზამს, მწიფე თავთავებით სავსე ყანა რომ დაინახოს, ან მუსიკოსს, რას იზამს, მზის ჩასვლისას წყალზე წვეთის დაცემის ხმა რომ გაიგოს და ა.შ. ამ შემთხვევაში, ამ კონკრეტულმა პირებმა პასუხი ძალიან მონდომებულადაც რომ გაგვცენ, რეალურად როგორ მოიქცევიან, არ ვიცით, რადგან, როგორც ზემოთ უკვე ვახსენე, ცხოვრებაში *ceteris paribus* პრინციპის გამოყენება ნაკლებად მიზაშეწონილია, რადგან სხვა პირობები იგივე არ რჩება, რეალობა იცვლება და შესაბამისად, მიღებული გადანყვეტილებების კონტექსტიც და მოტივაციებიც. ასე რომ, არც ზემოთ მოყვანილი სროლის

შემთხვევაში შეგვიძლია ზუსტად ვივარაუდოთ, თუ რა მოხდებოდა და რა შედეგით დამთავრდებოდა ეს ყველაფერი. პლუს, ზემოთ მრავალჯერ მოყვანილი კვლევებიც საერთოდ არ უწყობს ხელს აღნიშნულ მოსაზრებას, მაგრამ ეს სრულიადაც არ უშლის ხელს ავტორს, დარწმუნებით ამტკიცოს, რომ შესაძლებელია შედეგის წინასწარ გამოცნობა და ჩვენც ვსხედვართ, ვცდილობთ ჩვენც ანალოგიურად ვიმსჯელოთ, ანალოგიური არგუმენტები წარმოვადგინოთ, რასაც ვახერხებთ კიდეც და კმაყოფილები ვრჩებით, რომ ჩვენი მოსაზრებები ავტორისას დაემთხვა.

თუმცა, ყველა ავტორი ასე ძლიერ სუბიექტური ნამდვილად არ არის, ზოგი ცდილობს თითქოსდა ნეიტრალური პოზიცია დაიკავოს და ისე გადმოსცეს არგუმენტები. მაგალითად, იან ურბინა ნიუ იორკ თაიმსიდან¹⁷¹ საუბრობს იარაღის კონტროლის ახალ ინიციატივაზე, რომლის განხორციელებასაც კალიფორნია აპირებს. მიუხედავად იმისა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში იარაღი ძირითადად ნაკლებად კონტროლდება, კალიფორნია ამ კუთხით გამორჩეულია და გაცილებით მკაცრად უდგება ამ საკითხს. შესაბამისად, ამ ინიციატივის თანახმად, უნდა გაკონტროლდეს ნებისმიერი ტყვიის გაყიდვა. დღეს ბევრ შტატში იარაღის შეძენა საჭიროებს სხვადასხვა ტიპის შემოწმებას თუ ლიცენზიას. ასევე აღირიცხება ერთზე მეტი იარაღის შეძენის შემთხვევები, თუმცა არაფერი მსგავსი არ ეხება ტყვიებს, რომელთა ყიდვა ინტერნეტის საშუალებითაც შეიძლება და სახლის კარამდე მოტანის სერვისიც წარმატებით ფუნქციონირებს.

აქ ავტორი ცდილობს საკუთარი პოზიცია გაამყაროს და ობიექტური რეალობა გადმოსცეს სხვების მოსაზრებების საფუძველზე, ანუ მოყვანილი თვალთახედვა მხოლოდ მას კი არ ეკუთვნის, თურმე მრავალი ექსპერტიც ეთანხმება. “რომელიმე სამეცნიერო საზოგადოების წევრებს შორის კონსენსუსის გადმოცემა ობიექტურობის სტანდარტია”¹⁷². ჩვენ ადვილად ვუჭერებთ ავტორიტეტებს (ამ შემთხვევაში ავტორის მიერ დამოწმებულ ექსპერტებს). როგორც ჩალდინი ამბობს “ჩვენ დაბადებიდანვე გვაგარჯიშებენ იმაში, რომ ავტორიტეტებისადმი რწმენა სწორია, ხოლო თუ არ დავუჭერებთ -

¹⁷¹ Urbina, Ian. “California Tries New Tack on Gun Violence: Ammunition Control.” The New York Times. The New York Times, September 9, 2018. <https://www.nytimes.com/2018/09/09/us/california-gun-control-ammunition-bullets.html?smid=fb-nytimes>.

¹⁷² Megill, Allan. "Rethinking objectivity." (1994).

არასწორი.¹⁷³ ასევე, ჰობსის აზრით ეს ყველაფერი ჩვენში ღრმად დევს, რადგან “როდესაც არ არსებობს ძალაუფლება, არ არსებობს კანონი. როდესაც არ არსებობს კანონი, არ არსებობს სამართლიანობა და უსამართლობა. ამ დროს ძალა და ეშმაკობა ხდება ორი კარდინალური ღირსება”¹⁷⁴, რაც არ მოდის ჩვენს, ადამიანურ ბუნებასთან, ჰარმონიაში არ მოდის. შესაბამისად, ამ შემთხვევაში, ავტორიტეტებზე რამდენჯერმე მითითება კიდევ უფრო მეტად არწმუნებს მკითხველს, რომ მსჯელობა ლეგიტიმურია. თითქოს ლოგიკურადაც ჟღერს, რომ პოლიციის ოფიცრებზე უკეთ ვინ უნდა იცოდეს, რამდენად გაუმართივდებათ მათ კრიმინალის გამოვლენა ამ ცვლილებების შემდეგ.

ამიტომ, ავტორი, იმონებს რა პოლიციის ოფიცრებს, ცდილობს გვაჩვენოს, გააანალიზოს, თუ რა დადებითი შედეგები მოჰყვება ზემოთ აღწერილ ნაბიჯებს:

- ამ ინიციატივის განხორციელების შემდეგ, პოლიციას ექნება შესაძლებლობა, ხშირ-ხშირად შეამოწმოს გაყიდული ტყვიების სია და მოახდინოს იმ პირების იდენტიფიცირება, ვისაც არ აქვს იარაღის ფლობის უფლება

- ამტკიცებს, რომ ტყვიის აღრიცხვის შემდეგ გამართივდება დანაშაულის ჩამდენის დადგენა და მოჰყავს პოლიციის სერჟანტის შემთხვევა, რომელმაც შეძლო და მკვლელობის სცენაზე არასტანდარტული კალიბრის მასრის აღმოჩენის შემდეგ მოახდინა მკვლელის იდენტიფიცირება, რადგან მხოლოდ რამდენიმე ადამიანს ჰქონდა ნაყიდი მსგავსი ტიპის ვაზნა ბოლო პერიოდში

- თავის არგუმენტებს წონას სძენს პოლიციის სხვადასხვა ოფიცრის მოსაზრებებით, რომლებიც ადასტურებენ, რომ ძალიან სასარგებლო იქნება ვაზნების კონტროლი და მათ ახალ შესაძლებლობებს მისცემს კრიმინალის შემცირებისთვის ბრძოლაში, რადგან მაგალითად, საკრამენტოში ვაზნების ყიდვისას საჭირო იქნება თითის ანაბეჭდის დატოვება მაღაზიაში, რომ მომავალში მისი შედარება შეძლონ დანაშაულის ადგილზე არსებულ მასრებთან.

¹⁷³ Cialdini, Robert B. *Influence*. Vol. 3. Port Harcourt: A. Michel, 1987.

¹⁷⁴ Hobbes, Thomas. *Leviathan*. JM Dent, 1914.

თუმცა ამ ყველაფრის და აგრესიის მცდელობის შემდეგ, ნეიტრალური გამოჩენილიყო, ავტორი ამბობს, რომ აღნიშნული ნაბიჯით კალიფორნიამ ძლივს გატეხა ნავსი, რომლის გამოც, წლების განმავლობაში, მიუხედავად ამდენი მასობრივი მკვლელობებისა სკოლებში და უნივერსიტეტებში, ვერ ახერხებდნენ კანონმდებლები რაიმე ქმედითი ნაბიჯი გადაედგათ იარაღის კონტროლის მიმართულებით და შესაბამისად, კალიფორნია დანარჩენ შტატებს მიუძღვის წინ, უკეთესი მომავლისკენ. ავტორს თითქოს ავიწყდება, რომ მანამდე ნეიტრალური პოზიციიდან გამოთქვამდა მოსაზრებებს და მკვეთრად სუბიექტურად ზეიმობს ამ დიდ “წინსვლას”.

აქვე აღსანიშნავია, რომ არგუმენტში მოყვანილი მასობრივი სროლები საინტერესო ფენომენია, რადგან მათ გაცილებით დიდი ყურადღება ექცევათ საზოგადოების მხრიდან, ვიდრე სხვა ნებისმიერ დანაშაულს, რაც ადვილად შეიძლება გამოყენებულ იქნას საზოგადოებაზე ზეგავლენის მოსახდენად და არასწორი დასკვნების გამოტანასაც შეუწყოს ხელი. თუ დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ სიკვდილიანობა სკოლებში სტატისტიკურად ძალიან უმნიშვნელოა: დაახლოებით, 2 მილიონიდან 1 მოსწავლე კვდება სკოლაში ჩადენილი დანაშაულის თუ სუიციდის შედეგად, ხოლო სკოლის ასაკის მოსწავლეების 2%-ზე ნაკლები მკვლელობა ხდება სკოლებში. და მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოების ინტერესი და შეშფოთება ამ საკითხით უფრო და უფრო იზრდება, ფატალური ინციდენტების რიცხვი სტატისტიკურად ყოველ წელს მცირდება¹⁷⁵.

ავტორი, ბოლოს, ამთავრებს დასკვნით, რომ ამდენი, ზემოთ მოყვანილი არგუმენტის საფუძველზე, იარაღი, რაღა თქმა უნდა, პრობლემას წარმოადგენს, თუმცაღა რადგან არსებობს ორი მხარე, იარაღის კონტროლის მომხრეები და მოწინააღმდეგეები, რომლებიც ორივენი აქტიურად ლობირებენ თავიანთ მოსაზრებებს და ორივე მხარეს ძლიერი აქტივისტები ჰყავს, მთავრობა ვერ იღებს მნიშვნელოვან და გადამწყველ გადაწყვეტილებებს.

ამ ბოლო პუნქტში მინდა ავტორს დავეთანხმო, რადგან მთავრობის გადაწყვეტილებებზე ნამდვილად ხშირად მნიშვნელოვან ზეგავლენას საზოგადოების განწყობა ახდენს და ამ განწყობის ფორმირება და შემდეგ უკვე

¹⁷⁵ Muschert, Glenn W. "Research in school shootings." *Sociology compass* 1, no. 1 (2007): 60-80.

შეცვლა არ არის მარტივი პროცესი. საზოგადოება მუდმივად იღებს ინფორმაციას სხვადასხვა ინფორმაციის წყაროდან და უყალიბდება, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, საკმაოდ მკვეთრი პოზიცია და ნაკლებად რეაგირებს არგუმენტებზე.

რამდენად სწორად და ობიექტურად ხდება ინფორმაციის მიტანა საზოგადოებამდე, ამ კითხვას სვამს ლოტი მის ნაშრომში, მიკერძოება იარაღის წინააღმდეგ: რატომ არის თითქმის ყველაფერი, რაც იარაღის კონტროლის შესახებ იცით, სიცრუე¹⁷⁶. იგი მიიჩნევს, რომ გახმაურებული ძალადობის ფაქტების გაშუქების დროს მედია მიკერძოებულია, რადგან ისინი სისტემატურად ცდილობენ მიჩქმალონ ცეცხლსასროლი იარაღის თავდაცვითი გამოყენების ფაქტები და ამით დააკნინონ ის. მას, ამის დასამტკიცებლად, 2002 წლის იანვარში აპალაჩების სამართლის სკოლაში მომხდარი მასობრივი მკვლელობის მაგალითი მოჰყავს და ამტკიცებს (Lexis-Nexis-ის კვლევიდან მოგროვებული ინფორმაციით), რომ ამ ფაქტებზე დაწერილ სტატიებში, 208-დან მხოლოდ 4-მა გაზეთმა ახსენა, რომ სტუდენტები, რომლებმაც წვლილი შეიტანეს თავდამსხმელის დაკავებაში, ასევე შეიარაღებული იყვნენ. ლოტის დასკვნით, რეპორტიორებმა ვერ შეძლეს ობიექტურად შეეფასებინათ ცეცხლსასროლი იარაღის თავდაცვითი როლი მოცემულ შემთხვევაში.

თუმცა, ჩვენ თუ შევისწავლით აღნიშნულ შემთხვევას, ვნახავთ, რომ არსებობს განსხვავებული რეპორტები, სადაც ზოგი თვითმხილველი ამტკიცებს, რომ იარაღიანმა სტუდენტებმა დააკავეს თავმდასხმელი და ხელი შეუშალეს დამატებით მკვლელობებს¹⁷⁷, ხოლო ზოგი, პირიქით, ამბობს, რომ მკვლელს უკვე აღარ ჰქონდა ტყვიები მჭიდში და დანებებული იყო, შეიარაღებული სტუდენტების გამოჩენამდე¹⁷⁸.

¹⁷⁶ Lott, John R. The bias against guns: Why almost everything you've heard about gun control is wrong. Simon and Schuster, 2003.

¹⁷⁷ Bowman, Rex. "HELPING TO STOP A KILLER; STUDENTS WENT AFTER LAW SCHOOL GUNMAN." johnrlott.tripod.com. Accessed December 28, 2020. <https://johnrlott.tripod.com/other/link2.html>.

¹⁷⁸ Kahn, Chris. "Dean, Prof, Student Dead in Shooting Rampage at Virginia Law School; Man Who Flunked out Held." SSRInet. Accessed December 28, 2020. <http://ssrinet.net/archive/show9a02.html?item=1724>.

ეს განსხვავებული და ერთმანეთის საწინააღმდეგო ფაქტები, მკითხველს ცოტა უცნაურად მოეჩვენება, თუმცა ამის ახსნა შესაძლებელია. ამისათვის შეგვიძლია გავიხსენოთ აკირა კუროსავას 1950 წელს გადაღებული ფილმი რაშომონი¹⁷⁹, რომელიც ოთხი სხვადასხვა ადამიანის თვალთ დანახულ ერთი და იგივე მკვლელობის ისტორიას გვიყვება, თუმცა ოთხივე მოწმე განსხვავებულ ჩვენებებს აძლევს. შესაბამისად, მაყურებელი მუდმივად ფიქრობს იმაზე, თუ რომელი ამბობს სიმართლეს და რომელი ტყუის. თუმცა ფილმის განვითარებასთან ერთად ვხედავთ, რომ ყველა მთხრობელს საკუთარი სიმართლის სწამს და დარწმუნებულები არიან, რომ არ ტყუიან, მეტიც, ისინი ხედავენ, რომ საკუთარი ჩვენებით თავს აყენებენ ზიანს, თუმცა არ აპირებენ მაინც ტყუილის თქმას. ანუ, მათ, უბრალოდ, დაიჯერეს და გაითავისეს ის სუბიექტური ვერსია, რასაც თვითონ ყვებიან. ანალოგიურად შეიძლება ავხსნათ ყველა ის შემთხვევაც, სადაც რამდენიმე, ერთმანეთისაგან განსხვავებული წყარო არსებობს. როგორ უნდა დავადგინოთ რომელი მათგანია ობიექტურად მართალი? როგორ შეიძლება ყველა მართალი იყოს?

ლოტი თავის ნაშრომში დაწვრილებით არასდროს აღწერს, როგორ უნდა შევაფასოთ მიკერძოების ასპექტები, ან რა წარმოადგენს სისტემური მიკერძოების მამხილებელ საბუთს (გარდა სტატიების რაოდენობის დათვლისა, სადაც ის უბრალოდ თანაბარმნიშვნელოვნად აყენებს და აფასებს ყველა ისტორიას). აქ მისი არგუმენტები არ არის ნათლად გამოხატული, თუმცა ავტორი უშვებს, რომ მკითხველი, რა თქმა უნდა, წარმოიდგენს, რომ ეს არგუმენტები არსებობს. თუმცა, მისდა სავალალოდ, ლამბერტმა გაანალიზა იგივე სტატიები¹⁸⁰, მაგრამ გარკვეული ცვლილებები შეიტანა კვლევის პროცესში. მაგალითად, მან გაითვალისწინა, რომ ლოტის მიერ გაანალიზებული ბევრი სტატიიდან მრავალი თითქმის ერთმანეთის ასლი იყო და ისინი არ ჩათვალა. ასევე დაინახა, რომ ზოგიერთი სტატია სულაც არ მსჯელობდა მკვლელობაზე და მკითხველს ინფორმაციას აწვდიდა მხოლოდ დაკრძალვაზე და ასეთი ტიპის ამბებზე, შესაბამისად ლამბერტმა ისინიც გამოაკლო. ასევე არსებობდა სტატიები, რომლებიც დაწერილი და გამოცემული იყო შემთხვევის პირველ

¹⁷⁹ Kurosawa, Akira. "Rashômon (1951)." Rotten Tomatoes. Accessed January 20, 2021. <https://www.rottentomatoes.com/m/rashomon>.

¹⁸⁰ Lambert, Tim. "Counting Stories about the Appalachian Law School Shootings." ScienceBlogs. Accessed December 28, 2020. <https://scienceblogs.com/deltoid/2003/09/01/0902>.

დღეებში, როდესაც, საქმის დეტალები ჯერ კიდევ არ იყო დაზუსტებული. ამ ალტერნატიული მეთოდის გამოყენებით ლამბერტმა დაასკვნა, რომ დარჩა მხოლოდ 14 ისტორია, რომლებიც პოტენციურად შეიძლება მიკერძოებულები იყვნენ, რაც მნიშვნელოვნად ნაკლებია, ვიდრე ლოტის მიერ მოყვანილი 208.

რადგან ლამბერტის დახმარებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მიუხედავად ლოტის მიერ არსებული მცდელობისა, მედიის მიკერძოების დამადასტურებელი მკვეთრი საბუთი არ გვაქვს, საინტერესო იქნება განვიხილოთ არსებობს თუ არა მიკერძოება კვლევებში, მაგალითად სამთავრობო კვლევებში. ლოტი აქაც ამტკიცებს¹⁸¹, რომ სამთავრობო კვლევები მიკერძოებულია, რადგან ისინი მხოლოდ აჩვენებენ ცეცხლსასროლი იარაღის ნეგატიურ მხარეებს და არ აქცევენ ყურადღებას მის ბენეფიტებს. არგუმენტად მას მოჰყავს მოსაზრება, რომ ნაციონალური კვლევითი საკრებულოს (NRC) კომიტეტი, რომლის მიზანიც ცეცხლსასროლი იარაღისა და ძალადობის შესწავლაა, „საგანგებოდაა შექმნილი, რათა შეამოწმოს იარაღის მხოლოდ უარყოფითი მხარეები“, ასევე „არც ეროვნული სამართლის ინსტიტუტს და არც სამართლის სტატისტიკის ბიუროს არ გამოუქვეყნებია რაიმე იარაღის ფლობის სარგებელთან დაკავშირებით“.

თუმცა ჩვენთვის, დღევანდელი გადმოსახედიდან, ამ არგუმენტების გადამოწმება ადვილია, რადგან ლოტის ამ მოსაზრების გამოთქმიდან 2 წლის შემდეგ გამოვიდა *Firearms and Violence: A Critical Review*¹⁸², სადაც დიდი ყურადღება ეთმობოდა ცეცხლსასროლი იარაღის დამცველობით და გამაუვნებელყოფელ თვისებებს. ასევე, 1994 წელს იუსტიციის ბიუროს მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით წელიწადში საშუალოდ 62,000 ადამიანი თავს იცავს იარაღით ძალადობისგან¹⁸³. აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თუკი მთავრობა ხელს თუ არ უწყობს იარაღის სარგებელის დადგენასთან

¹⁸¹ Lott, John R. *The bias against guns: Why almost everything you've heard about gun control is wrong*. Simon and Schuster, 2003.

¹⁸² National Research Council. *Firearms and violence: a critical review*. National Academies Press, 2005.

¹⁸³ Harrell, Erika, Jennifer Truman, Alexandra Thompson, Barbara Oudekerk, Rachel Morgan, and Grace Kena. "Data Collection: National Crime Victimization Survey (NCVS)." Bureau of Justice Statistics (BJS). Accessed December 28, 2020. <https://www.bjs.gov/index.cfm?ty=dcdetail&iid=245>.

დაკავშირებულ კვლევებს, ხელსაც არ უშლის და შესაბამისად იმის მტკიცებისთვის, რომ მიკერძოება არსებობს, საფუძველი არ გაგვჩნია.

აქვე აუცილებელია დავძინო, რომ ერთ-ერთი ძირითადი არგუმენტი, რომელსაც იარაღის კონტროლის მომხრეები თუ მოწინააღმდეგეები იყენებენ საზოგადოებასთან კომუნიკაციაში, არის ის, რომ იარაღის შეზღუდვა შეამცირებს კრიმინალს, თუმცა ასევე ამტკიცებენ, რომ შეზღუდვას მსგავსი ეფექტი სულაც არ აქვს, რადგან თუ ადამიანს სურს, რომ მოკლას, ის იშოვის შესაბამის იარაღს, რათა მიაღწიოს დასახულ მიზანს. ამის გასაანალიზებლად, ზიმრინგი თავის ცნობილ ნაშრომში¹⁸⁴ აჩვენებს, რომ ყველა მკვლელობა სულაც არ არის აუცილებელი გამოწვეული იყოს ერთი და იმავე განზრახვით. მაგალითად, თუ ყველა მკვლელობის მიზეზი იქნებოდა ბანდების შეტაკებები, იარაღის ამკრძალავი კანონები აღარ იქონიებდა არსებით გავლენას კრიმინალის რიცხვზე, რადგან მაშინაც კი თუ დავუშვებდით, რომ მკვლელს არ ექნებოდა შესაძლებლობა მიეღო თოფი, რაც საკმაოდ არარეალური დაშვებაა, ნებისმიერ შემთხვევაში ის სხვა ტიპის იარაღზე გადაინაცვლებდა, რათა საწადელისთვის მიეღწია.

თუმცა ყოველ მკვლელობას მსგავსი ცალსახა მოტივაცია როდი გააჩნია. ავტორი ამბობს, რომ ამ დროს რეალური კითხვა, რაც უნდა აუცილებლად დავსვათ, არის ის, რომ არის თუ არა მკვლელობების დიდი ნაწილი ნაკლებად გააზრებული. თუ ამ კითხვაზე პასუხი დადებითია და ცეცხლსასროლი იარაღის სავარაუდო შემცველი ზემოთხსენებულ სიტუაციებში ნაკლებად მიგვიყვანს ფატალურ შედეგამდე, მაშინ იარაღის აღმოფხვრა ეჭვგარეშეა, რომ შეამცირებს მკვლელობების რიცხვს.

ამ კონკრეტული ჰიპოთეზის დასმა გაცილებით მარტივია, ვიდრე მისი დამტკიცება, რადგან ნათელი მიზეზების გამო, არ არსებობს ზუსტი მონაცემები თავდასხმელის განზრახვებზე - სურდა მას დაეჭრა ან დაეზიანებინა მსხვერპლი და გააზრებული ჰქონდა მკვლელობის რისკი, თუ მხოლოდ ერთადერთი მიზანი ამოძრავებდა, რომ მოეკლა ნებისმიერ ფასად. თუმცა განზრახვები ხშირად ბუნდოვანია და ამ დროს ხშირად თავდასხმა იქამდე

¹⁸⁴ Zimring, Frank. "Is gun control likely to reduce violent killings?." *The University of Chicago Law Review* 35, no. 4 (1968): 721-737.

წყდება, სანამ სასიკვდილო შედეგი დადგება. რესტორნებში და ბარებში ჩხუბები ჩვეულებრივ მაშინ სრულდება, როცა ერთი ან ორი მონაწილე დაიჭრება ან სცემენ.

ავტორს ნაშრომში მოჰყავს ჩიკაგოს პოლიციის სტატისტიკის მონაცემები, სადაც ჩანს, რომ მკვლელობის დროს მკვლელისა და მსხვერპლის 41% ერთმანეთის მეგობრები ან ნაცნობები არიან, 20% მეუღლე ან საყვარელი და მხოლოდ 22%-ია მკვლელობა უცნობებს შორის, ხოლო მკვლელობების 82% ხდება გარჩევების დროს, რომელთა მიზეზები შეიძლება იყოს ფული, სასმელი და ა.შ. ამ სიტუაციებში მკვლელობის განზრახვა უფრო მეტად შეესაბამება ბუნდოვან მოტივაციებს.

ასევე, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ცეცხლსასროლი იარაღით მოკლულთა მხოლოდ 30%-ს ჰქონდა ერთ ტყვიაზე მეტი მოხვედრილი. მიუხედავად იმისა, რომ არ გაგვაჩნია მონაცემები თუ რამდენი გასროლა მოხდა, სანამ მსხვერპლს ის ერთი ტყვია მოხვდებოდა, ავტორი ვარაუდობს, რომ ამ 70%-ს იმიტომ ნამდვილად არ ჰქონია ერთი ტყვია მოხვედრილი, რომ მსროლელს გამოლუღი ჰქონდა მარაგი და ფიზიკურად ვეღარ ესროდა მეტს.

საბოლოოდ, შემთხვევების 54%-ში, რომელიც მკვლელობით დასრულდა, პოლიციამ დაადგინა, რომ დამნაშავე, მსხვერპლი ან ორივე მათგანი იღებდნენ ალკოჰოლს თავდასხმამდე. ეს მონაცემები სავარაუდოდ არ მოიცავს იმ შემთხვევებს, როდესაც პოლიციამ ვერ შეძლო, დაედგინა იყო თუ არა საქმეში ინტოქსიკანტები.

დასასრულს, მინდა ვთქვა, აშკარად ჩანს, რომ იარაღისადმი განწყობა ხალხში ნეიტრალური არ არის. ინფორმაცია, რომელიც გადაეცემა მოსახლეობას, ხშირად გარკვევით აჩვენებს ავტორების დამოკიდებულებას, ობიექტური ანალიზის ნაცვლად, რაც ემსახურება რაც შეიძლება მეტი ადამიანის საკუთარ აზრზე გადმოყვანის მცდელობას. ეს ყველაფერი ნათლად გამოჩნდა ჩემ მიერ ჩატარებულ ექსპერიმენტშიც. სწორედ ამის გამოა, რომ მოსახლეობა მუდმივად ითხოვს პრობლემების გადანყვეტას, ეს გადანყვეტა ჰგონიათ იარაღის მკაცრი რეგულაციები და პოლიტიკოსებიც ნებისით თუ იძულებით, ცდილობენ მათ ეს სურვილები დაუკმაყოფილონ.

11. დასკვნა

ჩვენ, როდესაც გადაწყვეტილებებს ვიღებთ ხოლმე, ხშირად ვიყენებთ მოსაზრებებს თუ დაუსაბუთებელ რწმენებს, რამაც შეიძლება არასწორ გზაზე დაგვაყენოს. თუმცა, პოლიტიკოსების გადაწყვეტილებები ხშირად მაინც საზოგადოებრივ აზრს ეფუძნება, რადგან ჩვენ მუდმივად ვთხოვთ მათ ამა თუ იმ პრობლემის გადაჭრას კონკრეტული მიდგომებით, არადა კანონის დანიშნულება ხომ ერთადერთია - უნდა მიიღწეოდეს ის შედეგი, რისთვისაც ის არის შემუშავებული. თუმცა ზოგ შემთხვევაში, როგორც დავინახეთ, ეს ასე არ ხდება და თანაც, არათუ მხოლოდ ტრივიალური და ნაკლებმნიშვნელოვანი საკითხებისას, რასაც შეიძლება კანონშემოქმედები “შედარებით ცოტა” დროს უთმობდნენ, არამედ ექსტრემალური და სიკვდილ-სიცოცხლის თემების შემთხვევაშიც.

ჩავთვალო, რომ იარაღის ფლობა და კონტროლი, ერთ-ერთი ყველაზე ექსტრემალური და სენსიტიური საკითხია, რისი გამოკვლევაც შეიძლებოდა და ვეცადე პასუხი გამეცა კითხვისთვის, თუ რამდენად მართებულია იარაღის აკრძალვა, რამდენად მიიღწევა კრიმინალის შემცირება იარაღის რეგულაციებით, ჩვენი უფლებების შეზღუდვით მივდივართ უკეთესი სამყაროსკენ, სადაც უფრო დაცულები ვიქნებით?

იარაღი, ხშირად, ბოროტ გამოგონებად და მკვლელობის ინსტრუმენტად აღიქმება და მისი თავდაცვითი თუ სხვა დანიშნულების უგულებელყოფა ხდება, შესაბამისად, მთავრობები მუდმივად ცდილობენ ხოლმე იარაღის ფლობაზე კონტროლის გამკაცრებას, დანაშაულის შემცირების მოტივით და საზოგადოების მხარდაჭერითაც სარგებლობენ. ერთ-ერთი, ყველაზე ხშირად განხილვადი მაგალითი, თუ რა სარგებლობის მოტანა შეუძლია იარაღის რეგულაციებს, იაპონიაა, სადაც მხოლოდ 1.2 მკვლელობა ფიქსირდება 100,000 მოსახლეზე და 40 შეიარაღებული თავდასხმა წელიწადში, ტოკიო ერთ-ერთი ყველაზე უსაფრთხო ქალაქია მსოფლიოში (59,000 ლიცენზირებული იარაღის მფლობელი 14 მილიონი მაცხოვრებელიდან), მაშინ როდესაც აშშ-ში მსოფლიოს იარაღის თითქმის 50%-ია მოსახლეობის მფლობელობაში, მხოლოდ ნიუ იორკში 11,000 შეიარაღებული თავდასხმა დაფიქსირდა 2017 წელს და აბსოლუტური მნიშვნელობით 200-ჯერ მაღალია მკვლელობათა შემთხვევები,

ვიდრე იაპონიაში¹⁸⁵. საქართველოშიც, როდესაც ახალი მთავრობა მოვიდა 2013 წელს, მალევე იარაღის კონტროლის გამკაცრება დაიწყო.¹⁸⁶

შესაბამისად, თუ კანონის იდეა მდგომარეობს ადამიანების სიცოცხლის, თავისუფლების და საკუთრების დაცვაში და იარაღის აკრძალვა ამის მიღწევაში გვეხმარება, გამოდის, რომ ყველაფერი რიგზე ყოფილა, მაგრამ თუ დავუშვებთ, რომ იარაღის კონტროლი ვერ გადის იმ შედეგზე, რისი მიღწევაც გვინდა, მაშინ შეიძლება ის მხოლოდ თავისუფლებას და საკუთარი სიცოცხლის დაცვის საშუალებას გვიზღუდავდეს, რადგან იარაღი თავდაცვის საშუალებაცაა.

იმის დასადგენად, თუ რამდენად აღწევს იარაღის რეგულაციები დასახულ მიზნებს, გადავწყვიტე ჩამეტარებინა სტატისტიკური ანალიზი, თუ ახდენს ზეგავლენას იარაღის ფლობა დანაშაულის დონეზე. ამისათვის შევადგინე მონაცემთა ბაზა, სადაც შევითანე მსოფლიოს 195 ქვეყნის მონაცემები დანაშაულის სტატისტიკის, იარაღის ფლობის, ალკოჰოლის მოხმარების, მოსახლეობის სიმჭიდროვის და ა.შ. რეგრესიული ანალიზის შედეგად ვერ აღმოვაჩინე დასაბუთებული ფაქტი იმის შესახებ, რომ იარაღის ფლობა დანაშაულს ზრდის და პირიქით, ანუ დავინახეთ, რომ იარაღის კონტროლის კანონები ვერ გადიან დასახულ მიზანზე - შემცირდეს კრიმინალი.

ამის შემდეგ, გამიჩნდა კითხვა - თუ იარაღის ფლობას არ აქვს ეფექტი დანაშაულის დონეზე, მაშინ რატომ ცდილობენ პოლიტიკოსები მის რეგულირებას? სავარაუდო პასუხიც ვიცოდი - იმიტომ, რომ საზოგადოება მოითხოვს მათგან ქმედით ნაბიჯებს მომხდარ დანაშაულებზე. ამან მეორე კითხვა გააჩინა: თუ იარაღის ფლობას არ აქვს ეფექტი დანაშაულის დონეზე, მაშინ რატომ გვგონია, რომ აქვს? იქნებ ინფორმაციის ნაკლებობის ბრალია? სწორედ ამის განსასაზღვრად გადავწყვიტე ექსპერიმენტის ჩატარება, რომელშიც მონაწილეებს ჯერ არ მივაწოდებ არანაირი ინფორმაცია, ხოლო შემდეგ ერთ ჯგუფს იარაღის ფლობის სიკეთეებზე, ხოლო მეორეს უარყოფით

¹⁸⁵ Alpers, Philip. "Guns in the United States - Firearms, Gun Law and Gun Control." Gun Law and Policy: Firearms and armed violence, country by country. Accessed December 20, 2020. <https://www.gunpolicy.org/firearms/region/united-states>.

¹⁸⁶ ლიბერალი. "წულუკიანი პარლამენტს 'იარაღის შესახებ' კანონში ცვლილებების დაჩქარებისკენ მოუწოდებს." Accessed December 20, 2020. <http://liberali.ge/news/view/15856/tsulukiani-parlaments-iaraghis-shesakheb-kanonshi-tsvlilebebis-dachqarebisen-moutsodebs>.

მხარეებზე შევატყობინე. დავინახეთ, რომ ადამიანთა იმ ჯგუფს, რომელსაც იარაღის ფლობის დადებით მხარეებზე მცირე ინფორმაცია მივაწოდეთ, აზრი იმაზე ბევრად მკვეთრად შეეცვალა, ვიდრე მათ, ვისაც იარაღის ფლობის უარყოფითი მხარეების შესახებ ვესაუბრეთ, რაც იმას ნიშნავს, რომ უარყოფითი ინფორმაცია საზოგადოებისთვის უკვე ცნობილია, ხოლო დადებითის შესახებ გაცილებით ნაკლები იცინ.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ გადანყვეტილების მიღებისას აუცილებელია მეტად გამოვიყენოთ მეცნიერული მიდგომები, გამოვიკვლიოთ საფუძვლიანად ჩვენი მოქმედება რაზე ახდენს ზეგავლენას, რა დადებითი და უარყოფითი შედეგები მოაქვს და მხოლოდ შემდეგ ვიმოქმედოთ, რადგან როგორც დავინახეთ, რეაგირება მოსახლეობის მოთხოვნებზე შეიძლება არასაკმარისი იყოს, რადგან მრავალი ქვეყანა იარაღს კრძალავს, ხოლო აშშ-ში, სადაც იარაღი ფართოდაა ხელმისაწვდომი, მოსახლეობა ითხოვს მის დარეგულირებას, მასობრივი სროლების თუ სხვა დანაშაულების შემცირების იმედით. ახალ ზელანდიაში 2019 წელს მომხდარი სროლების შემდეგაც, პირველი დაპირება, რაც პრემიერ მინისტრმა გასცა, სწორედ იარაღის კონტროლის გამკაცრება იყო.

ამ ყველაფრიდან გამომდინარე, ნათლად ვხედავთ, რამდენად რთულია რეგულაციების კუთხით სწორი გადანყვეტილებების მიღება, როდესაც ასეთ კრიტიკულ საკითხთან მიმართებაშიც ხალხის და პოლიტიკოსების დიდ ნაწილს არასწორი წარმოდგენა აქვს პრობლემის გამომწვევი მიზეზების შესახებ და მის გადაჭრას ისეთი მეთოდებით ცდილობს, რომელსაც ეს არ შეუძლია. ამას უნდა დავამატო ისიც, რომ ხშირად რეგულაციები მიიღება *ceteris paribus* დაშვებაზე დაყრდნობით, მაშინ როდესაც, რეალურ ცხოვრებაში, გარემო და ქცევა რეგულაციის შემდეგ იცვლება და სხვა თანაბარი პირობების მიღწევა თითქმის შეუძლებელია.

ამ ნაშრომში მოყვანილი მრავალი ქვეყნის ანალიზის საფუძვლად მიღებული შედეგები გვაძლევს საფუძველს, დავასკვნათ, რომ ზოგჯერ კანონები თუ რეგულაციები, რომლებიც მიზნად ისახავს კონკრეტული შედეგის მიღებას თუ ქცევის წახალისებას, შეიძლება ეფუძნებოდეს “ლოგიკურ” დაშვებებს და გადაუმოწმებელ ცოდნას, რომელებიც შეიძლება გვატყუებდნენ და დასახულ

მიზნამდე ვერ მივყავდეთ, რასაც იარაღის კონტროლის მაგალითი ნათლად აჩვენებს.

შესაბამისად, ძალიან მნიშვნელოვანია კანონის დიზაინის შემუშავებისას “ლოგიკის”, ინტუიციის და საზოგადოების დაუსაბუთებელი რწმენის ნაკლებად გამოყენება და როგორც ჩანს, პრობლემის პოპულარულ გადაჭრის მეთოდებს შეიძლება არაპოპულარული და ერთი შეხედვით გაუგებარი სჯობდეს.

ბიბლიოგრაფია

ლალიაშვილი, ეკა. „2019 წელს სტატისტიკა გაუარესებულია“ – ეკა ლალიაშვილი ავარიების შესახებ საუბრობს.” Roadsafety.ge. <http://roadsafety.ge/2019-წელს-სტატისტიკა-გაუარე/>

ლიბერალი. “წულუკიანი პარლამენტს „იარაღის შესახებ“ კანონში ცვლილებების დაჩქარებისკენ მოუწოდებს.” Accessed December 20, 2020. <http://liberali.ge/news/view/15856/tsulukiani-parlaments-iaraghis-shesakheb-kanonshi-tsvlilebebis-dachqarebisen-moutsodebs>.

სსიპ "საქართველოს საკანონმდებლო მაცნე". “საქართველოს კანონი იარაღის შესახებ.” Accessed December 14, 2020. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/14944?publication=64>.

სსიპ "საქართველოს საკანონმდებლო მაცნე". “საქართველოს კონსტიტუცია.” Accessed December 14, 2020. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36>.

სსიპ "საქართველოს საკანონმდებლო მაცნე". “საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი.” Accessed December 14, 2020. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=230>.

ჭავჭავაძე, ილია. *საზოგადოებრივი ცხოვრების ნაკლნი და მისი ეკონომიური მიზეზები*. (1897): VIII თავი.

Agnew, Robert. "A revised strain theory of delinquency." *Social forces* 64, no. 1 (1985): 151-167.

Agnew, Robert. "Foundation for a general strain theory of crime and delinquency." *Criminology* 30, no. 1 (1992): 47-88.

Agnew, Robert. "General strain theory: Current status and directions for further research." *Taking stock: The status of criminological theory* 15 (2006): 101-123.

Alpers, Philip. "Guns in Armenia - Firearms, Gun Law and Gun Control." *Gun Law and Policy: Firearms and armed violence, country by country*. Accessed December 20, 2020. <https://www.gunpolicy.org/firearms/region/armenia>.

Alpers, Philip. "Guns in France - Firearms, Gun Law and Gun Control." *Gun Law and Policy: Firearms and armed violence, country by country*. Accessed December 20, 2020. <https://www.gunpolicy.org/firearms/region/france>.

Alpers, Philip. "Guns in Georgia - Firearms, Gun Law and Gun Control." *Gun Law and Policy: Firearms and armed violence, country by country*. Accessed December 20, 2020. <https://www.gunpolicy.org/firearms/region/georgia>.

Alpers, Philip. "Guns in Switzerland - Firearms, Gun Law and Gun Control." *Gun Law and Policy: Firearms and armed violence, country by country*. Accessed December 20, 2020. <https://www.gunpolicy.org/firearms/region/switzerland>.

- Alpers, Philip. "Guns in the Netherlands - Firearms, Gun Law and Gun Control." Gun Law and Policy: Firearms and armed violence, country by country. Accessed December 20, 2020. <https://www.gunpolicy.org/firearms/region/netherlands>.
- Alpers, Philip. "Guns in the United States - Firearms, Gun Law and Gun Control." Gun Law and Policy: Firearms and armed violence, country by country. Accessed December 20, 2020. <https://www.gunpolicy.org/firearms/region/united-states>.
- Alpers, Philip. Compare Germany – Rate of Gun Homicide per 100,000 People. Accessed December 20, 2020. https://www.gunpolicy.org/firearms/compare/69/rate_of_gun_homicide/178.
- Alpers, Philip. Germany – Rate of Homicide per 100,000 People (any method). Accessed December 20, 2020. https://www.gunpolicy.org/firearms/compareyears/69/rate_of_homicide_any_method.
- Ambebi.ge. "რა უნდა იცოდეს იარაღის გაფორმების მსურველმა - ვის მოუწევს გამოცდის ჩაბარება და რა ღირს პროცედურა." Accessed December 20, 2020. <https://www.ambebi.ge/article/234981-ra-unda-icodes-iaragis-gapormebis-msurvelma-vis-moucevs-gamocdis-chabareba-da-ra-girs-procedura/>.
- Andrés, Antonio Rodríguez, and Katherine Hempstead. "Gun control and suicide: The impact of state firearm regulations in the United States, 1995–2004." *Health Policy* 101, no. 1 (2011): 95-103.
- Bastiat, Frederic. *The law*. Laissez Faire Books, 1987.
- Bernard, Mark M., Gregory R. Maio, and James M. Olson. "The vulnerability of values to attack: Inoculation of values and value-relevant attitudes." *Personality and Social Psychology Bulletin* 29, no. 1 (2003): 63-75.
- Bisogno, Enrico, Jenna Dawson-Faber, and Michael Jandl. "The International Classification of Crime for Statistical Purposes: A new instrument to improve comparative criminological research." *European Journal of Criminology* 12, no. 5 (2015): 535-550.
- Bizer, George Y., Jeff T. Larsen, and Richard E. Petty. "Exploring the valence-framing effect: Negative framing enhances attitude strength." *Political psychology* 32, no. 1 (2011): 59-80.
- Bowman, Rex. "HELPING TO STOP A KILLER; STUDENTS WENT AFTER LAW SCHOOL GUNMAN." johnrlott.tripod.com. Accessed December 28, 2020. <https://johnrlott.tripod.com/other/link2.html>.
- Bureau of Justice Statistics (BJS). "Violent Crime." Accessed December 14, 2020. <https://www.bjs.gov/index.cfm?ty=tp&tid=31>.
- Burgoon, Michael, Michael Pfau, and Thomas S. Birk. "An inoculation theory explanation for the effects of corporate issue/advocacy advertising campaigns." *Communication Research* 22, no. 4 (1995): 485-505.

- Centers for Disease Control and Prevention. "Fatal Injury Reports, National and Regional, 1999 - 2015." Accessed December 22, 2020. https://webappa.cdc.gov/sasweb/ncipc/mortrate10_us.html.
- Centers for Disease Control and Prevention. "Nonfatal Injury Reports, 2001 - 2014." Accessed December 22, 2020. <https://webappa.cdc.gov/sasweb/ncipc/nfirates2001.html>.
- Chapdelaine, Antoine, and Pierre Maurice. "Firearms injury prevention and gun control in Canada." *CMAJ: Canadian Medical Association Journal* 155, no. 9 (1996): 1285.
- Chaudhri, Vivek, and John Geanakoplos. "A note on the economic rationalization of gun control." *Economics Letters* 58, no. 1 (1998): 51-53.
- Cialdini, Robert B. *Influence*. Vol. 3. Port Harcourt: A. Michel, 1987.
- Cloward, Richard A., and Lloyd E. Ohlin. *Delinquency and opportunity: A study of delinquent gangs*. Routledge, 2013.
- Coates, Michael, and Shanna Pearson-Merkowitz. "Policy Spillover and Gun Migration: The interstate dynamics of state gun control policies." *Social Science Quarterly* 98, no. 2 (2017): 500-512.
- Cohen, Albert K. "Delinquent boys; The culture of the gang." (1955).
- Colander, David, and Arjo Klamer. "The making of an economist." *Journal of Economic Perspectives* 1, no. 2 (1987): 95-111.
- Cook, Philip J., and Jens Ludwig. *Gun violence: The real costs*. Oxford University Press on Demand, 2000.
- Cukier, Wendy, and James Cairns. "Gender, attitudes and the regulation of small arms: Implications for action." *Sexed Pistols: The Gendered Impacts of Small Arms and Light Weapons*. United Nations University Press: Nueva York (2009).
- Cummings, P., and T. D. Koepsell. "Grossman, D. c., Savarino, J., and Thompson, R. S.(1997) The association between purchase of a handgun and homicide or suicide." *American Journal of Public Health* 87: 974-978.
- Danigelis, Nicholas L., and Stephen J. Cutler. "Cohort trends in attitudes about law and order: Who's leading the conservative wave?." *Public Opinion Quarterly* 55, no. 1 (1991): 24-49.
- Di Cosmo, Roberto, and Dale Miller. "Linear Logic." *Stanford Encyclopedia of Philosophy*. Stanford University, May 24, 2019. <https://plato.stanford.edu/entries/logic-linear/>.
- Donohue III, John J., and Ian Ayres. "More guns, less crime fails again: the latest evidence from 1977–2006." (2009).

- Epstein, Gil S., Hillel Rapoport, and Avi Weiss. "Drug addiction and the economic rationalization of gun control." *Economics Letters* 65, no. 1 (1999): 55-57.
- Eur-lex-europa.eu. "REGULATION (EU) No 258/2012 OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL of 14 March 2012." Accessed December 20, 2020. <https://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2012:094:0001:0015:En:PDF>.
- Feagin, Joe R. "Home-defense and the police: Black and white perspectives." *American Behavioral Scientist* 13, no. 5-6 (1970): 797-814.
- Fedlex. "Der BundesratDas Portal Der Schweizer Regierung." SR 514.541 Verordnung vom 2. Juli 2008 über Waffen, Waffenzubehör und Munition (Waffenverordnung, WV). Accessed December 20, 2020. <https://www.admin.ch/opc/de/classified-compilation/20081148/index.html>.
- Fedschun, Travis, and Bradford Betz. "Texas Church Shooting: Gunman Kills 2, 'Heroic' Congregants Take down Shooter." Fox News. FOX News Network, December 30, 2019. <https://www.foxnews.com/us/texas-church-shooting-texas-injured-active>.
- Geertz, Clifford. "Thick description: Toward an interpretive theory of culture." *Turning points in qualitative research: Tying knots in a handkerchief* 3 (1973): 143-168.
- Gerald, Prince. "A Grammar of Stories." *Haia, Mouton* (1973).
- Gius, Mark. "The effects of state and Federal gun control laws on school shootings." *Applied economics letters* 25, no. 5 (2018): 317-320.
- Glaeser, Edward. *Triumph of the City*. Pan, 2011.
- GunPolicy.org. 2016 'Calculated Rates - Italy.' Historical Population Data - USCB International Data Base. Suitland, MD: US Census Bureau Population Division. 1 August
- Halasz, Stephanie, Nina Avramova, and Eliza Mackintosh. "Woman Killed, Three Injured, in Shooting at Heidelberg University in Germany." CNN. Cable News Network, January 25, 2022. <https://edition.cnn.com/2022/01/24/europe/germany-shooting-heidelberg-intl/index.html>.
- Harlow, Caroline Wolf. *Firearm use by offenders*. US Department of Justice, Office of Justice Programs, Bureau of Justice Statistics, 2002.
- Harrell, Erika, Jennifer Truman, Alexandra Thompson, Barbara Oudekerk, Rachel Morgan, and Grace Kena. "Data Collection: National Crime Victimization Survey (NCVS)." Bureau of Justice Statistics (BJS). Accessed December 28, 2020. <https://www.bjs.gov/index.cfm?ty=dcdetail&iid=245>.
- Hemenway, David. "Risks and benefits of a gun in the home." *American Journal of Lifestyle Medicine* 5, no. 6 (2011): 502-511.

- Hemingway, Ernest. "A Farewell to Arms. 1929." New York: Scribner (1995).
- Hobbes, Thomas. Leviathan. JM Dent, 1914.
- Hood III, M. V., and Grant W. Neeley. "Packin'in the hood?: Examining assumptions of concealed-handgun research." *Social Science Quarterly* (2000): 523-537.
- Hunt, Albert R. "Gun Control Should Be a Hot Topic among U.S. Presidential Aspirants." *The New York Times*, March 16, 2008. <https://www.nytimes.com/2008/03/16/world/americas/16iht-letter.3.11135451.html>.
- Iga, Mamoru, and Kichinosuke Tatai. "Characteristics of suicides and attitudes toward suicide in Japan." *Suicide in different cultures* (1975): 255-280.
- Ingraham, Christopher. "There are now more guns than people in the United States." *Washington Post* 5 (2015).
- Jarrell, Stephen, and Roy M. Howsen. "Transient crowding and crime: The more 'strangers' in an area, the more crime except for murder, assault and rape." *American Journal of Economics and Sociology* 49, no. 4 (1990): 483-494.
- Johnson, Kevin. "Stockton School Massacre: A Tragically Familiar Pattern." *USA Today*. Gannett Satellite Information Network, April 2, 2013. <https://www.usatoday.com/story/news/nation/2013/04/01/stockton-massacre-tragically-familiar-pattern-repeats/2043297/>.
- Junge, Rachel. "'Our Gun Laws Will Change': NZ PM Jacinda Ardern in Wake of Christchurch Massacre." *myGC.com.au*. <http://www.mycg.com.au/our-gun-laws-will-change-nz-pm-jacinda-ardern-in-wake-of-christchurch-massacre/>.
- Kahn, Chris. "Dean, Prof, Student Dead in Shooting Rampage at Virginia Law School; Man Who Flunked out Held." *SSRIsstories*. Accessed December 28, 2020. <http://ssristories.net/archive/show9a02.html?item=1724>.
- Kalesan, Bindu, Kinan Lagast, Marcos Villarreal, Elizabeth Pino, Jeffrey Fagan, and Sandro Galea. "School shootings during 2013–2015 in the USA." *Injury prevention* 23, no. 5 (2017): 321-327.
- Kellermann, Arthur L., Frederick P. Rivara, Norman B. Rushforth, Joyce G. Banton, Donald T. Reay, Jerry T. Francisco, Ana B. Locci, Janice Prodzinski, Bela B. Hackman, and Grant Somes. "Gun ownership as a risk factor for homicide in the home." *New England Journal of Medicine* 329, no. 15 (1993): 1084-1091.
- Killias, Martin. "International correlations between gun ownership and rates of homicide and suicide." *CMAJ: Canadian Medical Association Journal* 148, no. 10 (1993): 1721.
- Kleck, Gary. *Point blank: Guns and violence in America*. Transaction Publishers, 2005.

- Kleck, Gary, and E. Britt Patterson. "The impact of gun control and gun ownership levels on violence rates." *Journal of Quantitative Criminology* 9, no. 3 (1993): 249-287.
- Kleck, Gary, and Marc Gertz. "Armed resistance to crime: the prevalence and nature of self-defense with a gun." *J. Crim. L. & Criminology* 86 (1995): 150.
- Knight, Brian. "State gun policy and cross-state externalities: Evidence from crime gun tracing." *American Economic Journal: Economic Policy* 5, no. 4 (2013): 200-229.
- Kopel, David B. "Hold your fire-gun-control wont stop rising violence." *Policy review* 63 (1993): 58-65.
- Kopel, David B. "Japanese Gun Control." *CRIME AND JUSTICE INTERNATIONAL* 19, no. 74 (2003): 4-10.
- Kovandzic, Tomislav V., Thomas B. Marvell, and Lynne M. Vieraitis. "The impact of "shall-issue" concealed handgun laws on violent crime rates: Evidence from panel data for large urban cities." *Homicide Studies* 9, no. 4 (2005): 292-323.
- Kwon, Ik-Whan G., Bradley Scott, Scott R. Safranski, and Muen Bae. "The effectiveness of gun control laws: multivariate statistical analysis." *American Journal of Economics and Sociology* 56, no. 1 (1997): 41-50.
- Lambert , Tim. "Counting Stories about the Appalachian Law School Shootings." *ScienceBlogs*. Accessed December 28, 2020. <https://scienceblogs.com/deltoid/2003/09/01/0902>.
- Lee, Wang-Sheng, and Sandy Suardi. "The Australian firearms buyback and its effect on gun deaths." *Contemporary Economic Policy* 28, no. 1 (2010): 65-79.
- Legal Information Institute. "Nullum Crimen Sine Lege." Accessed January 19, 2021. https://www.law.cornell.edu/wex/nullum_crimen_sine_lege.
- Legal Information Institute. "Second Amendment." Accessed December 20, 2020. https://www.law.cornell.edu/constitution/second_amendment.
- Levs, Josh. "Loaded Language Poisons Gun Debate - CNNPolitics," February 1, 2013. <https://edition.cnn.com/2013/01/31/politics/gun-language/index.html>.
- Levush, Ruth. "Firearms-Control Legislation and Policy." Accessed December 14, 2020. <https://www.loc.gov/law/help/firearms-control/index.php>.
- Loftin, Colin, David McDowall, and James Boudouris. "Economic change and homicide in Detroit, 1926-1979." *Violence in America* 1 (1989): 163-177.
- Lott, John R. *The bias against guns: Why almost everything you've heard about gun control is wrong*. Simon and Schuster, 2003.
- Malkawi, Bashar H. "The WJP Rule of Law Index." (2017).

- Martin, Wallace. Recent theories of narrative. Cornell University Press, 1986.
- Marvell, Thomas B., and Carlisle E. Moody. "The lethal effects of three-strikes laws." *The Journal of Legal Studies* 30, no. 1 (2001): 89-106.
- Mauser, Gary A., and Richard A. Holmes. "An evaluation of the 1977 Canadian firearms legislation." *Evaluation Review* 16, no. 6 (1992): 603-617.
- McDowall, David, and Colin Loftin. "Collective security and the demand for legal handguns." *American Journal of Sociology* 88, no. 6 (1983): 1146-1161.
- McGuire, William J., and Demetrios Papageorgis. "The relative efficacy of various types of prior belief-defense in producing immunity against persuasion." *The Journal of Abnormal and Social Psychology* 62, no. 2 (1961): 327.
- McPhedran, Samara, and Jeanine Baker. "Mass shootings in Australia and New Zealand: A descriptive study of incidence." *Justice Policy Journal* 8, no. 1 (2011).
- Megill, Allan. "Rethinking objectivity." (1994).
- Merton, Robert K. "Social structure and anomie." *American sociological review* 3, no. 5 (1938): 672-682.
- Mervosh, Sarah. "New Zealand Took 6 Days to Plan New Gun Laws. Here's How Other Countries Reacted to Shootings." *The New York Times*, March 21, 2019. <https://www.nytimes.com/2019/03/21/world/gun-laws-australia-uk-germany-canada.html>.
- Messner, Steven F., and Richard Rosenfeld. "Political restraint of the market and levels of criminal homicide: A cross-national application of institutional-anomie theory." *Social Forces* 75, no. 4 (1997): 1393-1416.
- Miller, Wilbur R. *The Social History of Crime and Punishment in America: A-De*. Vol. 1. Sage, 2012.
- Morgenstern, Hal. "Gun availability and violent death." *American journal of public health* 87, no. 6 (1997): 899-901.
- Mulkay, Michael Joseph. *The word and the world: Explorations in the form of sociological analysis*. Taylor & Francis, 1985.
- Muschert, Glenn W. "Research in school shootings." *Sociology compass* 1, no. 1 (2007): 60-80.
- New Zealand Parliament. "Arms (Prohibited Firearms, Magazines, and Parts) Amendment Bill." Accessed December 22, 2020. https://www.parliament.nz/en/pb/bills-and-laws/bills-proposed-laws/document/BILL_86423/arms-prohibited-firearms-magazines-and-parts-amendment.

- NPLG. “კანონი”. Accessed January 14, 2021. <http://www.nplg.gov.ge/publishers/samoqalaqo/index.php?do=view&id=108>.
- NZZ. “Zwei Drittel Der Rekruten Diensttauglich: NZZ.” Neue Zürcher Zeitung, March 11, 2008. https://www.nzz.ch/zwei_drittel_der_rekruten_diensttauglich-1.687233?reduced=true.
- Parker, Robert Nash. "Poverty, subculture of violence, and type of homicide." *Social forces* 67, no. 4 (1989): 983-1007.
- Party, Boston T. "Boston's Gun Bible." (2004).
- Police.ge. “2017/2018 დანაშაულის სტატისტიკა”. Accessed December 20, 2020. [https://police.ge/files/pdf/vizitorebi/2017/2018%20დანაშაულის%20სტატისტიკა/ianvar-dekembsაქართველოს%20ყველა%20საგამოძიებო%20უნეება%20\(იანვარ-დეკემბერი%202017წ.\)%201%20\(2\)](https://police.ge/files/pdf/vizitorebi/2017/2018%20დანაშაულის%20სტატისტიკა/ianvar-dekembsაქართველოს%20ყველა%20საგამოძიებო%20უნეება%20(იანვარ-დეკემბერი%202017წ.)%201%20(2)).
- Pollitt, Katha. “Gun Control? Dream On.” *The Nation*, June 29, 2015. <https://www.thenation.com/article/gun-control-dream/>.
- Polsby, Daniel D. "Equal protection." *Reason* 25 (1993).
- Rossi, Peter H. *Armed and considered dangerous: A survey of felons and their firearms*. Routledge, 2017.
- Rucker, Derek D., and Adam D. Galinsky. "Conspicuous consumption versus utilitarian ideals: How different levels of power shape consumer behavior." *Journal of Experimental Social Psychology* 45, no. 3 (2009): 549-555.
- Reason.com. Sullum, Jacob. “A Statistician Reconsiders Her Support for Gun Control After Looking at the Data.” *Reason*, October 4, 2017. https://reason.com/2017/10/04/a-statistician-reconsiders-her-support-f/?fbclid=IwAR1n1-ly4d9W0NLFyofA8ImcFFsg12Mupcfv1oUyd1NMS9g1knS_4rOVdpM.
- Reuters. “Russia Lost 64 Troops in Georgia War, 283 Wounded.” Reuters, February 21, 2009. <https://uk.reuters.com/article/us-russia-georgia-deaths/russia-lost-64-troops-in-georgia-war-283-wounded-idUKTRE51K1B820090221>.
- Rotten Tomatoes. “Back to the Future (1985).” Accessed December 14, 2020. https://www.rottentomatoes.com/m/back_to_the_future.
- Rotten Tomatoes. “Rashômon (1951).” Accessed January 20, 2021. <https://www.rottentomatoes.com/m/rashomon>.
- Schlicht, Ekkehart. *Isolation and aggregation in economics*. Springer Science & Business Media, 2012.
- Selina Wang, Rebecca Wright and Yoko Wakatsuki. “In Japan, More People Died by Suicide Last Month than from COVID in All of 2020.” ABC7 San Francisco.

- KGO-TV, November 29, 2020. <https://abc7news.com/japan-suicides-suicide-rates-covid-women/8359064/>.
- Shankman, Paul, Attila Ágh, Erika Bourguignon, Douglas E. Brinthal, John R. Cole, Linda Connor, Regna Darnell et al. "The Thick and the Thin: On the Interpretive Theoretical Program of Clifford Geertz [and Comments and Reply]." *Current anthropology* 25, no. 3 (1984): 261-280.
- Sieg, Linda, and Kiyoshi Takenaka. "Japan Takes Historic Step from Post-War Pacifism, OKs Fighting for Allies." *Reuters*, July 1, 2014. <https://www.reuters.com/article/us-japan-defense-idUSKBN0F52S120140701>.
- Smallarmsurvey.org. "Largest firearms holding by region and sector". Accessed December 20, 2020. http://www.smallarmssurvey.org/fileadmin/docs/Weapons_and_Markets/Tools/Firearms_holdings/SAS-Infographics-global-firearms-holdings.pdf
- Smelser, Neil J., and William T. Smelser. "Personality and social systems." (1963).
- Spitzer, Robert J. *The politics of gun control*. Routledge, 2020.
- Steffensmeier, Darrell J., Emilie Andersen Allan, Miles D. Harer, and Cathy Streifel. "Age and the distribution of crime." *American journal of Sociology* 94, no. 4 (1989): 803-831.
- Swissinfo.ch. "Italians Leave Their Mark on Switzerland." SWI swissinfo.ch. swissinfo.ch, October 26, 2017. <https://www.swissinfo.ch/eng/italians-leave-their-mark-on-switzerland/4804422>.
- Tabula. "2019 წელს აშშ-ის ისტორიაში მასობრივი მკვლელობების ყველაზე მეტი შემთხვევა მოხდა." Accessed December 22, 2020. <http://www.tabula.ge/ge/story/162546-2019-tsels-ashsh-is-istoriashi-masobrivi-mkvlelobebis-kvelaze-meti-shemtxveva-moxda>.
- Tabula. "გერმანიის ქალაქ ჰანაუში ორ ჩილიმ ბარზე შეიარაღებულ თავდასხმას 9 ადამიანი ემსხვერპლა." Accessed December 22, 2020. <http://www.tabula.ge/ge/story/165195-germaniis-qalaq-hanaushi-or-chilim-barze-sheiaraghebul-tavdasxmas-9-adamiani-emsxverpla>.
- Taylor, Robert. "A game theoretic model of gun control." *International Review of Law and Economics* 15, no. 3 (1995): 269-288.
- The Economist. "Inequality Could Be Lower than You Think." Accessed December 14, 2020 <https://www.economist.com/leaders/2019/11/28/inequality-could-be-lower-than-you-think?cid1=cust/ednew/n/bl/n/2019/11/28n/owned/n/n/nwl/n/n/E/351303/n>.
- The Guardian. "Japan Socialist Party Leader Assassinated - ARCHIVE, 13 October 1960," October 13, 2016. <https://www.theguardian.com/world/2016/oct/13/inejiro-asanuma-japan-politician-assassinated-1960>.

- TheLocal.it. "Gun ownership regulations shootings Italy". Accessed December 20, 2020. <https://www.thelocal.it/20180323/gun-ownership-regulations-shootings-italy>.
- Tighter controls on arms and ammunition proposed. Accessed December 20, 2020. <https://www.info.gov.hk/gia/general/199901/15/0115079.htm>.
- Todorov, Tzvetan, and Tsvetan Todorov. *The fantastic: A structural approach to a literary genre*. Cornell University Press, 1975.
- Unicef. "HIV Statistics - Global and Regional Trends." UNICEF DATA, November 30, 2020. <https://data.unicef.org/topic/hiv/aids/global-regional-trends/>.
- United Nations. "Intentional Homicide Victims | DataUNODC." Accessed December 20, 2020. <https://dataunodc.un.org/crime/intentional-homicide-victims>.
- UNODC. *Global Study on Homicide 2019*. Vienna, 2019.
- Urbina, Ian. "California Tries New Tack on Gun Violence: Ammunition Control." *The New York Times*, September 9, 2018. <https://www.nytimes.com/2018/09/09/us/california-gun-control-ammunition-bullets.html?smid=fb-nytimes>.
- US Bureau of the Census, ed. *Statistical abstract of the United States*, 1993. Hoover's, 1993.
- US Department of Health and Human Services. *Eighth special report to the US Congress on alcohol and health*. No. 94-3699. NIH publication, 1993.
- US Dept of the Treasury, Bureau of Alcohol, Tobacco and Firearms, and United States of America. "Crime Gun Trace Reports, 1999." (2000).
- Vold, George Bryan. *Theoretical criminology*. Oxford University Press, 1958.
- Weinberg, Steven. "Beautiful theories." In *Albert Einstein memorial lectures*, pp. 81-107. 2012.
- White, Hayden. "The value of narrativity in the representation of reality." *Critical inquiry* 7, no. 1 (1980): 5-27.
- Wilson, James Q., and George L. Kelling. "Broken windows." *Atlantic monthly* 249, no. 3 (1982): 29-38.
- Worldometers. "Alphabetical List of Countries." Accessed January 14, 2021. <https://www.worldometers.info/geography/alphabetical-list-of-countries/>.
- Wolpert, Robin M., and James G. Gimpel. "Self-interest, symbolic politics, and public attitudes toward gun control." *Political Behavior* 20, no. 3 (1998): 241-262.
- World Health Organization. *Global status report on road safety 2015*. World Health Organization, 2015.

Wright, James D., Peter Henry Rossi, and Kathleen Daly. *Under the gun: Weapons, crime, and violence in America*. Transaction Publishers, 1983.

Zimring, Frank. "Is gun control likely to reduce violent killings?." *The University of Chicago Law Review* 35, no. 4 (1968): 721-737.

Чехов , А. П. "Письмо Лазареву (Грузинскому) А. С., 1 Ноября 1889 г. Москва."
Чехов — Лазареву (Грузинскому) А. С., 1 ноября 1889. Accessed January 15, 2021. <http://chehov-lit.ru/chehov/letters/1888-1889/letter-707.htm>.

დანართი

Model		Unstandardized Coefficients		Standardized Coefficients	t	Sig.
		B	Std. Error	Beta		
1	(Constant)	9.117	1.049		8.694	.000
	gun_own	-.069	.066	-.076	-1.051	.294

ცხრილი 1. იარაღის მფლობელობასა და მკვლელობათა რიცხვს შორის დამოკიდებულება

Model		Unstandardized Coefficients		Standardized Coefficients	t	Sig.
		B	Std. Error	Beta		
1	(Constant)	22.448	4.129		5.437	.000
	gun_own	.028	.071	.031	.398	.691
	hdi	-19.970	6.018	-.259	-3.318	.001

ცხრილი 2. იარაღის მფლობელობას, ადამიანების განვითარების ინდექსსა და მკვლელობათა რიცხვს შორის დამოკიდებულება

Model		Unstandardized Coefficients		Standardized Coefficients	t	Sig.
		B	Std. Error	Beta		
1	(Constant)	20.955	4.222		4.963	.000
	gun_own	.030	.071	.033	.418	.677
	hdi	-21.314	6.023	-.281	-3.539	.001
	unempl	.311	.159	.144	1.960	.052

ცხრილი 3. იარაღის მფლობელობას, ადამიანების განვითარების ინდექსს, უმუშევრობასა და მკვლელობათა რიცხვს შორის დამოკიდებულება

Model		Unstandardized Coefficients		Standardized Coefficients	t	Sig.
		B	Std. Error	Beta		
1	(Constant)	20.107	4.377		4.594	.000
	gun_own	.022	.072	.025	.310	.757
	hdi	-19.660	6.900	-.258	-2.850	.005
	unempl	.360	.168	.160	2.150	.033
	alc_cons	-.094	.246	-.033	-.382	.703

ცხრილი 4. იარაღის მფლობელობას, ადამიანების განვითარების ინდექსს, უმუშევრობას, ალკოჰოლის მოხმარებასა და მკვლელობათა რიცხვს შორის დამოკიდებულება

Model		Unstandardized Coefficients		Standardized Coefficients	t	Sig.
		B	Std. Error	Beta		
1	(Constant)	-7.581	12.513		-.606	.546
	pop_dens	.004	.007	.044	.533	.595
	alc_cons	-.213	.330	-.069	-.645	.520
	gun_own	.073	.083	.083	.877	.382
	inequal	.422	.230	.338	1.839	.068
	unempl	.230	.200	.098	1.150	.252
	gdp_cap	.000	.000	-.241	-1.703	.091
	edu	14.486	14.766	.216	.981	.328

ცხრილი 5. დასახლების სიმჭიდროვეს, ალკოჰოლის მოხმარებას, იარაღის მფლობელობას, უთანასწორობის ინდექსს, უმუშევრობას, მშპ ერთ სულზე, განათლების ინდექსსა და მკვლელობათა რიცხვს შორის დამოკიდებულება